

ადკვეთის ღონისძიებათა გამოყენება  
არასრულწლოვანთა მიმართ:  
საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ეროვნულ  
სასამართლო პრაქტიკაში

საქართველოს უზენაესი სასამართლო

ანალიტიკური განყოფილება

ადამიანის უფლებათა ცენტრი

თბილისი  
2019

**Application of Measures of Restraint against Minors:  
Application of International Standards in National Legal  
Practice**

**The Supreme Court of Georgia**

**Analytical Department**

**Human Rights Center**

**Tbilisi  
2019**



**კვლევა მომზადდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ**

**ავტორი და მთავარი რედაქტორი**

**მარინე კვაჭაძე**

**სამართლის დოქტორი, პროფესორი  
ანალიტიკური განყოფილების უფროსი**

**ავტორები:**

**ნიკო დათეშიძე**

**ადამიანის უფლებათა ცენტრის რეფერენტი**

**ეკა მამალაძე**

**ადამიანის უფლებათა ცენტრის მთავარი კონსულტანტი**

**გულიკო მჭედლიშვილი**

**ადამიანის უფლებათა ცენტრის კონსულტანტი**

**კვლევის შედგენაში მონაწილეობდნენ:**

**ლაშა ლურსმანაშვილი**

**ნინი ბოკუჩავა**

**სტილისტური რედაქტორი**

**ნინო ძიძიგური**

**ბრაფიკული რედაქტორი**

**თორნიკე ჭიჭინაძე**

**ტექნიკური რედაქტორი და ყლის დიზაინი**

**მარიკა მაღალაშვილი**



**The research was conducted by Human Rights Center  
of the Analytical Department of the Supreme Court of Georgia**

**AUTHOR AND CHIEF EDITOR**

**Prof. Dr. Marina Kvachadze**  
Head of Analytical Department  
Deputy Head of Legal Support

**AUTHORS:**

**Niko Dateshidze**  
Legal Assistant of Human Rights Center

**Eka Mamaladze**  
Chief Consultant of Human Rights Center

**Guliko Mtchedlishvili**  
Consultant of Human Rights Center

**IN RESEARCH PARTICIPATED:**

**Lasha Lursmanashvili**  
**Nini Bokuchava**

**STYLE EDITOR**  
**Nino Dzidziguri**

**GRAPHICS EDITOR**  
**Tornike Chichinadze**

**TECHNICAL EDITOR AND DESIGN**  
**Marika Maghalashvili**

## წინათქმა

წინამდებარე კვლევა მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ. მასში განხილულია საქართველოს პირველი ინსტანციის საერთო სასამართლოების მიერ 2017-2018 წლებში არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პრაქტიკა. ნაშრომში მკითხველი გაეცნობა ამ მიმართულებით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციასა და არაერთ სხვა მნიშვნელოვან სამართლებრივ დოკუმენტში გამყარებულ საერთაშორისო სტანდარტებს. კვლევაში ასევე გაანალიზებულია ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების საკითხი. კვლევის მიზანია, არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების თვალსაზრისით, გამოავლინოს კონკრეტული მიგნებები და ტენდენციები და ამ კუთხით ჩამოაყალიბოს შესაბამისი რეკომენდაციები.

მიგვაჩნია, რომ კვლევა საინტერესო იქნება არა მხოლოდ მართლმსაჯულების სფეროში მოღვაწე პირებისთვის, არამედ იურიდიული ფაკულტეტების პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის, ასევე ამ საკითხით დაინტერესებული საზოგადოებისთვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილება მადლობას უხდის საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამართლებრივი მხარდაჭერის ხელმძღვანელს, ლია ყიფიანს და ევროკავშირის პროექტის EU4Justice სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის მრჩეველს ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში, ეკა ლომთათიძეს გაწეული დახმარებისთვის.

## **Preface**

This research is conducted by the Human Rights Center of the Analytical Department of the Supreme Court of Georgia and it provides analysis regarding the application of restraint measures against minors by the first instance courts of Georgia during the years 2017-2018. The study provides comprehensive information concerning the international standards guaranteed by the European Convention of Human Rights and other significant legal documents in this regard. In addition, the research addresses the issue of application of European Court of Human Rights case-law as well as various international treaties in national court practice. The aim of the study is to reveal specific findings and tendencies in terms of application of restraint measures against minors and to establish relevant recommendations in this respect.

We believe that this research will be of particular importance not only to people working in the Judiciary, but for the academics, students and all the other persons interested in human rights issues.

The Analytical Department of the Supreme Court of Georgia would like to express their gratitude to the Head of the Legal Support of the Supreme Court of Georgia, Lia Kipiani and ECHR Advisor of EU4Justice: Judiciary Support Project, Eka Lomtadze for the provided help.

# **Application of Measures of Restraint against Minors:**

## **Application of International Standards in National Legal Practice**

Juvenile justice is widely considered as one of the most significant aspects of any legal system as it serves as a true barometer of a country's level of development and its ability to protect democratic values. The problem of juvenile crime has been extremely relevant in Georgia throughout the past two decades mainly because of the several factors such as poverty issues and the widespread efforts to form the criminal mentality amongst young people. In this respect, Georgia has taken important steps forward by adopting a Juvenile Justice Code in 2015, which has been regarded by many as "one of the biggest success stories" in EU-Georgia cooperation in the justice sector in recent years. Although this aforementioned reform was a genuine achievement in bringing the juvenile justice system closer to international standards, there is still room for improvement in this regard.

In order to address the problematic issues arisen in a given direction, the Analytical Department of the Supreme Court of Georgia considered to conduct a research on the application of measures of restraint against minors as these legal documents are of the paramount importance in terms of illustrating the application of international standards guaranteed by Articles 5 and 6 of the European Convention of Human Rights on the national level. The aim of the study was to analyse how the first instance courts of Georgia are applying national legislation in conjunction with the other relevant international acts to guarantee the effective protection of minors' rights. For the purpose of in-depth review, the Analytical Department studied all decisions regarding application of measures of restraint against minors that were submitted from the courts in response to the official letter of the request. In particular, the subject of the research was 224 decisions (against 275 minor offenders) rendered by the first instance courts (city and regional, as well as magistrate) in 2017-2018 years based on the Articles 61-64 of the Juvenile Justice Code.

To give a clearer image of the judicial practice with respect to applying the measures of restraint in minors' cases, the study involves a number of essential topics.

The first part of the research addresses the right to liberty and security guaranteed by Article 5 of the European Convention of Human Rights and the relevant standards concerning minors established by this postulate. Apart from that, it illustrates the case-law of European Court of Human Rights, including key decisions regarding the detention of a minor for the purpose of educational supervision and in order to bring him/her before the competent legal authority. Analysed issues include the detention conditions of minors as well as grounds of their detention

and other vital matters, which are due to be taken into consideration when addressing this vulnerable group of society.

The second part of the study focuses on reviewing domestic courts' practice with regards to application of measures of restraint against minors and evaluating the reasoning of the given decisions in accordance with the international acts and the ECHR case-law. In addition, this section lays down the significant aspects that serve as a guarantee to protect minors' rights enshrined in Article 6 of the Convention. It is noteworthy that this part of the research also provides the detailed analysis of the types of restraint measures against minors existing on the national legislative level and on top of that, illustrates the trends identified in the process. Finally, it thoroughly assesses the quality of citation and application of international conventions in the aforementioned court decisions.

The analysis of the statistical data obtained through the research revealed several essential tendencies. Namely, in terms of quantity of decisions regarding application of measures of restraints against minors, the highest rate of cases is reported in Tbilisi (70 cases), followed by Kutaisi and Batumi with 23 and 22 cases, respectively, which is mainly caused by disproportionate distribution of population in large cities. As for the Eastern part of Georgia, it is worth mentioning that apart from the capital city court, the courts that are marked by the highest number of aforesaid decisions are Rustavi City Court (17 cases) and Gurjaani Regional Court (12 cases).

With regards to the specific types of restraint measures, it is noteworthy that the most frequently used one was **bail**, which was applied against 114 minor offender. The second-most popular preventive measure in this regard appears to be **detention** with 75 occasions. Based on the statistical data, amongst the rather mild types of restraint measures, the domestic courts dominantly use **transfer for supervision**, which is illustrated by the fact that it had been applied against 59 minors. Regarding other forms of preventive mechanisms, the most rarely applied measures of restraint are **an agreement of not leaving the place of supervision and on proper behaviour** and **a personal guarantee** with 16 and 2 occasions, respectively.

The study indicated a steady increase of the decisions regarding application of restraint measures in 2018 in comparison with the year before, rocketing from 112 to 163 throughout the country. Due to the statistics, number of **bails** applied have risen by a whopping 70%, as for the transfer for supervision, the application of this restraint measure has nearly doubled. In terms of significant changes in specific courts, the one worth noting is Kutaisi City Court, where decision rate has soared by nearly 100%. Noticeable increase is also reported in Batumi and Tbilisi City Courts, where the practice of applying **bail** (in Batumi's case) and **transfer for supervision** (Tbilisi) became particularly popular in 2018 compared to the 2017 numbers. Regarding the courts which are characterized by the decreased number of decisions in 2018, the ones to be mentioned are Telavi Regional Court and Gurjaani Regional Court, where decision rate has fallen by 200% and 120%, respectively.

Through analysis of court decisions, it was revealed that in minor offenders' cases the domestic first-instance courts apply international acts relatively often, such as Convention of Child's



Rights and UN “Beijing Rules”. In a number of decisions Recommendations of the Council of Europe’s Committee of Ministers are also indicated. However, it is noteworthy that in some of them the correspondence of these aforementioned legal documents and the specific circumstances of the case is not clarified to a sufficient extent. Therefore, providing rather detailed definitions in this respect will unequivocally be considered as a step forward as it will give a greater level of clarity to the necessity of their application. In spite of this, we would like to emphasize that the quality of international standards application in the given decisions should be assessed as a positive practice in comparison with the study conducted by the Analytical Department of the Supreme Court of Georgia in 2016<sup>1</sup>, according to which the most problematic issue was the fact that courts applied the aforesaid international acts in a solely, declaratory manner.

With regards to the application of European Court of Human Rights case-law, the study showed that the domestic courts usually cite the Strasbourg Court judgements in an appropriate fashion. Mostly they are relevantly applied and a great number of decisions provide a strong argumentation to manifest the reasonableness of applying the specific restraint measure against a minor, which ensures the minor’s effective exercise of the rights guaranteed by Article 6 of the Convention. However, one of the key findings identified through the research was the patterned nature of the decision’s reasoning section, which appeared to be a characteristic of specific courts throughout the country. Another major challenge before the domestic courts in this respect is the collective type of decisions, where the accused is more than one minor. In many of such cases, the courts appropriately differentiate the reasoning in relation to each offender, although the study revealed several decisions, which are short of a similar argumentation. As a result, it is paramount that the decisions provide individualisation of high quality, as it happens to be one of the premier elements of the right to fair trial.

Regarding the aspects of Article 5 of the European Convention of Human Rights, it should be noted that the domestic courts normally discuss fundamental factors guaranteed by this provision, such as the danger of absconding, repeating offences and hindering the proper conduct of the proceedings. However, as a result of the aforementioned decisions’ analysis in this regard, several problematic issues were revealed, one of which concerns the incidences where a minor has committed a grave crime. In such cases, this factual circumstance is relatively frequently assessed as sufficient ground for the existence of all abovementioned dangers and as a result, utilised to apply detention - the most severe type of restraint measure against a minor. It is essential to emphasize that it cannot be evaluated as a positive practice as it fails to be in accordance with the relevant case-law established by the European Court of Human Rights.

Another significant issue that came to light throughout the study is the fact that in some cases courts apply bail against minors and in order to ensure it, they impose a remand detention upon

---

<sup>1</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს კვლევა „საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა გამოყენების პრაქტიკა სასამართლოების მიერ არასრულწლოვანთა საქმეების განხილვისას“ (სასამართლო გადაწყვეტილებათა ანალიზი, 2016 წელი, 01. 30. 06).

minors until the accused deposits in full or in part (50%) the total bail amount. This preventive action is considered as an effective mechanism under certain circumstances, although, at times it can be deemed as an unjustifiably strict measure. Consequently, taken into consideration that effective protection of minors requires establishing a high standard, we believe that regulating this particular matter on a legislative level would be a great step forward. Namely, it will most likely be assessed as a positive change, if the actual grounds for applying this measure will orderly be prescribed in Juvenile Justice Code, which will ensure utilizing this mechanism in accordance with minors' best interests and an effective exercise of their rights.

In addition, the study exposed the noticeable difference in terms of bail amount applied by the domestic courts, which helped establish unequal practice. Taken into account that this issue is essential in terms of preventing arbitrariness in this regard, limiting currently existing wide discretion to a certain extent might act as the most reasonable solution.

According to a trend identified by the research, the courts of "big cities", such as Tbilisi, Batumi and others are characterized by an extremely low rate in terms of applying one particular restraint measure - **an agreement of not leaving the place of supervision and on proper behaviour**. It is noteworthy that this restraint measure appears to be one of the mildest ones that are enshrined in Juvenile Justice Code. In order to execute the juvenile justice efficiently, it is of great importance that the relatively mild restraint measures be characterized with a sufficiently preventive nature. This will ensure that their application will be considered an effective mean and not a pure formality. Therefore, we believe it is necessary that this restraint measure be strengthened with additional deterrent measures or established in a manner, which will ensure enhancing of its effectiveness and instilling it in national legal practice.

On balance, the study showed that domestic first-instance courts actively apply the international standards guaranteed by Articles 5 and 6 of the European Convention of Human Rights in the decisions regarding applying the measures of restraint against minors. In most cases, courts provide relevant argumentation in order to reason their decisions. However, there were case, illustrating insufficient reasoning, which fail to be in accordance with international standards. Consequently, in order to effectively tackle these issues, we find it reasonable that these positive steps are taken in future for a way forward:

- **Intensive conduction of trainings regarding international law, which will involve domestic courts judges.**
- **Production of specific literature with regards to the aforementioned issues.**
- **Systematic study and generalisation of cases concerning juvenile justice.**

We strongly believe that all of the abovementioned recommendations will significantly elevate the quality of decisions and will help judges a great deal in cases that involve minor offenders. Therefore, we believe that this research will be of particular importance not only to people working in the Judiciary, but for the academics, students and all the other persons interested in human rights issues.

# სარჩევი

შესავალი და მეთოდოლოგია.....	13
შესავალი.....	13
კვლევის მეთოდოლოგია.....	14
ძირითადი მიგნებები.....	16
ნაწილი I.....	18
1. თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მიხედვით.....	18
2. არასრულწლოვანთა პატიმრობა კონვენციის მე-5 მუხლის მიხედვით.....	21
2.1. არასრულწლოვანთა წინასწარი პატიმრობა.....	21
2.2. არასრულწლოვანთა დაპატიმრება აღმზრდელობითი ზედამხედველობისთვის.....	23
3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა არასრულწლოვანი პირების აღკვეთის ღონისძიებასთან მიმართებით.....	26
4. არასრულწლოვნებთან მიმართებით აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენების ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან.....	34
4.1. საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა.....	36
5. არასრულწლოვანთა მიმართ საქმის სამართლიანად განხილვის უფლების გარანტიები.....	39
ნაწილი II.....	44
1. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტატისტიკური ანალიზი.....	44
2. პატიმრობა.....	50
საერთაშორისო სტანდარტები.....	50
ეროვნული კანონმდებლობა.....	57
2.1. მიმაღვის საფრთხე.....	58
საერთაშორისო სტანდარტები.....	58
ეროვნული პრაქტიკა.....	60
2.2. ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე.....	63
საერთაშორისო სტანდარტები.....	63
ეროვნული პრაქტიკა.....	64
2.3. მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებაში ჩარევის საფრთხე.....	68
საერთაშორისო სტანდარტები.....	68
ეროვნული პრაქტიკა.....	70

<b>3. გირაო.....</b>	<b>72</b>
საერთაშორისო სტანდარტები.....	72
ეროვნული კანონმდებლობა.....	73
<b>3.1. გირაოს გამოყენება ეროვნულ პრაქტიკაში .....</b>	<b>75</b>
<b>3.2. პატიმრობა, როგორც გირაოს უზრუნველყოფის საშუალება.....</b>	<b>79</b>
საერთაშორისო პრაქტიკა.....	79
ეროვნული პრაქტიკა.....	80
<b>4. ადგეუთის ღონისძიების სხვა სახეები.....</b>	<b>83</b>
4.1. მეთვალყურეობაში გადაცემა.....	84
4.2. შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ.....	87
4.3. პირადი თავდებობა.....	91
<b>5. კვლევის შედეგად გამოვლენილი ტენდენციები.....</b>	<b>93</b>
5.1. განჩინებათა კოლექტიური ბუნების პრობლემატიკა.....	93
5.2. ტერიტორიული ტენდენციები.....	95
<b>6. ეროვნული სასამართლოების მიერ საერთაშორისო სტანდარტების მითითებისა და გამოყენების პრაქტიკა.....</b>	<b>98</b>
<b>დასკვნა.....</b>	<b>108</b>
რეკომენდაციები.....	112

## შესავალი და კვლევის მეთოდოლოგია

### შესავალი

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებული თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება ფუნდამენტური უფლებაა, რომელზეც დამოკიდებულია მრავალი სხვა უფლების განხორციელება. მისი ურთიერთმიმართება ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან – საქმის სამართლიანი განხილვის უფლებასთან, ორგანულ კავშირს ქმნის ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემაში. აღნიშნული მუხლები მრავალკომპონენტია. შესაბამისად, კვლევის საგანი უფრო ვიწროა და ის კონცენტრირებულია არასრულწლოვნებთან მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული სტანდარტების ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში ასახვაზე. კერძოდ, კვლევის ფარგლებში აქცენტი გაკეთდა საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში, ეროვნული სასამართლოების მიერ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პრაქტიკასა და განხილვების დასაბუთებაზე.

კვლევის საგანს წარმოადგენს ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის ვიწრო სემგმენტი – ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის სტანდარტების გავრცელება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროზე, კერძოდ კი, არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიებებში მე-5 მუხლის სტანდარტების გამოყენება. აღნიშნული საკითხი თითქმის არ არის შესწავლილი ეროვნულ დონეზე. კვლევაში გაანალიზებულია ეროვნული სასამართლო პრაქტიკის მიდგომები და საერთაშორისო სტანდარტების (ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის) გამოყენების პრაქტიკა არასრულწლოვანთა საქმეებთან მიმართებაში.

აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვნების მართლმსაჯულებას, 1999 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსშიც ეთმობოდა შესაბამისი თავი, თუმცა, უდავოდ სიახლეს წარმოადგენს საზოგადოების ამ მოწყვლადი ჯგუფის განსაკუთრებული საჭიროებების აღიარება, რამაც საბოლოოდ განაპირობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შემუშავება. ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე ორიენტირებული არასრულწლოვანთა ეს სპეციალური კოდექსი საქართველოს კანონმდებლობისთვის ახალი ინსტიტუტია, რომელიც დახვეწასა და განვითარებას საჭიროებს. ამდენად, მნიშვნელოვანია არასრულწლოვნებთან მიმართებით ეროვნული სასამართლო პრაქტიკის

შესწავლა, რათა გამოიკვეთოს ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობა. საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში, წინამდებარე კვლევა წარმოადგენს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ 2017-2018 წლებში არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პრაქტიკის შესწავლას.

## კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებული იქნა შედარებითი ანალიზის, მიმოხილვის, სისტემური და სტატისტიკური კვლევის მეთოდები. სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზის მეშვეობით, შესაძლებელი გახდა საკვლევი პერიოდის განმავლობაში არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას არსებული ტენდენციების გამოვლენა.

აღსანიშნავია, რომ კვლევის სრულყოფილად ჩატარების მიზნით, საკვლევი ინფორმაციის შეგროვება მოხდა სხვადასხვა რეგიონის პირველი ინსტანციის სასამართლოებიდან წერილობითი მიმართვის საფუძველზე. პირველი ინსტანციის სასამართლოებიდან (როგორც საქალაქო, ისე რაიონული) სულ გამოთხოვილი იყო არასრულწლოვანთათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე 258 განჩინება. კვლევის ფარგლებში წარმოჩენილ იქნა, ერთი მხრივ, საერთო სასამართლოების მიერ ევროპული სტანდარტების შესაბამისი, სანიმუშო განჩინებები, რათა აღნიშნული მაგალითები ანალოგიური საქმეების განხილვისას სხვა მოსამართლეებმაც გამოიყენონ და მეორე მხრივ, ის საქმეები, სადაც ილუსტრირებულია ეროვნული სასამართლოების მიერ წარმოდგენილი არასრული ან საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამო დასაბუთება.

ნაშრომში გამოყენებულია აღნიშნულ თემასთან დაკავშირებული ქართულენოვანი და უცხოენოვანი კვლევები, აგრეთვე, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

კვლევა ისეა აგებული, რომ საერთაშორისო სტანდარტებს მოსდევს ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში აღნიშნული სტანდარტების იმპლემენტაციის საკითხის განხილვა, რაც საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა შეგვექმნას, თუ როგორ იყენებენ საქართველოს საერთო სასამართლოები საერთაშორისო კონვენციებს, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

ნაშრომში წარმოდგენილია ეროვნული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად გამოვლენილი ძირითადი მიგნებები. ამასთან, საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, შემოთავაზებულია რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ეროვნული სასამართლო პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის ხელშეწყობას.

## კვლევის სტრუქტურა

წინამდებარე კვლევის პირველი ნაწილი ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით გარანტირებული თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებას და არასრულწლოვან პირებთან მიმართებით აღნიშნული მუხლით დადგენილ სტანდარტებს. კვლევის პირველ ნაწილში შესწავლილია არასრულწლოვანებთან მიმართებით კონვენციის მე-5 მუხლის საფუძველზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი, რაც გულისხმობს არასრულწლოვანთა დაპატიმრების მიმოხილვას, აღმზრდელობითი ზედამხედველობისა და უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე წარდგენის მიზნით. გაანალიზებული თემები ასევე, მოიცავს არასრულწლოვანთა პატიმრობის პირობებს, პატიმრობის საფუძველებსა და იმ საკვანძო საკითხებს, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, არასრულწლოვანთა პატიმრობის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული.

კვლევის მეორე ნაწილში განხილულია საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ არასრულწლოვანების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახეების გამოყენების პრაქტიკა და განჩინებათა დასაბუთება, საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ჭრილში. კვლევის მოცემულ ნაწილში ასევე, განსაზღვრულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დაცული, საქმის სამართლიანად განხილვის უფლების გარანტიები არასრულწლოვანებთან მიმართებით, რაც პირდაპირ კავშირშია განჩინებათა დასაბუთების საკითხთან. ამავდროულად, აღნიშნულ ნაწილში მოცემულია ქართულ საკანონმდებლო სივრცეში არასრულწლოვანების მიმართ არსებული აღკვეთის ღონისძიების სახეების დეტალური ანალიზი და ეროვნულ დონეზე მათი გამოყენებისას გამოვლენილი ტენდენციები. გარდა ამისა, ამომწურავადაა შეფასებული ხსენებულ განჩინებებში საერთაშორისო კონვენციათა მითითებისა და გამოყენების ხარისხი.

## ძირითადი მიგნებები:

- კვლევის შედეგების მიხედვით, არასრულწლოვნების მიმართ გამოყენებულ, აღკვეთის ღონისძიების ყველაზე დომინირებულ სახეებს გირაო და პატიმრობა წარმოადგენს, რომლებიც გამოთხოვილი საქმეების 42%-ს და 27%-ს შეადგენენ. აღნიშნული კი, შესაძლოა იმაზე მიუთითებდეს, რომ პირველი ინსტანციის ეროვნული სასამართლოები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ახალი რედაქციით განსაზღვრულ აღკვეთის სხვა ღონისძიებებს შედარებით ნაკლებეფექტიანად მიიჩნევენ.
- საქმეთა შესწავლამ ცხადყო, რომ ხშირ შემთხვევაში, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას საფუძვლად უდევს არასრულწლოვანთა მიერ მძიმე დანაშაულის ჩადენა, რაც დადებით პრაქტიკად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში დაადგინა, რომ მხოლოდ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეზე ან სასჯელის სიმკაცრეზე მითითება ვერ გაამართლებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას.
- კვლევის შედეგად გამოვლენილი ტენდენციებიდან ასევე, აღსანიშნავია განჩინებათა საკმაოდ მოცულობითი ნაწილის კოლექტიური ბუნება. მართალია, მათი უმრავლესობა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისადაა ჩამოყალიბებული, თუმცა ეს გარემოება შესაძლოა, პრობლემური აღმოჩნდეს განსასჯელ ბრალდებულთა ინდივიდუალიზაციის დაბალი ხარისხის პირობებში.
- განჩინებათა შესწავლამ აგრეთვე ცხადყო, რომ სასამართლო პრაქტიკაში პრობლემურ საკითხად რჩება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტერეოტიპული დასაბუთება. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით გამოიკვეთა ერთ-ერთი სასამართლოს განჩინებებში.
- კვლევის ფარგლებში, საქმეთა შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემთხვევები, სადაც საერთო სასამართლოების მიერ არასრულწლოვნისთვის აღკვეთის ყველაზე ოპტიმალურ ღონისძიებად შერჩეულია გირაო, თუმცა, შემდეგ მის უზრუნველსაყოფად გამოყენებულია ყველაზე მკაცრი ზომა – პატიმრობა. მართალია, შეკავების ეს ღონისძიება მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებების



დროსაა გამოყენებული, თუმცა, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, რთულია, აღნიშნული პოზიტიურ პრაქტიკად მივიჩნიოთ.

- კვლევამ ცხადყო, რომ არასრულწლოვნებთან მიმართებით აღკვეთის ღონისძიების სახით, ყველაზე ხშირად გამოყენებული ღონისძიება არის გირაო. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გირაოს თანხის ოდენობის განსაზღვრასთან დაკავშირებით არ არის ჩამოყალიბებული ერთგვაროვანი პრაქტიკა. ეს გარემოება მეტწილად, საკანონმდებლო დონეზე ამ საკითხის ფართოდ მოწესრიგებითაა განპირობებული. აღნიშნული კი, მის უფრო კონკრეტულ საკანონმდებლო რეგულირების საჭიროებაზე მიუთითებს.
- განჩინებათა შესწავლის შედეგად ასევე, გამოვლინდა აღკვეთის ღონისძიების სახედ გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების გამოყენების განსაკუთრებით მწირი პრაქტიკა ისეთ „დიდ ქალაქებში“, როგორცაა თბილისი, ქუთაისი, ბათუმი და სხვ. სხვადასხვა გარემოებებთან ერთად, მოცემული გარემოება ტერიტორიული ფაქტორითაც შეიძლება აიხსნას.
- განჩინებების ანალიზმა ცხადყო, რომ საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოები არასრულწლოვანი პირების მიმართ აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების შესახებ განჩინებებში აქტიურად იყენებენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლებით დადგენილ სტანდარტებს და აგრეთვე, არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ სხვა საერთაშორისო დოკუმენტებს, როგორცაა მგალითად, გაეროს „პეკინის“ და „ჰავანის წესები“ და ასევე, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციები.
- კვლევის შედეგების გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლოები მეტწილად, რელევანტურად უთითებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს, თუმცა, განჩინებათა გარკვეული ნაწილი ხასიათდება საქმეთა ზედაპირული მოსხენიებით. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არგუმენტირებული მსჯელობა გაამყარონ სტრასბურგის სასამართლოს განმარტებებით და ინდივიდუალიზაციისა და სისტემური ანალიზის შედეგად, ისინი სათანადოდ მოარგონ საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებს.

# ნაწილი I

## 1. თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მიხედვით

თავისუფლების აღკვეთის კანონიერების საკითხების ანალიზისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლს და მის შესაბამისად დადგენილ სტანდარტებს. მოცემული საკითხი კი, უფრო მგრძობიარეა არასრულწლოვან პირებთან მიმართებით, გამომდინარე იქედან, რომ ისინი საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ. შესაბამისად, არასრულწლოვნებთან მიმართებით აღკვეთის ღონისძიების, კონკრეტულად კი, პატიმრობის გამოყენების საკითხის გადაწყვეტა საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას და საკითხის განსაკუთრებული გულისხმიერებითა და სიფრთხილით განხილვას. ამდენად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით დაცული თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლების კონტექსტში მნიშვნელოვანია, განვიხილოთ კონვენციის მოცემული მუხლის აგებულება, რომელიც ევროპული მართლწესრიგისთვის ზემოსხენებული უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი დოკუმენტის ერთ-ერთ ყველაზე კომპლექსურ დანაწესს წარმოადგენს.

მე-5 მუხლი ხუთი პუნქტისგან შედგება. სტრუქტურისა და აგებულების თვალსაზრისით, მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს ზოგად პრინციპს, რომელსაც თან მოჰყვება იმ გამონაკლისთა ამომწურავი ჩამონათვალი, რომლის არსებობის შემთხვევაშიც, თავისუფლების შეზღუდვა დასაშვები ხდება.<sup>2</sup> მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები ძირითადად, წარმოადგენენ საპროცესო გარანტიებს, რომლებიც აკონკრეტებენ დაკავებისა და დაპატიმრების მოთხოვნებს და შეიცავენ ზოგად დებულებებს მათი კანონიერების შემოწმებისა და გასაჩივრებისთვის.<sup>3</sup> ხოლო, მე-5 პუნქტი განსაზღვრავს კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევას.<sup>4</sup>

მე-5 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების თანახმად, „ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება.“ მოცემულ შემთხვევაში, ტერმინი „ყველა“ უნდა განიმარტოს ადამიანის უფლებათა

<sup>2</sup> Schabas, W. The European Convention On Human Rights: Commentary. United Kingdom: Oxford University Press, 2015. p. 226.

<sup>3</sup> იხ.: იქვე. გვ. 226.

<sup>4</sup> იხ.: იქვე. გვ. 226.

ევროპული კონვენციის 1-ელ მუხლში განსაზღვრული მნიშვნელობის შესაბამისად, რაც გულისხმობს კონვენციის ხელშემკვერელი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში მყოფ პირებს.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია მე-5 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი განსაზღვრება, რომ თავისუფლების აღკვეთა შესაძლებელია მხოლოდ კონვენციით დადგენილ შემთხვევებსა და კანონით გაწერილი პროცედურების არსებობისას. თავისუფლების პრეზუმფცია იმპერატიული ხასიათისაა და გულისხმობს, რომ პრეზუმფცია ყოველთვის გათავისუფლების სასარგებლოდ არსებობს. ამიტომ პირის მიმართ თავისუფლების შეზღუდვის გამოყენება დაიშვება გამონაკლისის სახით, აბსოლუტური აუცილებლობის არსებობისას.<sup>5</sup>

მიუხედავად დაცული უფლების განსაკუთრებული მნიშვნელობისა, ის არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას. ეს ნიშნავს, რომ განსაზღვრულ გარემოებათა არსებობისას იგი შესაძლებელია დაექვემდებაროს გარკვეულ შეზღუდვებს. სწორედ ეს შემთხვევებია განსაზღვრული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის a-f ქვეპუნქტებში. ამრიგად, მე-5 მუხლის თანახმად, დასაშვებია:

- უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირის კანონიერი დაპატიმრება (მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი);
- პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა (მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი);
- არასრულწლოვანის დაპატიმრება კანონიერი ბრძანების საფუძველზე მასზე აღმზრდელობითი ზედამხედველობისათვის ან მისი კანონიერი დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად (მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი);
- პირთა კანონიერი დაპატიმრება ინფექციურ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად ან სულით ავადმყოფების, ალკოჰოლიკების, ნარკომანებისა თუ მაწანწალების კანონიერი დაპატიმრება (მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი);
- პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება ქვეყანაში მის უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად ან იმ პირის დაკავება თუ დაპატიმრება, რომლის

---

<sup>5</sup> Patsuria v Georgia, ECtHR 06/11/2007, §66-67; Nikolaishvili v Georgia, ECtHR 13/04/2009, §75, იხ.: წიგნში: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გ. გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი, 2015, გვ. 57.

წინააღმდეგაც ხორციელდება ღონისძიებები დეპორტაციისა და თუ ექსტრადაციის მიზნით (კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი).

ზოგადად, კონვენციის მე-5 მუხლი მოწოდებულია დაიცვას ადამიანის თავისუფლება და ხელშეუხებლობა. შესაბამისად, იგი ახდენს პირის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლებების გარანტირებას, რომელიც როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (შემდგომში ევროპული სასამართლო, სტრასბურგის სასამართლო) აღნიშნავს საქმეში *დე ვაილდი, უმსი და ვერსიპი ბელგიის წინააღმდეგ*, ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს დემოკრატიულ საზოგადოებაში კონვენციით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.<sup>6</sup> იგი განამტკიცებს ინდივიდის ძირითად უფლებას, იყოს დაცული კონვენციის მე-5 მუხლით განსაზღვრულ სფეროში სახელმწიფოს თვითნებური ჩარევისგან.

მოსამართლეებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ თავისუფლების აღკვეთა ყოველთვის უნდა ხდებოდეს გამონაკლისის სახით, იყოს ობიექტურად გამართლებული და არ უნდა გრძელდებოდეს იმაზე მეტხანს, ვიდრე ეს აბსოლუტურად აუცილებელია.<sup>7</sup> თავისუფლების აღკვეთა უნდა ექვემდებარებოდეს დაუყოვნებელ აღდგენას, როდესაც იგი არ არის გამართლებული. მტკიცების ტვირთი ეკისრება მათ, ვინც განახორციელა ადამიანის თავისუფლების აღკვეთა. მტკიცების ტვირთი აუცილებლად მოითხოვს თვითკრიტიკულ ანალიზს იმ პირებისაგან, რომლებსაც კანონი ანიჭებს ადამიანის თავისუფლების აღკვეთის უფლებამოსილებას, რათა აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელებისას, მათ ყოველთვის დაიცვან მე-5 მუხლით დაწესებული შეზღუდვები. თუმცა, იმის გარანტია, რომ ასეთი ანალიზი გაკეთდა და იგი ეფექტიანი იყო, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოსამართლის სკეპტიკურ მიდგომაზე, როდესაც იგი ახორციელებს მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით მინიჭებულ საზედამხედველო ფუნქციას. ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც თავისუფლების აღკვეთის საკითხი საკამათო ხდება, მეტად მნიშვნელოვანია, მოსამართლემ საკითხის განხილვა დაიწყო იმ მრწამსით, რომ დაკავებული პირი უნდა გათავისუფლდეს. საკითხისადმი ასეთი მიდგომის თანახმად, მოსამართლემ არა მარტო უნდა მოითხოვოს თავისუფლების აღკვეთის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთება და წინასწარ წარმოდგენა, არამედ

<sup>6</sup> De Wilde, Ooms and Versyp v. Belgium, §65, სერია A N12, 18 ივნისი 1971.

<sup>7</sup> პირის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება – ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის განხორციელება, გზამკვლევი, ევროპის საბჭო, 2004, გვ. 2.

გულისყურით უნდა განიხილოს, თუ რამდენად შეესაბამება ისინი თავისუფლების აღკვეთის აუცილებლობას. საკითხისადმი ნაკლები გულისყურით მიდგომა გამოიწვევდა კანონის უზენაესობის უგულებელყოფას და თვითნებობის დამკვიდრებას.<sup>8</sup>

## 2. არასრულწლოვანთა პატიმრობა კონვენციის მე-5 მუხლის მიხედვით

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი განსაზღვრავს სისხლის სამართლის კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა დაპატიმრების საფუძვლებს: ა) უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირის კანონიერი დაპატიმრება; გ) პირის კანონიერი დაკავება უფლებამოსილი სასამართლო ორგანოს წინაშე მის წარსადგენად; დ) არასრულწლოვნის დაპატიმრება კანონიერი ბრძანების საფუძველზე მასზე აღმზრდელობითი ზედამხედველობისათვის. ეს ორი უკანასკნელი საფუძველი უნდა გაანალიზდეს, ვინაიდან ისინი ხელისუფლების ორგანოებს აკისრებენ გარკვეულ ვალდებულებებს.

### 2.1. არასრულწლოვანთა წინასწარი პატიმრობა

წინასწარი პატიმრობა გამოიყენება იმ შემთხვევებზე, როდესაც პირები გადაჰყავთ პოლიციის განყოფილებაში, მათ მიერ სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენის ეჭვის საფუძველზე. პატიმრობა იწყება პირის პოლიციის განყოფილებაში გადაყვანით და სრულდება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის არსებითი გარემოებების შესახებ გადაწყვეტილების მიღებით.<sup>9</sup> მართალია, არასრულწლოვნები სრულწლოვნების მსგავსი გარანტიებით სარგებლობენ, თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილია რამდენიმე დამატებითი პრინციპი, რათა ეროვნულ სისხლისსამართლებრივ სამართალწარმოებაში გამყარდეს არასრულწლოვანთა პოზიციები.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის განმარტების მიხედვით, პირს წინასწარი პატიმრობა შეიძლება შეეფარდოს მხოლოდ მაშინ,

<sup>8</sup> პირის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება – ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის განხორციელება, გზამკვლევი, ევროპის საბჭო, 2004, გვ. 6.

<sup>9</sup> იდალოვი რუსეთის წინააღმდეგ (Idalov v. Russia), No 5826/03, 22 მაისი 2012, § 112.

თუ არსებობს მის მიერ დანაშაულის ჩადენის გონივრული ეჭვი. დამატებით, წინასწარმა პატიმრობამ არ უნდა გადააჭარბოს გონივრულ ვადას და გონივრული ინტერვალით უნდა მოხდეს პატიმრობის გადასინჯვა. რაც უფრო ხანგრძლივია პატიმრობა, ხელისუფლებამ მის გასასამართლებლად მით უფრო მყარი მიზეზები უნდა წარმოადგინოს. სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, სისხლისსამართლებრივ დანაშაულში ბრალდებული პირი საქმის განხილვამდე უნდა გათავისუფლდეს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახელმწიფო წარმოადგენს განგრძობითი პატიმრობის გამამართლებელ „რელევანტურ და საკმარის“ მიზეზებს.<sup>10</sup>

არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ საქმეებში, ევროპული სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხელისუფლების ორგანოებმა, როდესაც ერთმანეთს უპირისპირებენ პატიმრობის მხარდამჭერ და საწინააღმდეგო არგუმენტებს, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ არასრულწლოვანის ასაკს; პატიმრობა გამოყენება უნდა იყოს როგორც უკიდურესი ზომა და რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში,<sup>11</sup> რაც გულისხმობს, რომ ხელისუფლებამ უნდა განიხილოს ალტერნატიული ღონისძიებები.<sup>12</sup> ამასთან, ხელისუფლების ორგანოებმა უნდა გამოიჩინონ განსაკუთრებული გულისხმიერება, რათა არასრულწლოვნები სასამართლოს წინაშე გონივრულ ვადაში წარადგინონ.<sup>13</sup>

მაგალითი: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *ნარტი თურქეთის წინააღმდეგ*<sup>14</sup> (ეგლევაში დეტალურადაა განხილული), ეხება 17 წლის მომჩივანს, რომელიც ბოსტნეულის მაღაზიის ძარცვის ბრალდებით დააკავეს. ის 48 დღის განმავლობაში დაპატიმრებული იყო სრულწლოვანი პირებისთვის განკუთვნილ სასჯელსრულლების დაწესებულებაში. იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივანი არასრულწლოვანი იყო, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „არასრულწლოვანთა პატიმრობა გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ როგორც უკიდურესი ზომა და უნდა იყოს რაც შეიძლება მოკლევადანი. იმ შემთხვევაში, თუ პატიმრობა მკაცრად აუცილებელია, არასრულწლოვნები სრულწლოვნებისგან განცალკევებით უნდა მოათავსონ.<sup>15</sup> წინამდებარე საქმეში ხელისუფლება ეცადა პირის წინასასამართლო პატიმრობა „გაემართლებინა იმ გარემოებებით, რომ ის მსგავსი დანაშაულების ჩადენისთვის წარსულშიც იყო ნასამართლევნი და ასევე,

<sup>10</sup> სმირნოვა რუსეთის წინააღმდეგ (Smirnova v. Russia), No 46133/99 და 48183/99, § 58, 24 ივლისი, 2003.

<sup>11</sup> კორნეიკოვა უკრაინის წინააღმდეგ (Korneykova v. Ukraine), No 39884/05, § 43-44, 19 იანვარი 2012, ჯ. მ. დანიის წინააღმდეგ (J.M. v. Denmark), No 34421/09, § 63, 13 ნოემბერი, 2012.

<sup>12</sup> დინჩი და ჩაკირი თურქეთის წინააღმდეგ (Dinc and Cakir v. Turkey), No 66066/09, პარ. 63, 9 ივლისი 2013. გუვეჩი თურქეთის წინააღმდეგ (Guvec v. Turkey), No 70337/01, § 108, 20 იანვარი 2009.

<sup>13</sup> კუპტოვი და კუპტოვა რუსეთის წინააღმდეგ (Kuptsov and Kuptsova v. Russia), No 6110/03, §91, 3 მარტი, 2011.

<sup>14</sup> Nart v. Turkey, No 20817/04, 6 მაისი 2008.

<sup>15</sup> იქვე, § 31.

მას ბრალი ედებოდა შეირადებულ ძარცვაში, რაც 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯებოდა.“ თუმცა, ამის მიუხედავად, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მხოლოდ აღნიშნული გარემოებები ვერ გაამართლებდა მომჩივნის პატიმრობის ხანგრძლივობას. შესაბამისად, სასამართლომ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა დაადგინა.

## 2.2. არასრულწლოვანთა დაპატიმრება აღმზრდელობითი ზედამხედველობისთვის

კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს არასრულწლოვნის თავისუფლების შეზღუდვას იმის მიუხედავად, არის თუ არა ის სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენაში ექვემდებარებული.<sup>16</sup> არასრულწლოვანთა პატიმრობის კონტექსტში, აღმზრდელობითი ზედამხედველობა ხისტად არ უნდა გაიგივდეს საკლასო სწავლებასთან. ამგვარი ზედამხედველობა მოიცავს ხელისუფლების ორგანოს მიერ მშობლის უფლებებების განხორციელების მრავალ ასპექტს, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით.<sup>17</sup> მიუხედავად ამისა, „აღმზრდელობითი ზედამხედველობა“ უნდა მოიცავდეს სწავლების მნიშვნელოვან ასპექტს; ამდენად, სწავლება, რომელიც შეესაბამება ჩვეულებრივი სკოლის კურიკულუმს, ყველა დაპატიმრებული არასრულწლოვნისთვის სტანდარტულ აქტივობას წარმოადგენს, მაშინაც კი, თუ ისინი შეზღუდული დროის განმავლობაში დროებითი დაკავების ცენტრში იმყოფებიან, რათა არ არსებობდეს წყვეტა მათ განათლებაში.<sup>18</sup> არასრულწლოვნის პატიმრობა, რომელიც მიზნად ისახავს „ქცევის კორექციას“ ან შემდგომი დანაშაულის ჩადენის თავიდან არიდებას, არ არის დაშვებული მე-5 მუხლის ზემოხსენებული ქვეპუნქტის მიხედვით.<sup>19</sup>

არასრულწლოვნის მოთავსება დახურულ დაწესებულებაში ასევე, უნდა შეესაბამებოდეს „აღმზრდელობითი ზედამხედველობის“ მიზნებს. ის უნდა წარმოადგენდეს უკიდურეს ღონისძიებას, რომელიც გატარდა ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე დაყრდნობით და რომელიც მიზნად ისახავს ბავშვის განვითარებისთვის სერიოზული რისკების თავიდან არიდებას, მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეზე დ. ლ.

<sup>16</sup> დ. ლ. ბულგარეთის წინააღმდეგ, (D.L v. Bulgaria), №7472/14, §71, 19 მაისი, 2016.

<sup>17</sup> პ. და ს. პოლონეთის წინააღმდეგ (P. and S. v. Poland), №57375/08, 30 ოქტომბერი, 2012.

<sup>18</sup> ბლოხინი რუსეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (Blokhin v. Russia) [GC], #47152/06, §170, 23 მარტი, 2016.

<sup>19</sup> ბლოხინი რუსეთის წინააღმდეგ, დიდი პალატა, Blokhin v. Russia [GC], #47152/06, §171, 23 მარტი 2016.

ბულგარეთის წინააღმდეგ, ზემოხსენებულ სერიოზულ რისკად მიჩნეულ იქნა არასრულწლოვნის პროსტიტუციაში ჩართვა.<sup>20</sup>

თუ სახელმწიფოს აღმზრდელობითი ზედამხედველობის განსახორციელებლად არჩეული აქვს თავისუფლების აღკვეთა, ის ვალდებულია მოაწიოს სათანადო ინსტიტუციური დაწესებულებები, რომლებიც აკმაყოფილებენ უსაფრთხოებისა და საგანმანათლებლო მოთხოვნებს, რათა დააკმაყოფილდეს კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.<sup>21</sup> პედაგოგიური და საგანმანათლებლო სისტემის შერჩევასთან დაკავშირებით, სახელმწიფოები უნდა სარგებლობდნენ შეფასების ფართო ფარგლებით.<sup>22</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ მიიჩნევს, რომ არასრულწლოვნის დაწესებულებაში მოთავსება თავისთავად წარმოადგენს „აღმზრდელობით ზედამხედველობას“ თუ აღნიშნულ დაწესებულებაში არ მიმდინარეობს აღმზრდელობითი აქტივობები.<sup>23</sup>

ამრიგად, „აღმზრდელობითი ზედამხედველობა“ ძირითადად, გულისხმობს პედაგოგიური მეთოდების გამოყენებით, არასრულწლოვანის განვითარებაზე დადებითი გავლენის მოხდენის მიზანს. ეს გამორიცხავს წმინდა სადამსჯელო ზომებს და მოითხოვს სათანადო დაწესებულებასა და შესაბამისი მომზადების მქონე პერსონალს.<sup>24</sup> ამასთან, აღსანიშნავია, რომ აღმზრდელობითი ზედამხედველობის განხორციელების მიზნით, პატიმრობა მკაცრად უნდა იყოს დროში შეზღუდული.

ამრიგად, პატიმრობის აღნიშნული ფორმა გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც არასრულწლოვნები აგრესიული ქცევიდან და რთული პიროვნული მახასიათებლებიდან გამომდინარე, საჭიროებენ აღმზრდელობით ზედამხედველობას.<sup>25</sup>

მაგალითი: გადაწყვეტილება საქმეზე *ბუამარი ბელგიის წინააღმდეგ*<sup>26</sup> ეხება არასრულწლოვნის პატიმრობაში მოთავსების ცხრა ეპიზოდს, დაახლოებით, 15 დღის განმავლობაში. მომჩივანი იყო მოზარდი, რომელიც აგრესიული ქცევით გამოირჩეოდა. ბელგიის მთავრობამ განაცხადა, რომ ის პატიმრობაში მოათავსეს აღმზრდელობითი ზედამხედველობის მიზნებისთვის. სტრასბურგის

<sup>20</sup> დ. ლ. ბულგარეთის წინააღმდეგ (D. L v. Bulgaria), №7472/14, 19 მაისი 2016, §§73-74.

<sup>21</sup> ა. და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (A and others v. Bulgaria), №51776/08, §69, 29 ნოემბერი 2011.

<sup>22</sup> დ. ლ. ბულგარეთის წინააღმდეგ (D.L. v. Bulgaria), №7472/14, §77, 19 მაისი, 2016.

<sup>23</sup> იჩინი და სხვები უკრაინის წინააღმდეგ (Ichin and others v. Ukraine), №28189/04 და 28192/04, 21 დეკემბერი, 2010.

<sup>24</sup> ბუამარი ბელგიის წინააღმდეგ, Bouamar v. Belgium, №9106/80, § 52, 29 თებერვალი 1988.

<sup>25</sup> Guide on Article 5 of the European Convention on Human Rights, Right to liberty and security, © Council of Europe/European Court of Human Rights, 2018, p. 22.

<sup>26</sup> Bouamar v. Belgium, №9106/80, 29 თებერვალი, 1988.



სასამართლომ განაცხადა, რომ პატიმრობაში დროებითი მოთავსება თავისთავად არ ეწინააღმდეგება კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტს, თუ ხელისუფლების ორგანოები ცდილობენ არასრულწლოვანი აღმზრდელობითი ზედამხედველობის ქვეშ მოაქციონ. მიუხედავად ამისა, მომჩივნის საქმეში სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ეჩვენებინა, რომ მათ სურდათ ან შესაძლებლობა ჰქონდათ არასრულწლოვანი მოეთავსებინათ იმგვარ დაწესებულებაში, სადაც იგი შეძლებდა ესარგებლა აღმზრდელობითი ზედამხედველობით. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლომ კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის დარღვევა დაადგინა.

მაგალითი: საქმე *დ. გ. ირლანდიის წინააღმდეგ*,<sup>27</sup> ეხებოდა აგრესიული ბავშვის მოთავსებას დაკავების ცენტრში. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „აღმზრდელობითი ზედამხედველობის“ ცნება მკაცრად არ უნდა გაიგივდეს საკლასო სწავლებასთან. აღმზრდელობითი ზედამხედველობა მოიცავს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მშობლის უფლების განხორციელების მრავალ ასპექტს, არასრულწლოვნის დაცვის მიზნით და მის სასიკეთოდ. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ დასაშვებად მიიჩნევს არასრულწლოვანთა დაკავების ცენტრში დროებით მოთავსებას, ვიდრე ხელისუფლება მათთვის შესაბამის საცხოვრებელს არ იძოვის, იმ პირობით, რომ ეს პროცესი დროულად წარიმართება. მომჩივნის საქმეში ეს უკანასკნელი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან ის შესაფერის საცხოვრებელში მოათავსეს ექვს თვეზე მეტი ხნის შემდეგ. ამრიგად, სასამართლომ კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის დარღვევა დაადგინა.

მაგალითი: გადაწყვეტილებაში საქმეზე *სუზი კონიარსკა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*,<sup>28</sup> სადაც სასამართლოების მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება არასრულწლოვანის უსაფრთხო საცხოვრებელ ადგილას გადაყვანის თაობაზე, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანს თავისუფლება აღეკვეთა, რადგან ეროვნულ სასამართლოებს არ ჰქონდათ მომჩივანზე მეურვეობის უფლება. მიუხედავად ამისა, სასამართლომ ჩათვალა, რომ დაკავების შესახებ გადაწყვეტილება „აღმზრდელობითი ზედამხედველობის“ მიზნით და აქედან გამომდინარე, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად იქნა მიღებული, რადგან მომჩივანი – ფსიქოპათიით დაავადებული არასრულწლოვანი გაგზავნილი იქნა მძიმედ დაავადებულ ახალგაზრდა პირთა სპეციალიზებულ საცხოვრებელ ადგილას, სადაც შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდებოდა.<sup>29</sup>

<sup>27</sup> D. G. v. Ireland, № 39474/98, 16 მაისი, 2002.

<sup>28</sup> Koniarska v. the United Kingdom, №33670/96, 12 ოქტომბერი, 2000.

<sup>29</sup> პირის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება – ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის განხორციელება, გზამკვლევი, ევროპის საბჭო, 2004, გვ. 70.

### 3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა არასრულწლოვანი პირების აღკვეთის ღონისძიებასთან მიმართებით

როგორც ზემოთ აღინიშნა, არასრულწლოვანი პირებისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდება სასამართლოს მხრიდან საჭიროებს განსაკუთრებით ფრთხილ და გულმოდგინე დამოკიდებულებას. მნიშვნელოვანია საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების ზედმიწევნით სიზუსტითა და სიფრთხილით გაანალიზება და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვეტილების მიღება. არასრულწლოვანი პირები წარმოადგენენ საზოგადოების მოწყველად წევრებს, რომელთა მიმართაც თავისუფლების შემზღვეველი ნებისმიერი აქტის განხორციელებას განსაკუთრებით, ესაჭიროება პერსონალური მიდგომა. სწორედ ამიტომ, კონვენციის მე-5 მუხლით დადგენილი სტანდარტები განსაკუთრებული სიფრთხილით გამოირჩევა არასრულწლოვან პირებთან მიმართებით. ზოგადად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში არასრულწლოვან პირებთან მიმართებით აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით არ გვხვდება ძალიან ბევრი პრეცედენტი. ხშირად, ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებებში მიუთითებს, რომ სრულწლოვან პირთა მიმართ გამოსაყენებელი სტანდარტი უნდა გავრცელდეს არასრულწლოვან პირებზე, თუმცა მეტი გულისხმიერებითა და სიფრთხილით, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არასრულწლოვან პირებში მოიაზრებს 18 წლამდე ასაკის ინდივიდებს,<sup>30</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 72(M) რეზოლუციის გათვალისწინებით. როგორც უკვე აღინიშნა, კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ადგენს გარემოებებს, რომლის დროსაც შესაძლებელია არასრულწლოვანი პირებისთვის თავისუფლების შეზღუდვა. ასევე, იგი ჩამოთვლის კონკრეტულ, მაგრამ არაამომწურავ მიზნებს, რომელთა არსებობის დროსაც შესაძლებელია არასრულწლოვანი პირებისთვის თავისუფლების შეზღუდვა, ესენია: აღმზრდელობითი ზედამხედველობა და კომპეტენტური სასამართლოს წინაშე არასრულწლოვანი პირის წარდგენა.<sup>31</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეში ჩამოთვალა ის გარემოებები, რომელთა არსებობის დროსაც დასაშვებია აღკვეთის

<sup>30</sup> კონიარსკა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (განჩინება), *Koniarska v. The United Kingdom* (dec.), №33670/96, 2000 წლის 10 ოქტომბერი.

<sup>31</sup> მუბილანზილა მაიეკა და კანიკი მიტუნგა ბელგიის წინააღმდეგ (*Mubilanzila Mayeka and Kaniki Mitunga v. Belgium*), № 13178/03, ECHR 2006-XI.

ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება. ეს სტანდარტები მიემართება როგორც სრულწლოვან, ასევე არასრულწლოვან პირებს. ეს ის შემთხვევებია, როდესაც:

ა) არსებობს გონივრული ეჭვი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაული;

ბ) სახეზეა მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, რომლებიც ამყარებენ ვარაუდს, რომ ბრალდებული:

- კომპეტენტური სასამართლო ხელისუფლების წინაშე არ გამოცხადდება (მიმალვის საფრთხე);<sup>32</sup>
- გათავისუფლების შემთხვევაში, ხელს შეუშლის მართლმსაჯულების ჯეროვან ადმინისტრირებას (სამართალწარმოებაზე გავლენის მოხდენა);<sup>33</sup>
- სხვა დანაშაულს ჩაიდენს ან გაიმეორებს დანაშაულს;<sup>34</sup>
- საჯარო წესრიგს დაარღვევს.<sup>35</sup>

გ) არ არსებობს სხვა სახის იძულების ალტერნატიული ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა;

დ) ხსენებული ღონისძიება წარმოადგენს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესის ნაწილს.<sup>36</sup>

ზემოხსენებული რისკები გვევლინება ობიექტურ საფუძველად აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებისთვის. თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ კმაყოფილდება მხოლოდ ფორმალურად ამ რისკებზე მითითებით. მნიშვნელოვანია არსებობდეს კონკრეტული გამამყარებელი გარემოებები, რომლის ფარგლებშიც ობიექტური პირი დარწმუნდებოდა, რომ პატიმრობის ღონისძიების გამოყენებლობის შემთხვევაში ადგილი ექნება ზემოთ ჩამოთვლილ რომელიმე შემთხვევას.

კვლევის ფარგლებში მიზანშეწონილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან არასრულწლოვნებთან დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი საქმის განხილვა. 2008 წლის საქმეზე *ნარტი თურქეთის წინააღმდეგ*, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, ხმების საერთო რაოდენობით – ხუთი ხმით ორის წინააღმდეგ დაადგინა, რომ

<sup>32</sup> ბუზადჯი მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ [დიდი პალატა] (Buzadji v. the Republic of Moldova) [GC], № 23755/07, § 88, 5 ივლისი, 2016.

<sup>33</sup> ტირონი რუმინეთის წინააღმდეგ (Tiron v. Romania), № 17689/03, § 37, 7 აპრილი, 2009.

<sup>34</sup> სმირნოვა რუსეთის წინააღმდეგ (Smirnova v. Russia), № 46133/99 da 48183/99, § 59, ECHR 2003-IX, ამონარიდები.

<sup>35</sup> პირუზიანი სომხეთის წინააღმდეგ (Piruzyan v. Armenia), № 33376/07, § 94, 26 ივნისი 2012.

<sup>36</sup> ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული რეკომენდაცია (№2006/13), რომელიც ეხება წინასწარი პატიმრობის შეფარდებას, პატიმრობის პირობებს და პატიმრობის შეფარდების დროს თვითნებობისაგან დაცვის გარანტიებს.

არასრულწლოვანთან მიმართებით აღკვეთის ღონისძიების სახით 48-დღიანი პატიმრობის გამოყენება არდევდა მომჩივნის კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ უფლებებს.<sup>37</sup> საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, მომჩივანი 17 წლის არასრულწლოვანი იყო, რომელიც დააკავეს ბოსტნეულის მაღაზიის ძარცვის ბრალდებით. მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა პატიმრობა, რომლის ფარგლებშიც მოთავსებული იქნა სრულწლოვანი პირების საპატიმრო დაწესებულებაში. მომჩივნის ადვოკატმა ეროვნულ სასამართლო ხელისუფლებას მიმართა არასრულწლოვანი პირის გათავისუფლების მოთხოვნით და მიუთითა, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება უნდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ უკიდურესი საშუალება. ადვოკატმა ყურადღება გაამახვილა იმაზეც, რომ არასრულწლოვანი პატიმრობისას უნდა მოთავსებულიყო სრულწლოვანი პირებისგან განცალკევებულ საპატიმრო დაწესებულებაში. სასამართლომ არ გაიზიარა ადვოკატის შუამდგომლობა იმ საფუძველზე, რომ არასრულწლოვანი პირის მიერ ჩადენილი ქმედება თავისი ბუნებით წარმოადგენდა მძიმე დანაშაულს, ხოლო კონკრეტული მტკიცებულებებით დასტურდებოდა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მიზანშეწონილობა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მოიხმო უამრავი საერთაშორისო ინსტრუმენტი, რომელთა მიხედვითაც, საპატიმრო ღონისძიება უნდა წარმოადგენდეს უკიდურეს ზომას, ხოლო საპატიმრო ღონისძიების გამოყენებამდე გულდასმით უნდა მოხდეს ყველა სხვა ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობის გამოკვლევა. სასამართლომ გაიზიარა მომჩივნის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა უნდა ყოფილიყო გამოყენებული მხოლოდ და მხოლოდ იმ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც სხვა ალტერნატიული ზომის შეფარდება ალოგიკური იქნებოდა დემოკრატიულ საზოგადოებაში არსებული ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად. სასამართლომ ასევე, ნათლად მიუთითა, რომ არასრულწლოვანი პირის სრულწლოვან პირებთან ერთად საერთო საპატიმრო დაწესებულებაში მოთავსება ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის სულისკვეთებას, იმდენად, რამდენადაც არასრულწლოვანი პირი განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირს წარმოადგენს, რომლის ფსიქოლოგიურ-მენტალური მდგომარეობა თვისობრივად განსხვავდება სრულწლოვანი პირის კონდიციისგან.

აგრეთვე, საინტერესოა, სტრასბურგის სასამართლოს მოსაზრება აღკვეთის ღონისძიების ხანგრძლივობის გონივრულობის შესახებ. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი ვერ შეფასდება ე. წ. *in abstracto* კრიტერიუმებზე დაყრდნობით, არამედ არასრულწლოვანი პირისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების საკითხი აუცილებლად უნდა შეფასდეს

<sup>37</sup> Nart v. Turkey, № 20817/04, 6 მაისი 2008.

ინდივიდუალური ფაქტობრივი გარემოებების სრულად გამოკვლევის, აღქმისა და გაანალიზების კონტექსტში. სასამართლო აღნიშნავს, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება მხოლოდ მაშინ არის ნებადართული, როდესაც კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, იკვეთება კონკრეტული ელემენტები, სადაც ნათელია საჯარო წესრიგის უპირატესი და აღმატებული ინტერესი, რომლის დროსაც მიუხედავად უდანაშაულობის პრეზუმფციისა და დემოკრატიული საზოგადოებისთვის თავისუფლების უფლების განუზომელი მნიშვნელობისა, არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა გადაწონის ყოველივე ზემოთქმულს. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე სახელმწიფომ ვერ შეძლო დამაჯერებელი მტკიცებულებების წარმოდგენა, რომელიც სტრასბურგის სასამართლოს დაარწმუნებდა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების უკიდურეს აუცილებლობაში. მით უმეტეს, ვერ გამართლდებოდა სახელმწიფოს მოქმედება არასრულწლოვანი პირის სრულწლოვან პირებთან მოთავსების კონტექსტში. ნათელია სასამართლოს პოზიცია, რომ მან დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა. მოპასუხე სახელმწიფოს დაევალა მომჩივნისთვის კომპენსაციის სახით 750 ევროს გადახდა.

ამ კუთხით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2006 წლის 10 იანვრის საქმე *სელჩუკი თურქეთის წინააღმდეგ*.<sup>38</sup> 2001 წლის 27 დეკემბერს, მომჩივანი დააკავეს დაწყებითი სკოლიდან კომპიუტერის მოპარვისა და ძარცვის ბრალდებით. ამ დროისთვის მომჩივანი 16 წლის არასრულწლოვანი იყო. დაკითხვისას მან აღიარა, რომ მეგობარს ეხმარებოდა კომპიუტერის გატანაში. მოსამართლემ მხედველობაში მიიღო რა, მიმალვისა და განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკი, მას აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა შეუფარდა. საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაშიც მომჩივანი მოათავსეს სრულწლოვან პირებთან ერთად. მომჩივნის ადვოკატმა ეროვნულ სასამართლოს მიმართა პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეცვლის მოთხოვნით. იგი უთითებდა, რომ არ არსებობდა რეალური რისკი, რომელიც საჯარო წესრიგისა და კოლექტიური უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, გაამართლებდა მომჩივნის დაპატიმრებას. მომჩივანმა საჩივრით მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს და მიუთითა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას. იგი დავობდა, რომ ეროვნული სასამართლო ხელისუფლების ფარგლებში არ განხორციელებულა მოწმეებზე გავლენის მოხდენის ან სხვა განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკების საფუძვლიანი ანალიზი. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მიმალვის რისკი ვერ დასაბუთდება მხოლოდ სასჯელის მაღალ ზომაზე მითითების მეშვეობით.

---

<sup>38</sup> Selçuk v. Turkey, № 21768/02, 10 იანვარი, 2006.

ევროპული სასამართლო უამრავ საქმეში უსვამს ხაზს მიმალვის რისკის დასაბუთების თემატიკას. მაგალითად, საქმეზე *პანჩენკო რუსეთის წინააღმდეგ*, სასამართლო აღნიშნავს, რომ გარდა სასჯელის ზომის მხედველობაში მიღებისა, მნიშვნელოვანია უამრავი სხვა რელევანტური ფაქტორის გათვალისწინება.<sup>39</sup> ხოლო საქმეზე *ბეციევი მოლდოვის წინააღმდეგ*, სასამართლო მიუთითებს, რომ რელევანტურ ფაქტორებში მოიაზრება ინდივიდის ხასიათი, მორალი, საქმიანობა, ქონება, ოჯახური კავშირები და ყველანაირი კავშირი, რომელიც მას გააჩნია ადგილსამყოფელ ქვეყანასთან.<sup>40</sup>

შესაბამისად, მიმალვის საფუძვლით პატიმრობის მიზანშეწონილობის საკითხის განხილვისას, გასათვალისწინებელია ისეთი გარემოებები, როგორცაა:

- ბრალდებულის პიროვნებისა და ხასიათის თავისებურებები,<sup>41</sup> ბრალდებულის აშკარა სიძულვილი პატიმრობისადმი,<sup>42</sup> წარსულში პროცესის მწარმოებელ ორგანოში გამოძახებისთანავე გამოცხადება;<sup>43</sup>
- მის ხელთ არსებული ფინანსური რესურსები, ქონება, რომლის დატოვებაც მას მოუწევს მიმალვის შემთხვევაში;
- ოჯახური მდგომარეობა და კავშირები;<sup>44</sup>
- ბრალდებულის კავშირები საზღვარგარეთ;
- მოსალოდნელი განაჩენის სიმკაცრე;
- ბრალდებულის მჭიდრო კონტაქტები საზღვარგარეთ, რამაც შეიძლება გაადვილოს მიმალვა;
- გარანტიების ხარისხი, რომლითაც უზრუნველყოფილია პირის სასამართლოში გამოცხადება<sup>45</sup> და სხვ.

საგულისხმოა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი – *ქლოთის* საქმე,<sup>46</sup> სადაც სასამართლო აღნიშნავს, რომ ბრალდების სერიოზულმა და მძიმე ბუნებამ შესაძლებელია უბიძგოს სახელმწიფოს აღკვეთის უკიდურესი და უმკაცრესი

<sup>39</sup> Panchenko v. Russia, № 45100/98, § 106, 8 თებერვალი 2005.

<sup>40</sup> Becciev v. Moldova, № 9190/03, § 58, 4 ოქტომბერი, 2005.

<sup>41</sup> ლეტელიე საფრანგეთის წინააღმდეგ (*Letellier v. France*), N 12369/86, 1991 წლის 26 ივნისი.

<sup>42</sup> რაც მნიშვნელოვნად იქნა მიხნეული საქმეში – *Stögmüller v. Austria*, 1969 წლის 10 ნოემბერი.

<sup>43</sup> ვ. შვეიცარიის წინააღმდეგ (*W. v. Swetzerland*), N 14379/88, 1993 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება.

<sup>44</sup> საქმე *Letellier v. France*, სადაც მომჩივანი იყო მცირეწლოვანი ბავშვების დედა.

<sup>45</sup> საქმეში *Wemhoff v. the Federal Republic of Germany* – მომჩივანმა არაერთგზის მიმართა მთავრობას და აცნობა, რომ მზად არ იყო გირაოს სახით გადაეხადა დიდი თანხა გათავისუფლების სანაცვლოდ, მაგრამ საქმეში *Letellier v. France* – ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ დაადგინეს, რომ აღეკვამური გარანტიები არ ყოფილა წარმოდგენილი. უფრო მეტიც, საქმეში – *Stögmüller v. Austria* ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანი, მიუხედავად იმისა, რომ გათავისუფლებული იყო გირაოთი, დიდი ხნით ადრე იყო მზად, მიეცა ანალოგიური გარანტიები.

<sup>46</sup> *Clooth v. Belgium*, 12 დეკემბერი 1991, § 40, Series A N 225.

ღონისძიების გამოყენებისკენ, იმისათვის, რომ მოახდინოს მომავალში დანაშაულის შესაძლო ჩადენის პრევენცია. თუმცა, ბრალდების სიმძიმე უპირობოდ არ მოიაზრებს და არც შეიძლება რომ მოიაზროს ახალი დანაშაულის ჩადენის ალბათობა, რომელზე დაყრდნობითაც განსორციელდება აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება. არამედ, როგორც სასამართლო აღნიშნავს, საფრთხე უნდა იყოს გონივრულად განჭვრეტადი, ხოლო მოსამართლემ აღკვეთის ღონისძიების უკიდურესი ზომის გამოყენებისას, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ბრალდებულის ისტორია და პიროვნული მახასიათებლები და მხოლოდ ამ ფაქტორების ინდივიდუალური ანალიზის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება პატიმრობის ან აღკვეთის ღონისძიების ალტერნატიული ზომის გამოყენების თაობაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2009 წლის გადაწყვეტილებაში, საქმეზე *იპეკი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ*, ხაზი გაუსვა პირის ასაკს, როგორც არასრულწლოვანი პირისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებისას მხედველობაში მისაღებ უმნიშვნელოვანეს ელემენტს.<sup>47</sup> მოცემულ შემთხვევაში, პოლიციამ 16 წლის ბიჭები დააკავა ქურდობის ბრალდებით, ხოლო მოსამართლის წინაშე მათი წარდგენა კი, განსორციელდა 3 დღისა და 9 საათის შემდეგ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა და დაადგინა, კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა იმ საფუძველზე, რომ არასრულწლოვნები 4 დღის განმავლობაში დაპატიმრებულნი იყვნენ პროცედურული გარანტიების გარეშე, კერძოდ, მათთვის არ იყო უზრუნველყოფილი ადვოკატის ხელმისაწვდომობა. მოცემულ გადაწყვეტილებაში სასამართლო ორ ადგილას უსვამს ხაზს მომჩივანთა ასაკს, როგორც აუცილებლად გასათვალისწინებელ ასპექტს. 1. „ის ფაქტი, რომ მომჩივნები დაკავების დროისთვის წარმოადგენდნენ არასრულწლოვან პირებს;“ და 2. „ეს არასრულწლოვნები ადვოკატთან წვდომისა და ზოგადად, დაცვის ადეკვატურ გარანტიებთან და მექანიზმებთან წვდომის გარეშე იყვნენ მოთავსებულები საპატიმროში.“

შემდეგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ეხება 13 წლის არასრულწლოვანი პირისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შეფასების თემატიკას. 2018 წლის საქმეზე, *აგიტ დემირი თურქეთის წინააღმდეგ*, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა.<sup>48</sup> საქმე ეხებოდა არასრულწლოვანი პირისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებას იმ მიზეზით, რომ იგი მონაწილეობას იღებდა კონკრეტულ დემონსტრაციაში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ 13 წლის არასრულწლოვანი

<sup>47</sup> İpek and Others v. Turkey, № 17019/02 და 30070/02, 3 თებერვალი, 2009.

<sup>48</sup> Agit Demir v. Turkey, № 36475/10, 27 თებერვალი 2018.

პირისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება იმგვარად, რომ მოპასუხე სახელმწიფოს არც კი განუხილავს სხვა ალტერნატიული, აღკვეთი ღონისძიების უფრო მსუბუქი სახის გამოყენების მიზანშეწონილობა, თავისთავად წინააღმდეგობაში მოდიოდა კონვენციის მე-5 მუხლის პირველ პუნქტთან. სასამართლომ დაადგინა, რომ მოსამართლეს არასრულწლოვანი პირების საქმეთა გადაწყვეტის დროს მართებდა განსაკუთრებული გულმოდგინებისა და გულისხმიერების გამოჩენა. სასამართლო უთითებს, რომ არასრულწლოვანი პირები წარმოადგენენ მოწყველად პირებს დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო მოსამართლეებს ყოველი ფაქტობრივი გარემოების ინდივიდუალური და საფუძვლიანი ანალიზის შემდეგ ევალებათ დაადგინონ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა. მოცემულ შემთხვევაში, არასრულწლოვანის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა ისე იყო გამოყენებული, რომ მოსამართლეს არც კი განუხილავს აღკვეთის სხვა ღონისძიების გამოყენების რაციონალურობა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა 2 გადამწყვეტ გარემოებაზე, რომელმაც არსებითი გავლენა იქონია გადაწყვეტილების მიღებაზე. ესენია: მომჩივნის ასაკი და აღკვეთის ღონისძიების სიფრთხილით გამოყენების მიზანშეწონილობა, როგორც აღკვეთის ღონისძიების უკიდურესი საშუალების გამოყენების წინაპირობა. შედეგად, მოცემულმა გადაწყვეტილებამ კიდევ ერთხელ გაამყარა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკა, რომლის ფარგლებშიც კიდევ ერთხელ ხაზი გაისვა, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას მომჩივნის ასაკს უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია, ხოლო პატიმრობის აღკვეთის ღონისძიება კი, გამოყენებული უნდა იქნას როგორც საბოლოო და უკიდურეს საშუალებად ყველაზე უფრო კატეგორიულ შემთხვევებში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ეროვნული ხელისუფლების ორგანოებისგან მოითხოვს განსაკუთრებულ გულმოდგინებას, როდესაც საქმე ეხება არასრულწლოვანთა დაპატიმრებას.

ზემოთ ხსენებული გარანტიების გარდა, ეროვნულმა ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ არასრულწლოვნებს, გონივრული ინტერვალებით აქვთ პატიმრობის კანონიერების გასაჩივრების შესაძლებლობა; ამასთან, ხელისუფლება უნდა დარწმუნდეს, რომ არასრულწლოვანთა პატიმრობის კანონიერების განსაზღვრასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაში მათთვის ადვოკატის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია. გარდა ამისა, ეროვნულმა სასამართლოებმა აღნიშნული საკითხი დროულად უნდა განიხილონ. აღსანიშნავია, რომ მოცემული პროცედურული გარანტიები გამომდინარეობს კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტიდან და არ გულისხმობს




არასრულწლოვნების მიმართ რაიმე განსაკუთრებული გულმოდგინების მოთხოვნას.<sup>49</sup>

მაგალითი: საქმეში *ბუამარი ბელგის წინააღმდეგ*, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნული დებულების დარღვევა დაადგინა, ვინაიდან: მომჩივნის პატიმრობის განსაზღვრასთან დაკავშირებული სამართალწარმოება მისი ადვოკატის არყოფნის პირობებში წარიმართა; აგრეთვე, მოცემული საკითხის განსახილველად სასამართლოს დასჭირდა 101 დღე, რაც მე-5 მუხლის მე-4 პარგრაფის მიზნებიდან გამომდინარე, ვერ შეფასდებოდა, როგორც დროული განხილვა. ამასთან, გადაწყვეტილება არ მიღებულა „პატიმრობის კანონიერებასთან დაკავშირებით,“ ვინაიდან ეროვნულმა სასამართლოებმა უარი თქვეს მომჩივნის საჩივრების განხილვაზე.

რაც შეეხება უშუალოდ არასრულწლოვანთა თავისუფლების აღკვეთის საკითხს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და საერთაშორისო ინსტრუმენტები ადასტურებენ, რომ პატიმრობა გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ როგორც უკიდურესი ზომა, რაც გულისხმობს შემდეგს: ხელისუფლების ორგანოებმა, რომლებმაც უნდა გადაწყვიტონ არასრულწლოვნის პატიმრობაში მოთავსების საკითხი, პირველ რიგში, ადეკვატურად უნდა გაითვალისწინონ პატიმრობის ალტერნატივები, რათა დაიცვან ბავშვის საუკეთესო ინტერესი. ალტერნატივები შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად: „მოვლას, ზრუნვისა და ზედამხედველობის შესახებ დებულებას, საკონსულტაციო მომსახურებას, გამოსაცდელი ვადის დანიშვნას, აღზრდას, სწავლებისა და პროფესიული მომზადების პროგრამებს“ (ბავშვის უფლებათა შესახებ კოდექსის მე-40 მუხლის მე-4 ნაწილი). პატიმრობა განხილული უნდა იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ალტერნატიული ზომების გამოყენება არ არის შესაძლებელი. გარდა ამისა, პატიმრობა გამოყენებული უნდა იყოს, რაც შეიძლება ნაკლები დროის პერიოდის განმავლობაში. მათი ასაკისა და მოწვევადობის გათვალისწინებით, თავისუფლებაა ადეკვათილი არასრულწლოვნები სარგებლობენ განსაკუთრებული უფლებებითა და გარანტიებით. აღნიშნული განსაკუთრებული უფლებები და გარანტიები შეიძლება სამ ძირითად საკვანძო საკითხად გამოიყოს, რომელიც ქვემოთ იქნება ილუსტრირებული.

<sup>49</sup> Handbook on European law relating to the rights of the child, © European Union Agency for Fundamental Rights and Council of Europe, 2015, p. 209.

## საკვანძო საკითხები



არასრულწლოვნებს თავისუფლება შეიძლება აღეკვეთოთ მხოლოდ როგორც უკიდურესი ზომა და რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში

თავისუფლება აღკვეთილ არასრულწლოვნებს ასაკის შესაბამისად უნდა მოეპყრან და პატივი სცენ მათ ღირსებას

არასრულწლოვნები არ უნდა იყვნენ მოთავსებულნი სრულწლოვან პირებთან ერთად

## 4. არასრულწლოვნებთან მიმართებით აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენების ეროვნული სასამართლო პრაქტიკის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან

აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვნების მიმართ გამოტანილი სასამართლო განჩინებები აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ, განსაკუთრებით, ის განჩინებები, სადაც აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობაა გამოყენებული, უმნიშვნელოვანესი დოკუმენტებია იმის შესაფასებლად, ეროვნული პრაქტიკა რამდენად შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ და სხვა შესაბამის საერთაშორისო სტანდარტებს. საყურადღებოა, რომ მოცემული დოკუმენტები, მათი დასაბუთების ხარისხის

თვალსაზრისით, არანაკლები მნიშვნელობისაა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლში გამყარებული სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის შეფასების კუთხით, რაც მართლმსაჯულების ხარისხის ერთ-ერთ უტყუარ საზომად და დემოკრატიული საზოგადოების განუყოფელ პრინციპად მოიაზრება. დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება კონვენციით გათვალისწინებული ზოგადი პრინციპია, რომელიც ინდივიდს თვითნებობისგან იცავს. შესაბამისად, სამართლიანი განხილვის უფლება მოიცავს არამხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, დასაბუთებაში წარმოადგინოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარეს ან უარყვეს მხარეთა არგუმენტები.<sup>50</sup> დასაბუთებული გადაწყვეტილების მიზანია მსჯავრდებულს საშუალება მისცეს, გაიგოს მის წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენის არსი.<sup>51</sup> ამასთან, დასაბუთებული გადაწყვეტილება აჩვენებს მხარეებს, რომ მათი არგუმენტები სასამართლომ მოისმინა. გადაწყვეტილების მიღების სათანადო მიზეზების წარმოდგენა, ნათელყოფს სასამართლოს პოზიციას და ობიექტურ არგუმენტებს, რაც ზრდის მის მიმართ მხარეთა ნდობას. აღნიშნული საკითხი ასევე, მნიშვნელოვანია არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ საქმეებში. დანაშაულის სუბიექტთა განსაკუთრებული სპეციფიკურობა კი, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას სძენს გადაწყვეტილების ჯეროვან დასაბუთებას, ვინაიდან ისინი ცალსახად მოწყვლად პირთა კატეგორიას მიეკუთვნებიან.

დასაბუთების ხარისხის გაუმჯობესება პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლება ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში ევროსაბჭოს მასშტაბით და ამ მხრივ, გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს. ამდენად, მნიშვნელოვანია არასრულწლოვნებთან მიმართებით აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თაობაზე განჩინებები საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებდეს.

ზემოთ ხსენებული განჩინებების გასაანალიზებლად რელევანტური ინფორმაციის შეგროვება მოხდა პირველი ინსტანციის სასამართლოებიდან, მთელი ქვეყნის მასშტაბით, წერილობითი მიმართვის საფუძველზე. სასამართლოებს ეთხოვათ, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მოეწოდებინათ 2017-2018 წლების ყველა შესაბამისი განჩინება, რომელიც ეხებოდა არასრულწლოვნების მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 61-64-ე მუხლების შესაბამისად. საერთო ჯამში, სულ გამოთხოვილ იქნა 257 საქმე. მოცემულ საქმეთა ანალიზის შედეგად გამოვლინდა ისეთი

<sup>50</sup> სამართლიანი სასამართლო უფლების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, სახელმძღვანელო პრაქტიკოსი იურისტებისათვის, მე-2 გამოცემა, მომზადებული დოვიდას ვიტკაუსკასისა და გრიგორი დიკოვის მიერ, გვ. 70.

<sup>51</sup> სერიაინი და სხვები უკრაინის წინააღმდეგ (Seryavin and others v. Ukraine), §§ 55-62, № 4909/04, 10 თებერვალი, 2011.

განჩინებები, რომლებიც დასაბუთების მაღალი ხარისხით გამოირჩეოდნენ, თუმცა, გამოიკვეთა კონკრეტული მიმართულებები, რომელთა გაუმჯობესება სათანადო ყურადღებასა და ძალისხმევას საჭიროებს. მომდევნო თავებში დეტალურად იქნება წარმოდგენილი გამოთხოვილ საქმეთა შესწავლის შედეგად გამოვლენილი ტენდენციები.

#### 4.1 საერთაშორისო სტანდარტების მიმოხილვა

არასრულწლოვნებთან მიმართებით აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას, საჭიროა მხედველობაში მივიღოთ ის საერთაშორისო კონვენციები და შეთანხმებები, რომლებსაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ და სახელმწიფო ორგანოებისთვის სახელმძღვანელო ფუნქცია აკისრიათ.

აღნიშნული სამართლებრივი დოკუმენტებიდან აღსანიშნავია **გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია**, რომლის 37-ე მუხლის „ბ“ პუნქტი მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ:

„არცერთ ბავშვს არ უნდა აღეკვეთოს თავისუფლება უკანონოდ ან ნებისმიერი სახით. დაპატიმრება, დაკავება ან დატუსაღება ხორციელდება კანონის თანახმად და გამოიყენება მხოლოდ უკიდურეს ზომად და დროის რაც შეიძლება შესაბამისი მოკლე პერიოდის განმავლობაში.“<sup>52</sup>

კონვენცია ასევე, განმარტავს თუ ვინ შეიძლება ჩაითვალოს ბავშვად მისი 1-ლი მუხლის მიხედვით,

„წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის ბავშვად ითვლება ყოველი ადამიანი, ვიდრე 18 წლის ასაკს მიაღწევდეს, თუ კანონით, რომელიც ამ ბავშვისადმი გამოიყენება, ის უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას.“<sup>53</sup>

მოცემული კონვენცია იმ კუთხითაც მნიშვნელოვანია, რომ მასში ჩამოყალიბებულია ის საერთაშორისო სტანდარტები, რომელთა დაცვითაც უნდა მოეპყრონ არასრულწლოვნებს შესაბამის სასჯელადსრულების დაწესებულებებში. კერძოდ, ზემოხსენებული 37-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ, რომ:

„გ) ყოველი თავისუფლებააღკვეთილი ბავშვი უნდა სარგებლობდეს ჰუმანური მოპყრობით და მისი პიროვნების განუყოფელი ღირსების პატივსიცემით, მისი ასაკის პირთა მოთხოვნილებების გათვალისწინებით. კერძოდ, ყოველი თავისუფლებააღკვეთილი ბავშვი განცალკევებული უნდა იყოს უფროსებისგან გარდა იმ შემთხვევისა, როცა

<sup>52</sup> გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 37 (ბ).

<sup>53</sup> გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 1.

მიხედავია, რომ ამის გაკეთება არ ღირს ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის და ჰქონდეს უფლება კავშირი იქონიოს თავის ოჯახთან მიმოწერის და პაემანის მეშვეობით, გარდა განსაკუთრებული გარემოებებისა;

დ) ყოველ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს ჰქონდეს უფლება, დაუყოვნებლივ ისარგებლოს სამართლებრივი და სხვა შესაბამისი დახმარებით, აგრეთვე უფლება, გაასაჩივროს თავისი თავისუფლების აღკვეთის კანონიერება სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს წინაშე და უფლება, რომ დაუყოვნებლივ მიიღონ გადაწყვეტილება ნებისმიერი ასეთი პროცესუალური მოქმედების მიმართ.<sup>54</sup>

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ერთ-ერთ ფუნდამენტურ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტს წარმოადგენს **გაეროს** მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ – ე. წ. „პეკინური წესები,“ რომელიც ბავშვის უფლებათა კონვენციის მსგავსად, 17.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში განსაზღვრავს, რომ:

**„არასრულწლოვანის პირადი თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ დაწვრილებით განხილვის შემდეგ და უნდა შემოიფარგლოს შესაძლო მინიმუმით.“<sup>55</sup>**

პეკინური წესების მნიშვნელობა დიდია, რამდენადაც ის მკაფიოდ აყალიბებს სახელმძღვანელო პრინციპებს, რაც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სასამართლო განხილვისას და გადაწყვეტილების გამოტანისას. პეკინური წესების 17.1-ე მუხლის მიხედვით:

„კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს შემდეგ პრინციპებს:

(ა) ზემოქმედების ზომა ყოველთვის უნდა იყოს არა მარტო სამართალდარღვევის სიმძიმისა და გარემოებების პროპორციული, არამედ ასევე, არასრულწლოვანის მდგომარეობისა და მოთხოვნების, ასევე საზოგადოების მოთხოვნების პროპორციული...

(გ) პირადი თავისუფლების შეზღუდვა არ გამოიყენება, თუ არასრულწლოვანს არ ასამართლებენ სერიოზული ქმედებისათვის სხვა პირის მიმართ ძალადობით ან სხვა სერიოზული სამართალდარღვევების არაერთჯერადი ჩადენისათვის და თუ არ არსებობს სხვა შესაბამისი ზემოქმედების ღონისძიება.

(დ) არასრულწლოვანის კეთილდღეობა არის გადამწყვეტი ფაქტორი მისი საქმის განხილვისას.<sup>56</sup>

<sup>54</sup> გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 37 (გ, დ).

<sup>55</sup> გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ, ე. წ. „პეკინური წესები,“ მუხლი 17.1 (ბ).

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების უფრო ფართო კონტექსტში განსახილველად, განსაკუთრებით საყურადღებოა მოცემული წესის კომენტარი, რომლის თანახმადაც, არასრულწლოვნის საქმის სასამართლო წესით განხილვის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებისას, ძირითადი პრობლემა ის არის, რომ სახეზე გვაქვს ალტერნატიული და ზოგჯერ შეპირისპირებული მიზნები, რომლებიც არასრულწლოვანთა საქმეების დამახასიათებელი უამრავი მიზეზისა და რეაგირების გათვალისწინებით ხშირად, ერთმანეთში მეტად ძლიერაა გადახლართული. აღნიშნული ალტერნატივებია:

- დახმარება და დასჯა რეპრესიული მიზნით;
- რეაგირება კონკრეტული საქმის არსებითი მხარის გათვალისწინებით და რეაგირება, რომლის მიზანია მთლიანად საზოგადოების დაცვა;
- პირადი ხასიათის შემაკავებელი ღონისძიების განხორციელება და ზოგადი შეკავება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების მინიმალური სტანდარტული წესების ფუნქცია არ არის იმის განსაზღვრა, თუ რომელი ზემოთ მოტანილი მიდგომა უნდა იყოს გამოყენებული, არამედ მისი ფუნქციაა დაადგინოს ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პრინციპებს.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართულებით კიდევ ერთ მნიშვნელოვან სამართლებრივ დოკუმენტს წარმოადგენს გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად – ე. წ. „ჰავანის წესები,“ რომელიც დეტალურად ჩამოთვლის იმ გარანტიებს, რითიც ისინი მუდმივად უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი. მისი მეორე თავის შესაბამისად,

„12. თავისუფლების აღკვეთა უნდა განხორციელდეს ისეთ პირობებსა და გარემოებებში, სადაც უზრუნველყოფილი იქნება არასრულწლოვანთა ადამიანის უფლებების პატივისცემა. დაპატიმრებული არასრულწლოვნისათვის გარანტირებული უნდა იქნას შინაარსობრივი ქმედებებითა და პროგრამებით სარგებლობა, რომელთა მიზანიც იქნება მათი ჯანმრთელობისა და თვით პატივისცემის გაუმჯობესება და შენარჩუნება, მათი პასუხისმგებლობის გრძნობის გაზრდა და იმ დამოკიდებულებებისა და შესაძლებლობების გაუმჯობესება, რაც მათ დაეხმარებათ საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებაში.“

---

<sup>56</sup> გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ, ე. წ. „პეკინური წესები,“ მუხლი 17.1.

13. თავისუფლებაადკვეთილ არასრულწლოვნებს მათ სტატუსთან დაკავშირებული არანაირი საფუძველით არ შეიძლება უარი ეთქვას სამოქალაქო, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ ან კულტურულ უფლებებზე, რომელი უფლებებიც მათ ეკუთვნით ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობებითა და რომელი უფლებებით სარგებლობაც სრულ შესაბამისობაშია თავისუფლების აღკვეთასთან.<sup>57</sup>

## 5. არასრულწლოვანთა მიმართ საქმის სამართლიანად განხილვის უფლების გარანტიები

როგორც უკვე აღინიშნა, დასაბუთებული გადაწყვეტილება სამართლიანი სასამართლოს უფლებით ეფექტიანად სარგებლობის ფუნდამენტური ნაწილია.

სისხლისსამართლებრივ ასპექტებთან მიმართებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით, მართლმსაჯულების ეფექტიანი ადმინისტრირება გულისხმობს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები სათანადოდ უნდა ასახავდნენ იმ მიზეზებს, რომელთა საფუძველზე მოხდა გადაწყვეტილების მიღება.<sup>58</sup> სასამართლო ხელისუფლების მოცემული ვალდებულების შესრულება კი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვნებთან მიმართებით საქმეებში, ვინაიდან ისინი საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ და მათ მიმართ გამოყენებული ნებისმიერი სახის პრევენციული ღონისძიება დასაბუთების მაღალ სტანდარტს საჭიროებს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, დასაბუთებული გადაწყვეტილების სტანდარტი სახელმძღვანელო პრინციპების დონეზე ჩამოყალიბებულია, რაც ვრცლად არის ილუსტრირებული კონვენციის მე-6 მუხლის გზამკვლევში. მოცემული პრინციპებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია რამდენიმე ასპექტი.

პირველ ყოვლისა, დასაბუთებული გადაწყვეტილება ემსახურება მხარეებისთვის იმის დემონსტრირებას, რომ მათი მოსაზრებები მოსმენილი და გათვალისწინებული იქნა, რაც მათ მიერ სასამართლო გადაწყვეტილების აღიარებას უწყობს ხელს.<sup>59</sup> გარდა ამისა, მოცემული პრინციპი ავალდებულებს მოსამართლეებს გადაწყვეტილება მიიღონ ობიექტურ არგუმენტებზე დაყრდნობით და დაიცვან დაცვის მხარის უფლებები. აღსანიშნავია, რომ

<sup>57</sup> გაეროს წესები თავისუფლებაადკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად, ე. წ. „პანანის წესები“, მუხლი 12, 13.

<sup>58</sup> პაპონი საფრანგეთის წინააღმდეგ, განჩინება №54210/00, 15 ნოემბერი, 2001.

<sup>59</sup> ტასკე ბელგიის წინააღმდეგ, №926/05, 16 ნოემბერი, 2010.

მიზეზების დასახელების ვალდებულება განსხვავდება გადაწყვეტილების ხასიათიდან გამომდინარე და ამის თაობაზე გადაწყვეტილება საქმის გარემოებებიდან გამომდინარე მიიღება.<sup>60</sup> მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოები არ არიან ვალდებული დეტალური პასუხი გასცენ ყველა არგუმენტთან დაკავშირებით,<sup>61</sup> გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იქნას სასამართლოს მოსაზრებები საქმის გადამწყვეტ ასპექტებთან დაკავშირებით.<sup>62</sup> ეროვნულმა სასამართლოებმა საკმარისად ნათლად უნდა მიუთითონ ის საფუძვლები, რომლებზე დაყრდნობითაც მიიღეს გადაწყვეტილება, რათა დავის მხარეებს გასაჩივრების უფლების ეფექტიანად სარგებლობის საშუალება ჰქონდეთ.<sup>63</sup>

რაც შეეხება აღკვეთის ღონისძიების შესახებ სასამართლოს განჩინებებს, აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ჭრილში მოცემული სამართლებრივი დოკუმენტები როგორც წესი, ექცევა მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფის დისპოზიციის ქვეშ, რომლის თანახმადაც,

« ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღკვეთა თავისუფლება, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს, რომელიც სწრაფად განიხილავს მისი დაპატიმრების მართლზომიერების საკითხს და გამოსცემს ბრძანებას მისი გათავისუფლების შესახებ, თუ დაპატიმრება არ არის კანონიერი. »

კონვენციის ხსენებული დანაწესის მნიშვნელობა არსებითია იმ კუთხით, რომ ის თავისუფლებაა აღკვეთილი პირის დაპატიმრების მართლზომიერების სწრაფად განხილვის ვალდებულებას ადგენს და უშუალოდ ამ თვალსაზრისით, კონვენციის მე-6 მუხლთან მიმართებით *lex specialis*-ის (სპეციალური კანონის) სტატუსით სარგებლობს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობასთან მიმართებით მე-6 მუხლის ზემოთ განხილული სტანდარტები სრული მოცულობით ვრცელდება არასრულწლოვნების მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინებებზე.

მოცემულ შემთხვევებში, კონვენციის პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, დასაბუთების მტკიცების ტვირთი ხელისუფლების ორგანოებს აწევთ და არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება მისი ბრალდებულზე გადატანა. ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა განიხილონ ყველა ფაქტი, რომელიც ადასტურებს პატიმრობის შეფარდების საზოგადოებრივ აუცილებლობას, გაითვალისწინონ მოცემულ ეტაპზე პირის უდანაშაულობის პრეზუმფცია და თავიანთ ბრძანებებში

<sup>60</sup> რუიზ ტორისა ესპანეთის წინააღმდეგ, №18390/91 §29, 9 დეკემბერი, 1994.

<sup>61</sup> ვან დერ კურკი ნიდერლანდების წინააღმდეგ, №16034/90, §61, 19 აპრილი, 1994.

<sup>62</sup> ბოლდეა რუმინეთის წინააღმდეგ, №19997/02 §30, 15 თებერვალი, 2007.

<sup>63</sup> ჰაჯინასტასიუ საბერძნეთის წინააღმდეგ, №12945/87, 16 დეკემბერი, 1992.



ნათლად ჩამოაყალიბონ მიზეზები, თუ რატომ არის აუცილებელი უალტერნატივოდ წინასწარი პატიმრობის შეფარდება, რატომ არ შეუძლიათ სხვა ნაკლებად მძიმე იძულების ღონისძიებებს მიგვიყვანონ იგივე შედეგებამდე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებაში საქმეზე *ს. გ. და ა. დანიის წინააღმდეგ*,<sup>64</sup> სასამართლომ დაადგინა, რომ ის განჩინებები, რომელთა მიხედვით პირს პატიმრობა ეფარდება, თუმცა, არ არის წარმოდგენილი შესაბამისი საფუძვლები, არ შეესაბამება თვითნებობისაგან დაცვის პრინციპს.<sup>65</sup> ამდენად, როდესაც სტრასბურგის სასამართლო პატიმრობის კანონიერებას აფასებს, ითვალისწინებს პატიმრობის შეფარდების თაობაზე განჩინებების დასაბუთების ხარისხს.

არასრულწლოვნის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების კუთხით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვის უფლებათა კონვენციის 40. 2 (ბ) მუხლში წარმოდგენილი სია, რომლის მიზანსაც მოცემული უფლების უზრუნველყოფა წარმოადგენს:

„(ბ) ყოველ ბავშვს, რომელმაც როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა ან ბრალი ედება მის დარღვევაში, **ჰქონდეს სულ ცოტა, შემდეგი გარანტიები:**

I) **უდანაშაულობის პრეზუმპცია**, ვიდრე მისი დანაშაული არ იქნება დამტკიცებული კანონის შესაბამისად;

II) **მისი დაუყოვნებელი და უშუალო ინფორმირება** – აუცილებლობის შემთხვევაში კი, ინფორმირება მშობლების ან კანონიერი მეურვეების მეშვეობით – მისთვის წაყენებული ბრალდების შესახებ და სამართლებრივი ან სხვა აუცილებელი დახმარების მიღება თავისი დაცვის მომზადებისა და განხორციელებისათვის;

III) **კომპეტენტური, დამოუკიდებელი ან მიუკერძოებელი ორგანოს ან სასამართლო ორგანოს მიერ** სამართლიანი განხილვის შედეგად განსახილველ საკითხზე **დაუყოვნებელი გადაწყვეტილების მიღება** კანონის თანახმად, ადვოკატის ან სხვა შესაბამისი პირის თანდასწრებით და თუკი, ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტ ინტერესებს, მისი ასაკის ან მისი მშობლების ან კანონიერი მეურვეების მდგომარეობის გათვალისწინებით;

IV) იმისაკენ მიმართული **ძალდატანებისაგან თავისუფლება**, რომ ბავშვმა **მოწმის სახით მისცეს ჩვენება ან აღიაროს დანაშაული**; ბრალდების მოწმეთა ჩვენებების შესწავლა დამოუკიდებლად ან სხვა პირთა დახმარებით და დაცვის

<sup>64</sup> S., V. and A. v. Denmark, N3553/12, 36678/12 და 36711/12, 22 ოქტომბერი, 2018.

<sup>65</sup> იქვე, § 92.

მოწმეთა თანასწორუფლებიანი მონაწილეობისა და მათი ჩვენებების შესწავლის უზრუნველყოფა;

V) თუ ითვლება, რომ ბავშვმა დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ზემდგომი კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს ან სასამართლო ორგანოს მიერ კანონის თანახმად, შესაბამისი გადაწყვეტილების და მასთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი ღონისძიების ხელახალი განხილვა;

VI) თარჯიმნის უფასო დახმარება, თუ ბავშვს არ ესმის გამოყენებული ენა ან ვერ საუბრობს ამ ენაზე;

VII) მისი პირადი ცხოვრების სრული პატივისცემა საქმის გარჩევის ყველა სტადიაზე.<sup>66</sup>

მოცემული დანაწესის სათანადოდ ილუსტრირებისთვის საყურადღებოა, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10, რომელიც დეტალურად განმარტავს ბავშვის უფლებათა კონვენციის დებულებათა კონკრეტულ მიზნებსა და ამოცანებს. ტერმინი „ბავშვი,“ როგორც ზემოთ აღინიშნა, გულისხმობს 18 წელს მიუღწეველ პირებს,<sup>67</sup> რაც რეალურად, მოცემული კვლევის ობიექტ ასაკობრივ ჯგუფს წარმოადგენს. მოცემულ კომენტარზე დაყრდნობით, კონვენციის 40 (2) მუხლი განსაზღვრავს ყველა იმ უფლებებსა და გარანტიებს, რომელიც სამართლიან სასამართლოს უზრუნველყოფს იმ ბავშვებისთვის, რომლებმაც სავარაუდოდ, დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედებათ მისი დარღვევა ან აღიარებულნი არიან მის დამრღვევად. ბავშვის უფლებათა კომიტეტი მიუთითებს ბავშვის უფლებათა კონვენციის 40.2(ბ) (vii) მუხლზე, ხაზს უსვამს საქმის განხილვის ყველა სტადიაზე პირადი ცხოვრების პატივისცემის ვალდებულებას – არ უნდა გამოქვეყნდეს ისეთი ინფორმაცია, რომლითაც შესაძლებელი იქნება ბავშვის იდენტიფიცირება. ბავშვის ჩანაწერები მკაცრად კონფიდენციალური უნდა იყოს და არ უნდა იქნას გამოყენებული სრულწლოვანის საქმის შემდგომ განხილვებზე.<sup>68</sup> ზემოხსენებული გარანტიები, აგრეთვე, განსაზღვრულია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით, რომელიც ადამიანის უფლებათა კომიტეტმა შეიმუშავა. ამ შეთანხმებას მიეძღვნა ამავე კომიტეტის №13 კომენტარი (მართლმსაჯულების ადმინისტრირება, 1984 წელი), რაც ამჟამად გადასინჯვის პროცესშია. თუმცა, ბავშვებთან დაკავშირებით, ეს გარანტიები წინამდებარე ნაწილში განხილულ სპეციფიკურ ასპექტებს იძენს.

<sup>66</sup> ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 40. 2 (ბ).

<sup>67</sup> გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 1.

<sup>68</sup> კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩო, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი.

კომიტეტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ამ უფლებებისა და გარანტიების დაცვაში განსაკუთრებული როლი ენიჭება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებაში ჩართულ სპეციალისტებსა და მოხელეებს. პოლიციის ოფიცრების, პროკურორების, ბავშვის კანონიერი და სხვა წარმომადგენლების, მოსამართლეების, პრობაციის ოფიცრების, სოციალური მუშაკებისა და სხვა სპეციალისტების ტრენინგები უნდა მიმდინარეობდეს სისტემატურად და უწყვეტად. ეს ადამიანები ზედმიწევნით კარგად უნდა ერკვეოდნენ ბავშვის განსაკუთრებით კი, მოზარდის ფიზიკური, ფსიქოლოგიური, გონებრივი და სოციალური განვითარების საკითხებში. აგრეთვე, იმ ბავშვების სპეციალურ საჭიროებებში, რომლებიც ქვემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებს მიეკუთვნებიან: უნარშეზღუდული, ადგილნაცვალი, ქუჩის, დევნილი და თავშესაფრის მაძიებელი ბავშვები. ასევე ბავშვები, რომლებიც რასობრივ, ეთნიკურ, რელიგიურ, ლინგვისტურ ან სხვა უმცირესობებს მიეკუთვნებიან. აქვე აღსანიშნავია, რომ გამომდინარე იქიდან, რომ მცირერიცხოვნობის გამო, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი გოგონები, ყურადღების მიღმა რჩებიან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სწორედ მათ სპეციფიკურ საჭიროებებს, რომელთა შორისაა განხორციელებული შესაძლო ძალადობა ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სპეციალური საჭიროებები. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე სპეციალისტებისა და ამ სისტემის თანამშრომლების ბავშვებთან მოპყრობა ნებისმიერ შემთხვევაში, ხელს უნდა უწყობდეს ბავშვების ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელობის გრძნობის განვითარებას. მათ უნდა განუმტკიცოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემა, რაც თავის მხრივ, განაპირობებს ბავშვების რეინტეგრაციისა და მათ მიერ საზოგადოებაში დადებითი როლის შესრულების შესაძლებლობას.<sup>69</sup>

არასრულწლოვანთა მიერ საქმის სამართლიანად განხილვის უფლებით სარგებლობის კუთხით, ასევე მნიშვნელოვან სამართლებრივ დოკუმენტს წარმოადგენს ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2016/80/EU, რომლის მიზანიც იმ თვრამეტ წელს მიუღწევველ პირთა საპროცესო უფლებების უზრუნველყოფაა, რომლებთან მიმართებაში მიჩნეულია, რომ მათ დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ან ბრალი ედებათ მის დარღვევაში. თავის მხრივ, ეს გულისხმობს, რომ სამართლებრივი პროცედურების განმავლობაში ისინი უნდა სარგებლობდნენ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებით. ამასთან, ღონისძიებები უნდა იყოს გატარებული დანაშაულის ხელახალი ჩადენის თავიდან აცილებისთვის და სრულფასოვანი სოციალური ინტეგრაციისთვის.

---

<sup>69</sup> გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10 მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ.

დოკუმენტში განხილულია: ინფორმირებულობის უფლება, ბავშვის უფლება შეატყობინონ მშობელს ან სხვა მზრუნველს; იურიდიული დახმარება, ინდივიდუალური შეფასების უფლება, სამედიცინო შემოწმების უფლება, გამოკითხვა ან აუდიო-ვიზუალური ჩანაწერი, თავისუფლების აღკვეთის შეზღუდვები, ალტერნატიული ღონისძიებები, განსაკუთრებული მოპყრობა თავისუფლების აღკვეთის შემთხვევაში, საქმის დროული და სამართლიანი განხილვა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება, მშობლის ან სხვა მზრუნველის თანხლების უფლება, სასამართლო განხილვაზე პირადად დასწრებისა და მონაწილეობის უფლება, იურიდიული დახმარების უფლება, მკურნალობა, სწავლა-განათლება.<sup>70</sup>


## ნაწილი II

### 1. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტატისტიკური ანალიზი


საქართველოში არსებული პირველი ინსტანციის სასამართლოებიდან გამოთხოვილი საკვლევი მასალის სტატისტიკური ანალიზის მიხედვით გამოვლინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება. უპირველეს ყოვლისა, იმის გათვალისწინებით, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შესაბამისი ნორმები რიგ შემთხვევებში, ასევე ვრცელდება 18-დან 21 წლამდე პირებზე. ბუნებრივია, რომ სასამართლოების მიერ მოწოდებული 257 განჩინებიდან გარკვეული რაოდენობა სწორედ ამ ასაკობრივი ჯგუფის პირებს ეხებოდა. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ ინდივიდებს ძირითადად, არასრულწლოვნებთან ერთად კონკრეტულ დანაშაულში თანამონაწილეობა ედებათ ბრალად. მათ წინააღმდეგ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინებებში, მოსამართლეები როგორც წესი, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით ხელმძღვანელობენ, თუმცა უმრავლესი მათგანის სამოტივაციო ნაწილში სათანადო მსჯელობაა განვითარებული იმ გარემოებასთან მიმართებით, რომ ბრალდებული წარმოადგენს 21 წელს მიუღწეველ პირს. ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, საჭიროდ მივიჩნით, სათანადო ყურადღება დაგვეთმო ზემოთ აღნიშნული განჩინებებისთვის და შესაბამისად, სტატისტიკური თვალსაზრისით, ისინი სათანადოა აღრიცხული ისევე, როგორც უშუალოდ არასრულწლოვანი პირების მიმართ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 61-64-ე მუხლების საფუძველზე გამოტანილი განჩინებები.

<sup>70</sup> 2016 წლის 11 მაისის ევროპის პარლამენტისა და საბჭოს დირექტივა 2016/80/EU არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და ეჭმიტანილების პროცესუალური უსაფრთხოების თაობაზე.

კვლევის მიზნებისთვის ერთ-ერთ ყველაზე საყურადღებო ასპექტს წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენების სიხშირე ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ვინაიდან მიღებული მონაცემებით შესაძლოა დადგინდეს ქვეყანაში განვითარებული ტრენდები ბავშვებს შორის კრიმინალის გავრცელების კუთხით. საბოლოოდ, მოწოდებული განხილვებიდან აღკვეთის ღონისძიება გამოყენებული იყო 316 პირის, მათ შორის, 273 არასრულწლოვნის წინააღმდეგ. განხილვებთან ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ არასრულწლოვნებს შორის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების კუთხით, ყველაზე „აქტიურ“ ასაკობრივ ჯგუფს წარმოადგენენ 16 (98 ბრალდებული) და 17 (103 ბრალდებული) წლის პირები, მათ მოსდევს 15 წლის პირთა ასაკობრივი კატეგორია, რომელიც არასრულწლოვან ბრალდებულთა 20%-ს წარმოადგენს. ხოლო ის ფაქტი, რომ 14 წლის ბრალდებულთა რიცხვი კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მხოლოდ 5%-ს შეადგენს, მაინც დადებით ფაქტად შეიძლება შეფასდეს ქვეყანაში კრიმინალის ადრეულ ასაკშივე გავრცელების კუთხით.



კიდევ ერთ მნიშვნელოვან შესაფასებელ ფაქტორს წარმოადგენს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა შედარება გენდერული ნიშნის მიხედვით. აღსანიშნავია, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინებათა ანალიზის შედეგად, ამ თვალსაზრისით, არცთუ ისე გასაკვირი გარემოება გამოვლინდა. როგორც მოსალოდნელი იყო, არასრულწლოვან ბრალდებულთა თითქმის აბსოლუტურ უმრავლესობას მამაკაცები წარმოადგენენ, რომლებიც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების საერთო ოდენობის 97.8%-ს შეადგენენ.




რაც შეეხება სტატისტიკური თვალსაზრისით სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს, აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 61-64-ე მუხლების შესაბამისად, 2017-18 წლებში უშუალოდ არასრულწლოვანთა წინააღმდეგ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას ადგილი ჰქონდა სულ, 224 განჩინებაში.

ზოგადად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინებათა რაოდენობით ერთმნიშვნელოვნად პირველ ადგილზეა თბილისის საქალაქო სასამართლო, რომელსაც განხილული აქვს 79 საქმე. საქმეთა განხილვის თვალსაზრისით, შემდეგი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ქუთაისის (30 საქმე) და ბათუმის (22 საქმე) საქალაქო სასამართლოებში. რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, აღსანიშნავია რუსთავის საქალაქო და გურჯაანის რაიონული სასამართლოები, რომლებიც დედაქალაქის შემდეგ განჩინებათა


ყველაზე დიდი ოდენობით გამოირჩევიან – 2017-2018 წლებში მათ მიერ განხილული იქნა შესაბამისად, 19 და 12 საქმე.

2017-2018 წლებში, რაიონული/საქალაქო (მათ შორის, მაგისტრატი) სასამართლოების მიერ გამოტანილ 224 განჩინებაში აღკვეთის ღონისძიების გამოყენება განხილული იყო 275 არასრულწლოვნის მიმართ. აღკვეთის ღონისძიების სახეებს რაც შეეხება, ყველაზე უფრო ხშირად გამოყენებულ ღონისძიებას წარმოადგენდა გირაო, რომელიც სულ 114 არასრულწლოვანს შეეფარდა. ამ კუთხით, მეორე ადგილზეა პატიმრობა, რომელიც გამოყენებული იყო 75 პირის მიმართ. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, პირველი ინსტანციის საერთო სასამართლოების მიერ აღკვეთის ღონისძიების ყველაზე ოპტიმალურ სახედ საკმაოდ ხშირადაა მიჩნეული – მეთვალყურეობაში გადაცემა, რომელიც გამოყენებულია 59 არასრულწლოვნის მიმართ. რაც შეეხება აღკვეთის ღონისძიების სხვა ფორმებს, სასამართლოები ყველაზე იშვიათად იყენებენ ორ მათგანს – შეთანხმებას სათანადო ქცევასა და გაუსვლელობის შესახებ (16 პირის მიმართ) და პირად თავდებობას (1 პირის მიმართ). აღსანიშნავია, რომ სულ გამოთხოვილი მასალიდან, აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ განჩინება 2017-18 წლებში სულ 3 იყო.

### 2017-2018 წლებში არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებები





2017 და 2018 წლების მონაცემების კონტრასტული ანალიზის თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ სახეზე გვქონდა განჩინებათა რიცხვის საგრძნობი ზრდა – 112-დან 163-მდე, რაც მეტწილად, გამოიხატა ადკვეთის ღონისძიების ისეთი სახეების უფრო ხშირი გამოყენებით, როგორცაა გირაო და მეთვალყურეობაში გადაცემა. სტატისტიკაზე დაყრდნობით, 2017 წელთან შედარებით, 2018 წელს გირაოს შეფარდების სიხშირე 70%-ით გაიზარდა, ხოლო მეთვალყურეობაში გადაცემათა ოდენობა თითქმის გაორმაგდა.





კონკრეტულ სასამართლოებში გამოვლენილი შესამჩნევი ცვლილებების კუთხით, აღსანიშნავია ქუთაისის საქალაქო სასამართლო, სადაც განჩინებათა რაოდენობამ ფაქტობრივად ორჯერ მოიმატა. ზრდის თვალსაზრისით, ასევე, საგულისხმოა ბათუმისა და თბილისის საქალაქო სასამართლოები, სადაც განსაკუთრებით გახშირდა გირაოსა (ბათუმი) და მეთვალყურეობაში გადაცემის (თბილისი) გამოყენების პრაქტიკა. განჩინებათა რიცხვის კლებით კი, ხასიათდება თელავის და გურჯაანის რაიონული სასამართლოები, სადაც განჩინებათა ოდენობა 200%-ით და 120%-ით შემცირდა.





## 2. პატიმრობა

### საერთაშორისო სტანდარტები

საერთაშორისო სამართალი მკაცრად ზღუდავს გარემოებებს, რომელთა შემთხვევაშიც დაიშვება ბავშვების თავისუფლების აღკვეთა, იქნება ეს ბრალის წაყენების შემდეგ სასამართლო განხილვამდე, თუ ბრალის წაყენებამდე გამოძიებისას.<sup>71</sup> ამგვარი თავისუფლების აღკვეთა, როგორც ზემოთ აღინიშნა, დაიშვება მხოლოდ როგორც უკიდურესი ზომა და რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში.<sup>72</sup> აღნიშნულზე ასევე, მეტყველებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი – ჰავანის წესები, რომლის მე-2 წესი აღგენს, რომ:

„არასრულწლოვანთათვის თავისუფლების აღკვეთა [...] გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.“

<sup>71</sup> ქეროლინ ჰამილტონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, 2011, გვ. 78.

<sup>72</sup> გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, 37-ე მუხლის „ბ“ პუნქტი.

აღნიშნული დებულებებიდან გამომდინარე, მოსამართლეებს და სამართალდამცავი ორგანოების სხვა თანამდებობის პირებს ეკისრებათ ვალდებულება, ბავშვებს თავისუფლების აღკვეთა შეუფარდონ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც ამას ცხადყოფს. სტრასბურგის სასამართლო კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევას ადგენს, როდესაც არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობაა შეფარდებული და ეროვნულ სასამართლოს ალტერნატიულ ღონისძიებებზე არ იმსჯელა. კერძოდ, საქმეში *აგით დემირი თურქეთის წინააღმდეგ*,<sup>73</sup> რომელიც ეხებოდა არასრულწლოვნის წინასწარ პატიმრობაში მოთავსებას იმის გამო, რომ ქურთების მუშათა პარტიის უფროსის დაკავების საწინააღმდეგო საპროტესტო მსვლელობის დროს ქვები ესროლა უშიშროების ძალებს, სტრასბურგის სასამართლომ კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევა დაადგინა. სასამართლომ აღნიშნა, რომ პატიმრობის შეფარდების შესახებ სასამართლოს განჩინებაში მოტანილი მიზეზები არ მიუთითებდა, რომ მომჩივნის ასაკის გათვალისწინებით, პატიმრობა გამოყენებულ იქნა როგორც უკიდურესი ზომა და მოსამართლემ იმსჯელა აღკვეთის ღონისძიების სახით სხვა ღონისძიებების გამოყენებაზე. შესაბამისად, სასამართლომ 13 წლის არასრულწლოვნის დაპატიმრება არ მიიჩნია კონვენციის მე-5 მუხლის შესაბამისად, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ არ ყოფილა განხილული მის მიმართ ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენება, მიუხედავად იმისა, რომ კანონი ამას მოითხოვდა. ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელების საკითხში მოსამართლეებისა და სამართალდამცავი ორგანოების სხვა თანამშრომლების დახმარებისათვის მთავრობამ უნდა დაგეგმოს, ჩამოაყალიბოს, განავითაროს და დააფინანსოს პატიმრობის გარდა, აღკვეთის ღონისძიების ალტერნატიული ზომების გამოყენების საშუალებები. მოსამართლეთა ქცევის კოდექსი ან პრაქტიკული სახელმძღვანელო უნდა მოითხოვდეს, რომ სერიოზულად იქნას განხილული იმ არასაპატიმრო ალტერნატივის გამოყენება, რომელიც ლოკალურად ხელმისაწვდომია, როგორცაა მუდმივი ზედამხედველობა, აქტიური აღმზრდელობითი სამუშაოები, ანდა ოჯახში თუ აღმზრდელობით/საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან საცხოვრებელში მოთავსება.

ბავშვის უფლებათა კომიტეტმა გამოთქვა შემფოთება სახელმწიფოების მიერ წინასწარი პატიმრობის გადაჭარბებულად გამოყენების გამო და აღნიშნა, რომ ბევრ ქვეყანაში ბავშვები წინასწარ პატიმრობაში თვეებისა და წლების განმავლობაშიც კი რჩებიან, მიუხედავად იმისა, რომ ამით აშკარად ირღვევა ბავშვის უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის „ბ“ პუნქტი.

<sup>73</sup> Agit Demir v. Turkey, №36475/10, 27 თებერვალი, 2018.

ბავშვის უფლებათა კომიტეტის №10 ზოგადი კომენტარი მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა დაადგინონ გარემოებები, როდესაც მოსამართლეს შეეძლება განიხილოს ბავშვის მოთავსება ან დატოვება წინასწარ პატიმრობაში. ბავშვის უფლებათა კომიტეტი აღიარებს, რომ აღნიშნულის დაშვება შეიძლება მაშინ, როდესაც ეს აუცილებელია, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბავშვის მისვლა სასამართლოში ან როდესაც ბავშვი წარმოადგენს საფრთხეს საკუთარი თავის ან სხვებისათვის, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც არასაპატიმრო ალტერნატივა საკმარისი არ იქნება.

მართალია, პატიმრობა გამოყენებული უნდა იყოს როგორც უკიდურესი ზომა და მხოლოდ „რაც შეიძლება ნაკლები შესაბამისი პერიოდით,“ არ არსებობს განმარტება, თუ რა იგულისხმება „შესაბამისი პერიოდში.“ აღნიშნული დამოკიდებული იქნება მთელ რიგ ფაქტორებზე, რომლებიც ეხება ბავშვს და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კონკრეტულ სისტემას. თუმცა, ბავშვის უფლებათა კომიტეტი ზოგადად, №10 კომენტარში რეკომენდაციას იძლევა, რომ ბრალის წაყენებამდე ბავშვის წინასწარი პატიმრობის პერიოდი (ანუ გამოძიების მიმდინარეობის პერიოდი) არ აღემატებოდეს 30 დღეს. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი არ ადგენს წინასწარი პატიმრობის მაქსიმალურ ვადას. პატიმრობის ხანგრძლივობის გონივრულობა აბსტრაქტულად ვერ შეფასდება. აღნიშნული საკითხი უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ საქმეზე, საქმის გარემოებების მიხედვით.<sup>74</sup> სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, განგრძობითი პატიმრობა შეიძლება გამართლდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს საჯარო ინტერესი, რომელიც გადაწონის პირის თავისუფლების უფლებას. პირველ რიგში, ეროვნული სასამართლოების კომპეტენციას წარმოადგენს მსგავსი საჯარო ინტერესის მოთხოვნის მხარდამჭერი და საწინააღმდეგო გარემოებების გამოკვლევა და გადაწყვეტილებებში მათი მითითება. საქმეზე *ნარტი თურქეთის წინააღმდეგ*, სასამართლომ მე-5 მუხლის დარღვევა დაადგინა, ვინაიდან ხელისუფლების ორგანოებმა პატიმრობის შეფარდებისას მხედველობაში არ მიიღეს მომჩივანის ასაკი, აგრეთვე, ის მოათავსეს სრულწლოვან პატიმრებთან ერთად. შესაბამისად, მომჩივნის პატიმრობის ხანგრძლივობამ, რამაც ორმოცდარვა დღე შეადგინა, არ შეესაბამებოდა მე-5 მუხლის მოთხოვნებს.

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი მოითხოვს დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ არასრულწლოვანთა სასამართლოს წინაშე წარდგენას, რაც შეიძლება სწრაფად. აღნიშნული ასევე, ასახულია „ჰავანის წესების“ მე-17 წესში, რომელიც სასამართლო და საგამოძიებო ორგანოებს სთხოვს უმაღლესი პრიორიტეტის მინიჭებას ასეთი საქმისწარმოებისათვის, პატიმრობის რაც შეიძლება ხანმოკლე

<sup>74</sup> ნარტი თურქეთის წინააღმდეგ, *Nart v. Turkey*, №20817/04, § 29, 6 მაისი 2008.

შესაძლო პერიოდის უზრუნველყოფის მიზნით. კანონმდებლობამ უნდა გაითვალისწინოს მაქსიმალური პერიოდი, რომლის განმავლობაშიც შეიძლება ბავშვის წინასწარი პატიმრობა.

დახურული ტიპის დაწესებულებაში მოთავსების, როგორც უკიდურესი ზომის შესახებ, საგულისხმოა „პეკინის წესების“ მე-19 მუხლი, რომლის თანახმადაც,

**„არასრულწლოვანის მოთავსება დახურული ტიპის დაწესებულებაში უნდა იყოს უკიდურესი ღონისძიება და მინიმალური აუცილებელი დროის განმავლობაში.“**

შესაბამისი კომენტარის მიხედვით, მე-19 წესის მიზანია ინსტიტუციონალიზაციის შეზღუდვა ორი მიმართულებით: **რაოდენობრივად** (უკიდურესი ზომა) და **დროში** (მინიმალურად აუცილებელი დრო).

პროგრესული კრიმინოლოგიის მკვლევართა თანახმად, ინსტიტუციონალიზებულ დაწესებულებაში განთავსებულ არასრულწლოვნებზე არაპირდაპირი უარყოფითი გავლენა, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელია, ვერ გამოსწორდება მკურნალობის საშუალებით, ვინაიდან ისინი საზოგადოების ყველაზე მოწყვლად წევრებს წარმოადგენენ.

„პეკინის“ მე-19 წესი ასახავს გაეროს მეექვსე კონგრესის მე-4 რეზოლუციის ერთ-ერთ ძირითად სახელმძღვანელო პრინციპს: არ შეიძლება არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის დაპატიმრება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არ არსებობს სხვა შესაბამისი ღონისძიება. ამიტომაც, წესი აკონკრეტებს, რომ თუ არასრულწლოვანი დაპატიმრებულია, თავისუფლების დაკარგვა უნდა შეიზღუდოს შეძლებისდაგვარად ნაკლებად, თავისუფლების აღკვეთის სპეციალურ ადგილებში, სადაც გათვალისწინებულია სამართალდამრღვევის, სამართალდარღვევისა და დაწესებულების განსხვავებანი. ფაქტიურად, უპირატესობა უნდა მიენიჭოს „ღია ტიპის“ დაწესებულებებს „დახურული ტიპის“ დაწესებულებებთან შედარებით. უფრო მეტიც, თითოეული მათგანი უნდა იყოს გამოსასწორებელი ან საგანმანათლებლო ხასიათის და არა ციხის ტიპის დაწესებულება.

არასრულწლოვანთა პატიმრობის კუთხით, არასრულწლოვან პატიმართა დასაცავად, მნიშვნელოვან დანაწესებს ადგენს გაეროს წესების მე-17 მუხლი, რომლის მიხედვითაც:

**„პატიმრობაში ან წინასწარ პატიმრობაში მყოფი (ჯერ გაუსამართლებელი) არასრულწლოვნები ითვებიან უდანაშაულოებად და არასრულწლოვანის დაკავება სასამართლომდე მაქსიმალურად უნდა იქნას თავიდან არიდებული და გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, შესაბამისად, მაქსიმალური ძალისხმევით, შეფარდებულ იქნას ალტერნატიული ღონისძიება. როდესაც აღკვეთის ღონისძიების სახით, მაინც გამოიყენება პატიმრობა, არასრულწლოვანთა**

**სასამართლოებმა და საგამოძიებო ორგანოებმა პრიორიტეტულად, მაქსიმალურად სწრაფად უნდა განიხლონ მსგავსი საქმეები, რათა არასრულწლოვნები საპატიმროში მაქსიმალურად მოკლე დროით იმყოფებოდნენ. წინასწარ პატიმრობაში მყოფნი განცალკევებით უნდა იმყოფებოდნენ მსჯავრდებულებისაგან.“**

მოცემული საერთაშორისოსამართლებრივი დოკუმენტი ასევე, ჩამოთვლის იმ უფლებებს, რომელთა სარგებლობაც უნდა შეეძლოთ პატიმრობაში მყოფ პატიმრებს:

„ა) არასრულწლოვნებს უნდა ჰქონდეთ დამცველის და უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება, როდესაც ამგვარი უფასო დახმარების მიღება შესაძლებელია, ასევე, უნდა გააჩნდეთ უფლება მუდმივად ეკონტაქტონ თავიანთ სამართლებრივ დამცველებს. ამგვარი კომუნიკაციების დროს დაცული უნდა იყოს პირადულობა და კონფიდენციალურობა;

ბ) არასრულწლოვნები შეძლებისდაგვარად, უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ შესაძლებლობით, იმუშაონ ანაზღაურებით და გააგრძელონ სწავლის მიღება ან ტრენინგები, მაგრამ მათ ეს არ უნდა მოეთხოვებოდეთ. სამსახური, განათლების მიღება ან ტრენინგი არ შეიძლება გახდეს პატიმრობის გაგრძელების მიზეზი.

გ) არასრულწლოვნებმა უნდა მიიღონ საშუალებები თავისუფალი დროისა და გამაჯანსაღებელი საქმიანობის კუთხით, რაც შესაბამისობაში იქნება მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებთან.“

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვანი ბრალდებული, რომელსაც აღკვეთის ღონისძიებად შერჩეული აქვს პატიმრობა, მოთავსდეს სრულწლოვანი ბრალდებულებისაგან და არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისაგან განცალკევებით. ზემოაღნიშნული აუცილებელია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების საერთაშორისო სტანდარტის უზრუნველსაყოფად.

როგორც გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის 37-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, ასევე, „პეკინის წესების“ C-29 წესი, შესაძლებელს ხდის არასრულწლოვანი და სრულწლოვანი პირების ერთად მოთავსებას, მაგრამ მხოლოდ ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით და თუ ეს სასარგებლო იქნება მისი განვითარებისათვის.<sup>75</sup> არასრულწლოვანი და სრულწლოვანი ბრალდებულების განცალკევებით მოთავსება აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ მოზარდზე უარყოფითი გავლენა არ იქონიოს სრულწლოვანმა „კრიმინალურმა ავტორიტეტმა“<sup>76</sup> და არ მოხდეს მასში კრიმინალური მენტალობის ჩამოყალიბება

<sup>75</sup>ქეროლინ ჰამილტონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, 2011, გვ. 80.

<sup>76</sup>მორის შალიკაშვილი, არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, გერმანულ-ქართული სამართლის ჟურნალი.

და/ან გაძლიერება. მამრობითი სქესის არასრულწლოვანი და სრულწლოვანი პატიმრების ერთად მოთავსება სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *გუევი თურქეთის წინააღმდეგ*,<sup>77</sup> მიიჩნია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის შესამე მუხლის დარღვევად.

არასრულწლოვანთა წინასწარი პატიმრობის კუთხით, ასევე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილება პრეცედენტული მნიშვნელობის საქმეზე – *ბლოხინი რუსეთის წინააღმდეგ (დიდი პალატა)*,<sup>78</sup> რომლის მკაფიო ილუსტრაცია მოცემული კვლევის მიზნებისთვის არსებითია, ვინაიდან ის თანაბრად რელევანტურია კონვენციის როგორც მე-5 ასევე, მე-6 მუხლებთან შესაბამისობის კუთხით. წინამდებარე საქმე ეხებოდა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე 12 წლის ბიჭის ოცდაათდღიან დაკავებას არასრულწლოვანთა დროებითი მოთავსების ცენტრში. მომჩივანი აცხადებდა, რომ მის წინააღმდეგ მიმდინარე საქმისწარმოება არასამართლიანი იყო, ვინაიდან პოლიციამ იგი ადვოკატის, მეურვის ან მასწავლებლის დასწრების გარეშე დაკითხა. დიდი პალატა დაეთანხმა პალატის გადაწყვეტილებას, რომ ბიჭის დროებითი დაკავების ცენტრში მოთავსება უნდა მიჩნეულიყო სისხლისსამართლებრივ საქმედ კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში ამგვარი მოთავსება არ მიიჩნეოდა სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის საკითხად. სტრასბურგის სასამართლომ მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პარაგრაფების დარღვევა დაადგინა – მისი შეფასებით, მომჩივნის უფლებები დაირღვა, ვინაიდან პოლიციამ იგი სამართლებრივი დახმარების არარსებობის პირობებში დაკითხა. ამასთან, მისი დროებითი დაკავების ცენტრში მოთავსებას საფუძველად დაედო ორი მოწმის ჩვენება, რომელთა დაკითხვის შესაძლებლობა მომჩივანს არ მისცემია. სტრასბურგის სასამართლოს დიდი პალატის აღნიშნული გადაწყვეტილება აგრეთვე, საყურადღებოა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის „დ“ ქვეპუნქტის შეფასების კუთხით. დიდმა პალატამ აღნიშნა, რომ არასრულწლოვანის დაკავების ცენტრში მოთავსება ვერ იქნებოდა გამართლებული აღნიშნული დანაწესის მიხედვით – „არასრულწლოვნის დაპატიმრება კანონიერი ბრძანების საფუძველზე, მასზე აღმზრდელობითი ზედამხედველობისთვის“ მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა აღნიშნული დროებითი მოთავსების ცენტრში გარკვეული სახის სწავლება ხორციელდებოდა, ვინაიდან არასრულწლოვნის დაკავების ცენტრში მოთავსება მიზნად არ ისახავდა აღმზრდელობით ზედამხედველობას. პირიქით, სასამართლოს შეფასებით, ცენტრი მკაცრი, დისციპლინური რეჟიმით უფრო ხასიათდებოდა,

<sup>77</sup> Guvec v. Tukey, №70337/01, §98, 20 იანვარი, 2009

<sup>78</sup> Blokhin v. Russia, [GC], №47152/06, §170, 23 მარტი, 2016.

ვიდრე უზრუნველყოფილი სწავლებით. გარდა ამისა, აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ ეროვნული სასამართლოს არცერთ ინსტანციას არ უხსენებია აღმზრდელობითი/საგანმანათლებლო მიზანი. ისინი ხაზს უსვამდნენ „ქცევის კორექციის“ მნიშვნელობას და მომჩივნის მხრიდან ახალი დელიკვენტური ქმედებების ჩადენის პრევენციის საჭიროებას. შედეგად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის „დ“ ქვეპუნქტის დარღვევაც დაადგინა.

წინამდებარე გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია, ვინაიდან ის დაწვრილებით განიხილავს და გარკვეულწილად, ავითარებს დაკავებული არასრულწლოვნების (სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი პირების) პროცედურულ უფლებებს. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ არასრულწლოვან ბრალდებულებთან მიმართებით ხაზგასმით აღნიშნა, რომ სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება იმგვარად უნდა იყოს მოწყობილი, რომ დაცული იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები. მნიშვნელოვანია, სისხლის სამართლის დანაშაულში ბრალდებულ ბავშვს მოეპყრონ მისი ასაკის, სიმწიფის ხარისხის, ინტელექტუალური და ემოციური შესაძლებლობის გათვალისწინებით; გარდა ამისა, უნდა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები, რათა ხელი შეეწყოს მის მიერ საქმის წარმოების გაგებას და ასევე, მისი მონაწილეობის უზრუნველყოფას.<sup>79</sup> არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლება – ეფექტური მონაწილეობა მიიღოს მის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოებაში, მოითხოვს, რომ ხელისუფლებამ არასრულწლოვნის სისხლის სამართლის გამოძიებაში ჩართულობის პირველივე ეტაპზე, კერძოდ, პოლიციის მიერ დაკითხვის დროს, მხედველობაში მიიღოს მისი მოწყვლადობა. ხელისუფლებამ უნდა გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, რათა შეძლებისდაგვარად შეამციროს არასრულწლოვანში შიშის განცდა; ასევე უზრუნველყოს, რომ არასრულწლოვანი ფართოდ აღიქვამს გამოძიების ბუნებას, საფრთხის ქვეშ მყოფ სიკეთეს მათ შორის, ნებისმიერი სასჯელის მნიშვნელობას, რომელიც შეიძლება დაეკისროს მას, ისევე, როგორც დაცვით უფლებებს, სახელდობრ, დუმილის უფლებას.<sup>80</sup>

<sup>79</sup> ადამ კიევიჩი პოლონეთის წინააღმდეგ (Adamkiewicz v. Poland), №54729/00, §70, 2 მარტი, 2010.

<sup>80</sup> მარტინი ესტონეთის წინააღმდეგ (Martin v. Estonia), №35985/09, §92, 30 მაისი, 2013.



## ეროვნული კანონმდებლობა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 64-ე მუხლი არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადად განსაზღვრავს 6 თვეს. ამავე მუხლის თანახმად, წინასასამართლო სხდომამდე, პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს მისი დაკავებიდან 40 დღეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ, არასრულწლოვანი ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან. თუ აღნიშნულ ვადაში წინასასამართლო სხდომა ვერ ჩატარდა. გარდა ამისა, მოსამართლე ვალდებულია პირველივე წინასასამართლო სხდომაზე თავისი ინიციატივით განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი, მიუხედავად იმისა, დააყენა თუ არა მხარემ შუამდგომლობა პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების შესახებ. ამის შემდეგ, მოსამართლე ვალდებულია თავისი ინიციატივით, ყოველ 20 დღეში ერთხელ მაინც განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი. პატიმრობის გაგრძელების, შეცვლის ან გაუქმების საკითხის განხილვისას, მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარეს ეკისრება. პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვანი ბრალდებულისათვის გონივრულ ვადაში საქმის განხილვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მკაფიოდ დადასტურდა ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ განხილულ საქმეზე. ადამიანის უფლებათა სასამართლომ საქმეში *ასენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ*,<sup>81</sup> სახელმწიფოს მოუწოდა მეტი გულმოდგინებისაკენ, არასრულწლოვნის გონივრულ ვადაში წარდგენის უზრუნველსაყოფად.

იმისათვის, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ არ დაირღვეს საერთაშორისო წესები<sup>82</sup> და უდანაშაულობის პრეზუმფცია, სახელმწიფო ვალდებულია:<sup>83</sup> უზრუნველყოს არასრულწლოვანის ადვოკატთან რეგულარული შეხვედრებით; პატიმრობის მოხდის დროს ჰქონდეს ანაზღაურებადი სამუშაო, განათლების გაგრძელების ან პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობა; ისარგებლოს მისთვის საჭირო ნივთებით დასვენების და რეკრეაციისათვის, თუ ეს არ ეწინააღმდეგება პატიმრობის მოხდას.<sup>84</sup>

აღსანიშნავია, რომ კვლევის მიზნებისთვის გამოთხოვილ 224 საქმეში არსებული 275 არასრულწლოვანი ბრალდებულიდან ადკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა 75 არასრულწლოვანს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ეს

<sup>81</sup> Assenov and others v. Bulgaria, №24760/94, 28 ოქტომბერი, 1998.

<sup>82</sup> „ჰავანას წესები“, წესი 18.

<sup>83</sup> ქეროლინ ჰამილტონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, 2011, გვ. 79

<sup>84</sup> მორის შალიკაშვილი, არასრულწლოვნის მიმართ ადკვეთის ღონისძიების გამოყენება ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, გერმანულ-ქართული სამართლის ჟურნალი, გვ. 26.

უკიდურესი ზომა აღკვეთის ღონისძიების ყველაზე ხშირად გამოყენებული სახეებიდან, გიროს შემდეგ – მეორე ადგილზეა.

## 2.1. მიმალვის საფრთხე

### საერთაშორისო სტანდარტები

უმეტეს შემთხვევებში, ეროვნული სასამართლოები არასრულწონებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებას ამართლებენ მიმალვის საფრთხის არსებობით.

მიმალვის საფრთხის არსებობის დასადგენად მნიშვნელოვანია, კონკრეტული საქმის ყველა გარემოების განხილვა. პირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს იმ ფაქტორების გადასინჯვა, რომელთა გამოც არასრულწლოვანი პირი შეიძლება მიიმალოს, მიუხედავად შედეგებისა, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ასეთ ქმედებას და ასევე, იმ საშიშროების, რომლის წინაშეც შეიძლება იგი დამდგარიყო. შესაძლოა ეს იყოს მკაცრი სასჯელი, რომელიც შესაბამის პირს შეიძლება შეეფარდოს ჩადენილი დანაშაულისათვის, მაგრამ ევროპულმა სასამართლომ არაერთგზის განმარტა, მხოლოდ ის ფაქტი, რომ პირს შეიძლება შეეფარდოს მკაცრი სასჯელი, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს პატიმრობის ვადის გაგრძელებას.<sup>85</sup> უფრო მეტიც, საქმეში *მანსური თურქეთის წინააღმდეგ*, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებებს არ შეუძლიათ დაასაბუთონ მომჩივნის მიმალვის საფრთხე.“<sup>86</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მრავალ გადაწყვეტილებაში განაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ მიმალვის საფრთხის შეფასებისას მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმე შეიძლება ჩანდეს, როგორც ადეკვატური არგუმენტი, დაუშვებელია, იგი გამოყენებული იყოს, როგორც ერთადერთი ან გადამწყვეტი ფაქტორი მიმალვის საფრთხის დადგენისას.<sup>87</sup>

სტრასბურგის სასამართლომ ასევე, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელისუფლების ორგანოებს უპირველესად, სასამართლოებს აკისრიათ ვალდებულება დაადგინონ და წარმოაჩინონ კონკრეტული ფაქტები, რომლებიც ლოგიკურად გაამართლებენ, დაასაბუთებენ და გაამყარებენ სასამართლო განჩინებაში მოხსენიებულ

<sup>85</sup> მაცნეთერი ავსტრიის წინააღმდეგ (*Matznetter v. Austria*), 1969 წლის 10 ნოემბერი.

<sup>86</sup> *Mansur v. Turkey*, 1995 წლის 8 ივნისი.

<sup>87</sup> პანჩენკო რუსეთის წინააღმდეგ (*Panchenko v. Russia*), №45100/98, § 102, 8 თებერვალი 2005.

საფრთხეს, რომელიც თავის მხრივ, ამართლებს პირისათვის პატიმრობის შეფარდებას.<sup>88</sup>

არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმალვის საკითხის განხილვისას, აუცილებელია მხედველობაში იქნას მიღებული არასრულწლოვნის ქმედების ნაკლები შესაძლებლობები (სანაცნობო, სამეგობრო წრე, რომელიც მას მიმალვაში დაეხმარება) და ფინანსური მდგომარეობა, რომელიც აუცილებელია მიმალვისათვის. გარდა ამისა, არასრულწლოვანს გარკვეული ღონისძიებები უნდა ჰქონდეს უკვე გატარებული მიმალვისათვის (მაგ., ფული ისესხა, პასპორტი აიღო, თვითმფრინავის ბილეთი იყიდა და ა.შ.), რაც დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით. უცხოელი არასრულწლოვნებისთვის, რომლებსაც არა აქვთ კონკრეტული საცხოვრებელი ადგილი/ოფიციალური მისამართი, პატიმრობის გამოყენება უფრო გამართლებულია, თუ გამოძიებით დამტკიცდა, რომ მის მიერ ქვეყნის დატოვების ალბათობა დიდია. განსხვავებული მიდგომები არსებობს ქვეყნის მოქალაქე ისეთი მოზარდის მიმართ, რომელიც უსახლკაროა. თუ გამოძიებელმა, სოციალურმა მუშაკმა ან სხვა პირმა იცის, რომ მიუხედავად მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არქონისა, მოზარდის პოვნა შესაძლებელია კონკრეტული ქალაქის კონკრეტულ უბანში, სადაც ის სისტემატურად იმყოფება და მისი ინფორმირება შესაძლებელია, ბრალდებულის მიმალვის საფრთხის გამოყენებით, პირის მიმართ პატიმრობის გამოყენება გაუმართლებელია.<sup>89</sup> ამ კუთხით მნიშვნელოვანია ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *სულაოჯა ესტონეთის წინააღმდეგ*, სადაც სასამართლო ცალსახად მიუთითებს, რომ

*«მხოლოდ მუდმივი საცხოვრებლის არარსებობა ვერ იქნება საკმარისი იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ მიმალვის საფრთხე არსებობს.»<sup>90</sup>*

სტრასბურგის სასამართლოს მოცემული განმარტება ფუნდამენტურია და ეროვნული სასამართლოების მიერ მიმალვის საფრთხეზე მსჯელობისას განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

<sup>88</sup> ბორდიკოვი რუსეთის წინააღმდეგ (Bordikov v. Russia), №921/03, §88, 8 ოქტომბერი 2009.

<sup>89</sup> მორის შალიკაშვილი, არასრულწლოვნის მიმართ ადკვეთის ღონისძიების გამოყენება ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, გერმანულ-ქართული სამართლის ჟურნალი, გვ. 24.

<sup>90</sup> Sulaoja v. Estonia, N 55939/00, § 64, 15 თებერვალი 2005

## ეროვნული პრაქტიკა

მიმაღვის საფრთხეზე აღკვეთის ღონისძიების შესახებ ბრძანებაში მსჯელობის კუთხით, რელევანტურია რუსთავის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთი საქმე,<sup>91</sup> სადაც მკაფიოდაა განსაზღვრული თუ რა გარემოებები უნდა იყოს მხედველობაში მიღებული მოცემული საფრთხის პოტენციურად არსებობის შეფასებისას. სასამართლოს განმარტებით,

*„მიმაღვის საფრთხის დასადგენად, რისკფაქტორს უმეტეს შემთხვევაში, წარმოადგენს პირის ინტერესი თავი აარიდოს მართლმსაჯულებას და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. აღნიშნული შესაძლოა გამომდინარეობდეს მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრით, მართლწესრიგისადმი არაჟანსალი დამოკიდებულებით და სხვ. თუმცა, მხოლოდ სასჯელის სიმკაცრე არ უნდა გახდეს პირის მიმართ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველი. სასამართლომ უნდა შეამოწმოს რა კონკრეტული საფუძველი არსებობს პირის მხრიდან მიმაღვის საფრთხის დასადგენად და რომელი გარემოება მიუთითებს აღნიშნულზე, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით.“*

აღსანიშნავია, რომ მოცემული განმარტება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში ხშირად ვხვდებით აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ ისეთ განჩინებებს, სადაც ვარაუდი მიმაღვის საფრთხის არსებობის შესახებ მეტწილად, დანაშაულის სიმძიმით არის გამყარებული. მაგალითად, ახალციხის რაიონული სასამართლოს განჩინებაში<sup>92</sup> მოცემულია შემდეგი:

*„ვინაიდან ბრალდებულის მიერ ჩადენილია განზრახი კატეგორიის დანაშაული, მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით არსებობს ვარაუდი, რომ ბრალდებული მიიმალება და არ გამოცხადდება სასამართლოში.“*

ცალსახაა, რომ დასაბუთების ხარისხის თვალსაზრისით, აღნიშნული ვერ დააკმაყოფილებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის სტანდარტებს, ვინაიდან როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა გადაწყვეტილებაში საქმეზე მანსური თურქეთის წინააღმდეგ, „ბრალდებულის მიმაღვის საფრთხე არ შეიძლება მხოლოდ სასჯელის შესაძლო სიმძიმით განისაზღვროს. აღნიშნული უნდა შეფასდეს მრავალი სხვა შესაბამისი ფაქტორის მიხედვით, რომელიც დაადასტურებს

<sup>91</sup> რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინება №10ა-96-18.

<sup>92</sup> ახალციხის რაიონული სასამართლოს განჩინება №10/დ-166-18.

მიმალვის საფრთხეს ან იმდენად უმნიშვნელო იქნება, რომ ვერ გაამართლებს პროცესის მიმდინარეობისას, პირის პატიმრობის აუცილებლობას.“

მსგავსი განმარტება გააკეთა სტრასბურგის სასამართლომ საქმეზე *პანჩენკო რუსეთის წინააღმდეგ*, სადაც ხაზგასმით აღნიშნა:

„მიუხედავად იმისა, რომ მიმალვის საფრთხის შეფასებისას, მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმე შეიძლება ჩანდეს, როგორც ადეკვატური არგუმენტი, დაუშვებელია, რომ იგი იყოს გამოყენებული, როგორც ერთადერთი ან გადაწყვეტი ფაქტორი მიმალვის საფრთხის დადგენისას.“

მოცემული საკითხის დეტალურად შეფასების თვალსაზრისით, საყურადღებოა, თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება<sup>93</sup> ადკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე. განჩინება მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ სამართლებრივი შეფასების ნაწილში სათანადოდაა მოტანილი მიმალვის საფრთხესთან მიმართებით სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და ამავდროულად, აღნიშნული ასპექტის შესაფასებლად მხედველობაშია მიღებული საქმის კონკრეტული, ინდივიდუალური გარემოებები:

„ცხადია, მხოლოდ მოსალოდნელი მკაცრი სასჯელის შიშით, მიმალვის საფრთხეზე მითითება არ არის საკმარისი და იგი უნდა დასაბუთდეს სხვა რელევანტური და საკმარისი მტკიცებულებებით. მიმალვის საფრთხესთან დაკავშირებით, სასამართლო მხედველობაში იღებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, სადაც არაერთხელ იქნა აღნიშნული, რომ მხოლოდ მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმე არ არის მიმალვის საფრთხის რეალურობის მახვენებელი გარემოება (იხ.: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1969 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Matznetter v. Austria*; 1993 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე *Letellier v. Switzerland*; 1997 წლის 17 მარტის გადაწყვეტილება *Yađci and Sargin v. Turkey*; *Muller v. France*). მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო ასევე, ითვალისწინებს, რომ ბრალდებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შემდეგ შემთხვევის ადგილიდან მიიმალა და მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო საშუალებებით ცნობილი გახდა მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიების დაწყების შესახებ, იგი არ გამოცხადებულა საგამოძიებო ორგანოში და მისი ვინაობა, ადგილსამყოფელის დადგენა და დაკავება მოხდა მხოლოდ გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად.“

მიმალვის საფრთხის კუთხით, სასამართლოს დასაბუთებული მსჯელობა პირის ინდივიდუალიზაციისა და მის მიერ წარსულში განხორციელებული ქმედებების

<sup>93</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება №10ა/5305-17.

ანალიზის შედეგად, ასევე, ნათლად ჩანს თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებაში,<sup>94</sup> სადაც მოსამართლემ აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა განსაზღვრა. საქმე ეხებოდა ძარცვაში ბრალდებულ არასრულწლოვანს, რომლის მიმართაც ანალოგიური დანაშაულისთვის განაჩენი უკვე იყო გამოტანილი. ამასთან, არასრულწლოვანს ახალი ბრალი წარედგინა პირობითი მსჯავრის პერიოდში, მაშინ, როდესაც ასეთივე დანაშაული მას მანამდეც არაერთხელ ჰქონდა ჩადენილი და ბოლო განაჩენიდან ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენამდე, მხოლოდ შვიდი დღე იყო გასული.

სასამართლოს შეფასებით,

*„მიმალვის საფრთხე არის მაღალი, ვინაიდან ბრალდებული ადრეც არ გამოცხადდა სასამართლოში და მის მიმართ ბოლო განაჩენი გამოტანილია ბრალდებულის დაუსწრებლად. ბრალდებულის ოჯახს არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ხოლო თვითონ ბრალდებულზე, მისი ოჯახის წევრები ვერ ახორციელებენ სათანადო კონტროლს. გარდა ამისა, მიმალვის საფრთხის არსებობას ადასტურებს ბრალდებულის ქცევა დანაშაულის ჩადენის შემდეგ, რაც გამოიხატა იმაში, რომ იგი მიიმალა შემთხვევის ადგილიდან და მისი ძებნა და დაკავება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად.“*

მოცემული განჩინება ასევე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ მასში მოტანილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა კონკრეტულად მიმალვის საფრთხის ასპექტის კუთხით და რაც ყველაზე მთავარია, ჩამოყალიბებულია ის საკვანძო ფაქტორები, რომლითაც სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს აღნიშნული საფრთხის შეფასებისას:

*„ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მრავალჯერ დაადგინა, რომ მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმე გასათვალისწინებელი ფაქტორია მიმალვის, ან დანაშაულის ხელახლა ჩადენის საფრთხის შეფასებისას. ამავე დროს, თავისუფლების შეზღუდვის გახანგრძლივების საჭიროება არ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ წმინდა აბსტრაქტული თვალსაზრისით, მხოლოდ დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით. (მამედოვა რუსეთის წინააღმდეგ, №7064/05, 1 ივნისი, 2006 წელი). ამავე სასამართლომ აღნიშნა, რომ მიმალვის საფრთხე უნდა შეფასდეს პიროვნების პირადი მახასიათებლების, მორალური თვისებების, საცხოვრებელი ადგილის, საქმიანობის, შემოსავლის, ოჯახური კავშირების და იმ ქვეყანასთან კავშირის გათვალისწინებით, სადაც მიმდინარეობს მისი სამართლებრივი დევნა (ივნატენკო მოლდოვას წინააღმდეგ, №36988/07, 8 თებერვალი, 2011 წელი, პუნქტი 83).“*

<sup>94</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება №10ა/5221.

ეროვნულმა სასამართლომ გაითვალისწინა სტრასბურგის სასამართლოს მიდგომა, რომლის მიხედვითაც, აღკვეთის ღონისძიების დასაბუთებისათვის დაუშვებელია თითოეული მიზნის *in abstracto* გამოყენება და ის უნდა ემყარებოდეს კონკრეტულ ფაქტობრივ საფუძველს. სასამართლომ განიხილა არასრულწლოვანი ბრალდებულის ინდივიდუალური გარემოებები, რაც ადასტურებდა მიმალვის საფრთხის არსებობას. კერძოდ, ბრალდებული წარსულში არ გამოცხადდა სასამართლო პროცესზე და მის წინააღმდეგ განაჩენი დაუსწრებლად იყო გამოტანილი, ოჯახს არ გააჩნდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და ამასთან, ის მიიმალა დანაშაულის ჩადენის შემდეგ. აღნიშნული განჩინება სანიმუშოა დასაბუთებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გამოყენების თვალსაზრისით.

შეჯამების სახით, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოების განჩინებებიდან გამოკვეთილ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს მიმალვის საფრთხის პრეზუმირება მხოლოდ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეზე დაყრდნობით და ამავდროულად, რიგი მნიშვნელოვანი გარემოებების განხილვის გარეშე. განჩინებათა შაბლონურობის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია, ბრალდებული არასრულწლოვნის მკაფიო ინდივიდუალიზაცია და უშუალოდ, მიმალვის საფრთხის არსებობის დასადგენად ისეთ კონკრეტულ გარემოებათა შეფასება, როგორცაა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ოჯახური და ფინანსური მდგომარეობა, მართლმსაჯულების აღსრულების შიში და სხვა.

## 2.2. ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე

### საერთაშორისო სტანდარტები

არასრულწლოვანთა დანაშაული ხასიათდება როგორც ნორმალური, ყველა დროში გავრცელებული და ეპიზოდური. პატიმრობის გამოყენების დროს აუცილებელია არსებობდეს არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის ჩადენის, უკანონო საქმიანობის გაგრძელების რეალური საფრთხე.<sup>95</sup>

ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის განხილვისას, ისევე როგორც მიმალვის საფრთხის ანალიზის დროს, ფასდება საფრთხის შემცველი გარემოებები, მაგალითად, დანაშაულის ჩადენა გარკვეულ უპირატესობას მიანიჭებს არასრულწლოვან პირს კონკრეტულ საქმეში ან შეუქმნის კვალის დაფარვის შესაძლებლობას, რაზეც მიუთითებენ მოწმეები.

---

<sup>95</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება, №3/2/646, II-62.



საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ზოგადად, ბრალდებული პირის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის შესაფასებლად მხედველობაში აუცილებლად უნდა იქნას მიღებული ის გარემოებები, იყო თუ არა პირი ადრეც ნასამართლეთ იმავე ან მსგავსი დანაშაულისთვის, თუ მიმდინარეობს გამოძიება იმავე ან მსგავსი ტიპის დანაშაულისთვის, სადაც ის ბრალდებულია, მაგრამ არ აქვს შეფარდებული წინასწარი პატიმრობა და ა. შ. საქმის აღნიშნული ინდივიდუალური მახასიათებლები ფუნდამენტური მნიშვნელობისაა არასრულწლოვნებთან მიმართებითაც და მოცემული საფრთხის განსასაზღვრად გადამწყვეტ როლს ასრულებს, რაც დასტურდება როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეგულაციურ პრეცედენტულ სამართალში, ასევე ეროვნულ პრაქტიკაში არჩეული ადკვეთის ღონისძიების დასაბუთების კუთხით.<sup>96</sup>

## ეროვნული პრაქტიკა

მოცემული ასპექტის მკაფიოდ ილუსტრაციისთვის საგულისხმოა ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინება<sup>97</sup> ადკვეთის ღონისძიების სახით არასრულწლოვნის პატიმრობის გამოყენებასთან დაკავშირებით, სადაც განვითარებულია სათანადო მსჯელობა ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაზე დაყრდნობით. კერძოდ,

*„საკითხის განხილვისას, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაზე, რომლის მიხედვითაც, დაპატიმრება გამოყენებული უნდა იქნას საგამონაკლისო ღონისძიების სახით. ასევე, ის არ უნდა იყოს სავალდებულო ხასიათის და არ უნდა იქნას მიმართული დასჯის მიზნებისათვის (Recommendation No.R(80)11 of the Committee of Ministers of the Council of Europe concerning Custody Pending Trial, para.1). ამასთან, პატიმრობის საგამონაკლისო ბუნება აღნიშნულ რეკომენდაციაში წარმოდგენილია სწორედ უდანაშაულობის პრეზუმფციის კონტექსტში. იმისათვის, რომ წარმოდგენილი რეკომენდაცია პრაქტიკაში მოქმედებდეს, აუცილებელია პროპორციულობის დაცვა, რაც ეროვნული კანონმდებლობით აკისრია როგორც შუამდგომლობის წარმდგენ ორგანოს, ისე სასამართლოს. ამ უკანასკნელთან მიმართებით კანონმდებლობა კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-4 ნაწილი მიუთითებს სასამართლოს უფლებამოსილებაზე, პატიმრობა გამოიყენოს მხოლოდ იმ შემთხვევაში,*

<sup>96</sup> ასენოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (Assenov v. Bulgaria), №24760/94, 28 ოქტომბერი, 1998.

<sup>97</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინება №10/ა-157.



*როდესაც აღკვეთის ღონისძიების ზოგადი მიზნების მიღწევა სხვა ღონისძიებით შეუძლებელია.“*

მოცემულ განჩინებაში სასამართლოს მიერ მოხმობილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რელევანტური პრაქტიკა იმ გარემოებაზე ხაზგასმის მიზნით, რომ პირის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე ვერ გამოიკვეთება ინდივიდუალურად, მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმეზე დაყრდნობით:

*„ასევე, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტება, რომ დანაშაულისათვის გათვალისწინებული სასჯელის სიმძიმე თავისთავად არ ამართლებს პირის ხანგრძლივ პატიმრობას (ECtHR 23 September 198, I.A. v. France, No. 28213/95, para.104. Quoted from „Effective Criminal Defence in Europe“ by Ed Cape, Zaza Namoradzw, Roger Smith and Taru Spronken, 2010, p. 31), ხოლო მხოლოდ მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრეზე მითითება არ წარმოადგენს ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის გამართლების საშუალებას, თუ მას სხვა ფაქტობრივი გარემოებებიც არ ასაბუთებს (Stögmüller v. Austria).“*

აღნიშნული განჩინება საყურადღებოა იმ კუთხითაც, რომ მხედველობაშია მიღებული და დეტალურად განხილულია არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლები. გარდა ამისა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პირის მიერ ჩადენილი ქმედებები გაანალიზებულია, როგორც ახალი დანაშაულის ჩადენის, ასევე ზოგადად, მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის თვალსაზრისით:

*„სასამართლო მიიჩნევს, რომ გასათვალისწინებელია ქმედების ხასიათი, გამოწვეული შედეგი, საზოგადოებრივი საშიშროება, ზიანის სახე, მოცემულ საქმეზე ჩასატარებელია რიგი საგამოძიებო მოქმედებები და არ არის უარყოფილი პროკურორის შუამდგომლობის მიხედვით. ამასთან ბრალდებულების თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმეზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვების ხელშეშლის საფრთხის არსებობა, რაც მიუთითა ბრალდების მხარემ შუამდგომლობაში და რაც სასამართლოს დასაბუთებულად მიაჩნია, ვინაიდან მტკიცებულებების განადგურება არ გულისხმობს მხოლოდ უკვე მოპოვებული მტკიცებულებების განადგურების საფრთხეს, არამედ იგულისხმება სისხლის სამართლის საქმეზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვების ხელშეშლის საფრთხეც. ამას გარდა, მართალია, მხოლოდ დანაშაულის სიმძიმე არ არის გადამწყვეტი ფაქტორი აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენებისას, მაგრამ ერთობლიობაში და საქმის სხვა არსებითი გარემოებების გათვალისწინებით, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, როგორც მნიშვნელოვანი რისკფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ აღკვეთის ღონისძიების*

გამოყენების მართლზომიერებაზე. კონკრეტულ შემთხვევაში კი, სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულების პიროვნებას, ჩადენილი ქმედების ხასიათს და მიაჩნია, რომ დასაბუთებულია თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში ბრალდებულების მხრიდან დანაშაულებრივი ქმედების გავრძელების, მოწმეებზე ზემოქმედების, ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე.“

ახალი დანაშაულის საფრთხის შეფასების კუთხით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება<sup>98</sup> პატიმრობის გამოყენების შესახებ, სადაც საქმე ეხებოდა ყაჩაღობაში ბრალდებულ არასრულწლოვანს. მოცემული განჩინების სამოტივაციო ნაწილში სასამართლო ამომწურავად განიხილავს ბრალდებულის მიერ ჩადენილი ქმედების სპეციფიკურ მახასიათებლებს საზოგადოებრივი საშიშროების თვალსაზრისით და გადაწყვეტილებას სწორედ აღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით იღებს:

*„სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ბრალად წარდგენილი ქმედება ძალადობრივი ხასიათისაა, დაზარალებულს აყენებს უდიდეს ფსიქიკურ სტრესს, გამოიჩენს მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროებით. შესაძლო დანაშაულის განმაპირობებელი მიზეზი, ჩადენის ხერხი, სპეციფიკა და საზოგადოებრივი საშიშროების მომეტებული ხარისხი მიუთითებს ახალი დანაშაულის ჩადენის მაღალ რისკზე, რის გამოც მისი თავიდან აცილების ერთადერთ საშუალებად პატიმრობის გამოყენება უნდა იქნას მიჩნეული.“*

აღნიშნული განჩინება ასევე, მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ ის იშველიებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამის პრეცედენტულ სამართალს აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის გამოყენების დასაბუთების გასამყარებლად:

*„სასამართლო ასევე, ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პატიმრობის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენების საკითხის განხილვას (იხ.: Lelievre v. Belgium, 08/11/2007, №11287, §102), თუმცა, აღნიშნულის პარალელურად, ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულია წინასწარი პატიმრობის მართლზომიერი გამოყენების წინაპირობები, რომლებსაც თავის მხრივ, ამომწურავი ხასიათი გააჩნიათ (იხ.: Del Rio Prada v. Spain, 21/10/2013, №42750/09, §123; M v Germany, 17/12/2009, №19359/04, §86). ზემოაღნიშნული მუხლი, სხვა გარემოებებთან ერთად, აგრეთვე ითვალისწინებს პირის პატიმრობაში ყოფნის შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს ბრალდებულის მხრიდან მიმალვის ან/და დანაშაულის ჩადენის საფრთხე. ამასთან, საფრთხის*

<sup>98</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება №10ა/2368-18.

საფუძვლიანობის შემოწმება დამოკიდებულია ყოველი კონკრეტული საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე (Fox, Campbell and Hartley v. United Kingdom, №12244/86, 12245/86, 12383/86, 30/08/1990, §32).“

ანალოგიურ დანაშაულთან გვაქვს საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთ განჩინებაში,<sup>99</sup> სადაც სასამართლომ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის საფუძველზე არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა გამოიყენა და მოიხმო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება, რითიც გაამყარა საკუთარი გადაწყვეტილება:

*„სასამართლო განმარტავს, რომ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო არ მიიჩნევს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის დარღვევად. სტრასბურგის, ადამიანის უფლება ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში (Matznetter vs Austria) განმარტებულია, რომ „დანაშაულის ხელახლა ჩადენის საფრთხის გამო, რაც ხელს უწყობს ავსტრიულ სასამართლოს მართებულად სცნოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის პატიმრობაში ყოფნა, სრულიად შეესაბამება კონვენციის მე-5 (3) მუხლს, საქმის განსაკუთრებული გარემოებების შემთხვევაში. მოსამართლემ შეიძლება გონივრულად გაითვალისწინოს სისხლის სამართლის დანაშაულის გამო გამოწვეული შედეგები, მაშინ როდესაც რეალურად არსებობს ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობა, იმისათვის, რომ პირის გათავისუფლების საკითხი სწორად გადაწყდეს შესაძლო საშიშროების არსებობის შემთხვევაში.“*

ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის შეფასების კუთხით, ასევე, მნიშვნელოვანია თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება,<sup>100</sup> რომელიც ბრალდებული არასრულწლოვანის ინდივიდუალიზაციის გზით, მკაფიოდ გამოხატავს მის დამოკიდებულებას კანონისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიმართ და აღკვეთის ღონისძიების მის მიერ შერჩეული ფორმის დასაბუთებას სათანადოდ ამყარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რელევანტური პრაქტიკით:

*„მიუხედავად გაწეული არაერთი შეღავათისა, ბრალდებული ვერ აცნობიერებს მისი ქცევის შედეგებსა და უფლებების ფარგლებს, შედეგად კი მუდმივად არღვევს სხვათა უფლებებს. გარდა ამისა, როგორც საქმეში წარმოდგენილი ბრალდებულის დაკითხვის ოქმით ირკვევა, შესაძლოა კიდევ აქვს ჩადენილი სხვა მსგავსი დანაშაულები. ყველა ეს გარემოება ადასტურებს ბრალდებულის*

<sup>99</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება №10ა/3611-18.

<sup>100</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება №10ა/2368-17.

*გულგრილ დამოკიდებულებას კანონის დაცვის მიმართ და იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ ბრალდებულის მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე მნიშვნელოვნად მაღალია.*

*განსახილველი საფრთხის შეფასებისას, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში – ასენოვი ბულგარეთის წინააღმდეგ, განმარტა, რომ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის დადასტურების ერთ-ერთი გარემოებაა პირის იგივე ბრალდება, რის გამოც იგი ადრე იყო ნასამართლევი.“*

აუცილებელია, ერთგვარი დასკვნის სახით, ხაზი გაესვას, რომ ბრალდებული არასრულწლოვნის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის შეფასებისას, სასამართლოებმა განყენებულად არ უნდა იხელმძღვანელონ მის მიერ წარსულში ანალოგიური დანაშაულის ჩადენის ფაქტით, რასაც ადგილი აქვს საქართველოს მასშტაბით არაერთ განჩინებაში. მართალია, მოცემული გარემოება საკმაოდ მნიშვნელოვანია, თუმცა კანონთან კონფლიქტში მყოფი ბრალდებულისგან მომდინარე სამომავლო რისკებზე მსჯელობისას, არანაკლებ ღირებულია მისი ინდივიდუალური მახასიათებლების და რაც მთავარია, კონკრეტული მომენტისთვის, კანონისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიმართ მისი პირადი დამოკიდებულების შეფასება.

## 2.3. მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებაში ჩარევის საფრთხე

### საერთაშორისო სტანდარტები

მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებაში ჩარევის საფრთხე წინასწარი პატიმრობის შეფარდების თვალსაზრისით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს. ხსენებული საფრთხე ძირითადად, ბრალდებულის მხრიდან ისეთი ქმედებების ჩადენის მაღალ ალბათობას გულისხმობს როგორცაა:

- მოწმეებზე ზეწოლა, რათა არ მისცენ ჩვენება მის წინააღმდეგ;
- გამოძიების ქვეშ მყოფი პირების გაფრთხილება ან პირის დაყოლიება იმ მიზნით, რომ მისთვის სასურველი ჩვენება მისცეს;
- მტკიცებულებების განადგურება ან მათი მოპოვებისათვის ხელის შეშლა.

მოცემული ასპექტის მიმართულებით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში არასრულწლოვნებთან დაკავშირებით დამკვიდრებული პრაქტიკა შედარებით მწირია, თუმცა აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სტანდარტების კუთხით, საფრთხის იდენტიფიკაციის მიზნით, ჩვეულებრივი ბრალდებულის მიმართ გამოყენებული კრიტერიუმები და ფაქტორები იდენტურად

რელევანტურია საზოგადოების ისეთი მოწვევლადი წევრების მიმართ, როგორც არასრულწლოვნები არიან.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოტანილი გარემოებები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას in abstracto; დაპატიმრებულ პირთან მიმართებაში მათი გამყარების მიზნით უნდა არსებობდეს ფაქტობრივი გარემოებები, პირდაპირი კავშირები და მტკიცებულებები.

საქმეში *ლეტელიე საფრანგეთის წინააღმდეგ*,<sup>101</sup> გამოძიების თავდაპირველ ეტაპზე დასაშვებად იქნა მიჩნეული მოწმეებზე ზეწოლის საფრთხის არსებობა, მაგრამ დროის გასვლასთან ერთად ჩაითვალა, რომ საფრთხე შემცირდა, შემდგომში კი, საბოლოოდ გაქრა. ამ კუთხით მნიშვნელოვანია საქმე *ო. ა. საფრანგეთის წინააღმდეგ*.<sup>102</sup> სადაც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მოწმეებზე ზეწოლის საფრთხის არსებობა, თუმცა მხოლოდ გამოძიების ეტაპზე. ამასთან, საყურადღებოა ასევე საქმე *W. შვეიცარიის წინააღმდეგ*,<sup>103</sup> სადაც მკაფიოდ იყო გამოკვეთილი საფრთხე, რომ მომჩივანი გავლენას მოახდენდა თავის თანამშრომლებზე, რათა ყალბი ჩვენებები მიეცათ.

მართლმსაჯულების განხორციელების ხელშეშლა აგრეთვე, რელევანტურ გარემოებას წარმოადგენდა პრეცედენტული მნიშვნელობის საქმეში *ვემპოფი გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის წინააღმდეგ*,<sup>104</sup> სადაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ეროვნული სასამართლოების ვარაუდი საფუძვლიანად მიიჩნია ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა მიმალვის საფრთხის რეალურობის თაობაზე, მის მიერ ბრალად წაყენებული იმგვარი დანაშაულების ხასიათიდან გამომდინარე, როგორცაა ნდობით აღჭურვილი პირის მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობა და ბანკის მიერ არამიზნობრივი თანხის გამოყენება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, ზოგადად, გამოძიების საჭიროება ვერ გაამართლებს პატიმრობის ვადის გაგრძელებას. საგამოძიებო მოქმედებათა დასრულების შემდგომ პატიმრობის ვადის გაგრძელება იმ საფუძვლით, რომ ის პოტენციურად ხელს შეუშლის საგამოძიებო მოქმედებების სათანადოდ განხორციელებას, კონვენციის მიზნებთან შეუსაბამოა. აღნიშნულს ადგილი ჰქონდა საქმეში *ქლოთი ბელგიის წინააღმდეგ*,<sup>105</sup> რაც წარმოადგენდა საფუძვლიან მიზეზს იმისათვის, რომ ევროპულ სასამართლოს დაედგინა მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევა.

<sup>101</sup> Letellier v. France, №12369/86, 26 ივნისი, 1991.

<sup>102</sup> I. A. v. France, №28213/95, 23 სექტემბერი, 1998.

<sup>103</sup> W v. Switzerland, №14379/88, 26 იანვარი, 1993.

<sup>104</sup> Wemhoff v. the Federal Republic of Germany, №2122/64, 27 ივნისი, 1968.

<sup>105</sup> Clooth v. Belgium, №12718/87, 12 დეკემბერი, 1991.

მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებაში ჩარევის საფრთხის შეფასებისას, სტრასბურგის სასამართლო ასევე ითხოვს, რომ ხელისუფლების ეროვნულმა ორგანოებმა კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით განახორციელონ ბრალდებულისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდება.<sup>106</sup> თუმცა, ევროპულმა სასამართლომ ცალსახად განაცხადა, რომ მხოლოდ კონკრეტული ფაქტების საფუძველზე შეუძლია ეროვნულ სასამართლოს დაასკვნას ხსენებული საფრთხის რეალურად არსებობა. მხოლოდ ის ფაქტი, რომ პირი ბრალდებულია წინასწარი შეთანხმებით დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებაში, არ არის საკმარისი ასეთი საფრთხის საფუძველზე პირის განგრძობადად წინასწარ პატიმრობაში მოთავსებისათვის.<sup>107</sup>

გადაწყვეტილების მიღების დროს, აუცილებლად გასათვალისწინებელი და გასაანალიზებელია ინდივიდუალური ფაქტორები, შეუძლია თუ არა მას პოტენციურად ზეწოლა განახორციელოს მოწმეებზე, ედება თუ არა პირს ბრალი, რა სახის დანაშაულის ჩადენაში ედება პირს ბრალი და სხვ.<sup>108</sup>

## ეროვნული პრაქტიკა

მართლმსაჯულების ჯეროვნად აღსრულებაში ჩარევის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია გორის საქალაქო სასამართლოს ერთ-ერთი განჩინება,<sup>109</sup> რომელიც სწორედ მოცემული ასპექტის არსებობას უსვამს ხაზს და მართლმსაჯულების მიზნებისთვის, აღკვეთის ღონისძიების ყველაზე მიზანშეწონილ სახესაც მასზე დაყრდნობით შეარჩევს.

მოცემულ განჩინებაში საქმე ეხებოდა არასრულწლოვან ბრალდებულს, რომელსაც ბრალად ედებოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენა, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა. აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანი მიიმალა შემთხვევის ადგილიდან და მისი დაკავება შესაძლებელი გახდა შემთხვევიდან 6 დღის შემდეგ. განჩინების სამოტივაციო ნაწილზე დაყრდნობით, სასამართლო ითვალისწინებს „ქმედების ხასიათს, მართლწინააღმდეგობას, სპეციფიკას, ბრალდებულის პიროვნებას, კერძოდ, მის მიმართ ბრალად შერაცხული ქმედება ძალადობრივი ხასიათისაა და მიმართულია სხვისი სიცოცხლის ხელყოფისკენ,

<sup>106</sup> ოსუჩი პოლონეთის წინააღმდეგ (Osuch v. Poland), № 31246/02, § 26, 14 ნოემბერი 2006; ცელეჯევსკი პოლონეთის წინააღმდეგ (Celejewski v. Poland), №17584/04, §§ 37-38, 4 მაისი 2006

<sup>107</sup> პოპოვი და ვორობიევი რუსეთის წინააღმდეგ (Popov and Vorobyev v. Russia), №1606/02, § 82, 23 აპრილი, 2009.

<sup>108</sup> პოლონსკი რუსეთის წინააღმდეგ (Polonskyi v. Russia), №30033/05, § 148.

<sup>109</sup> გორის საქალაქო სასამართლოს განჩინება №10/ა-1-17.

*(ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხელშეუხებლობა აღემატება არასრულწლოვანი ბრალდებულის თავისუფლების ინტერესს).“*

ასევე, იმ გარემოებას, რომ **„საქმეზე დაკითხული დაზარალებული და მოწმეები არიან ბრალდებულის ნაცნობები, დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის დღეისათვის კონფლიქტი ამოწურული არ არის.** გარდა ამისა, ბრალდებული წარსულში განრიდებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განზრახი კატეგორიის დანაშაულის ჩადენისთვის, რომლის მხედველობაში მიღებითაც სასამართლოს დასაბუთებულად მიაჩნია, ვარაუდი იმის თაობაზე, რომ თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში, ა. ხ.-მ მოსალოდნელი სასჯელის შიშით შესაძლოა, თავი აარიდოს გამოძიებას და ზემოქმედება განახორციელოს პროცესის მონაწილეებზე.“

ის ფაქტობრივი გარემოება, რომ კონფლიქტი ჯერ ამოწურული არ არის, სასამართლოს მიერ ხშირადაა გამოყენებული მოწმეებზე პოტენციური სამომავლო გავლენის შესახებ ვარაუდის გასამყარებლად. აღნიშნული ასევე, ნათლად იკვეთება მოცემულ გადაწყვეტილებაში, სადაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების დასაბუთების კუთხით, აგრეთვე მოტანილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რელევანტური პრაქტიკა, კერძოდ, გადაწყვეტილება საქმეზე *ლეტელიე საფრანგეთის წინააღმდეგ*, სადაც განმარტებულია, რომ გამოძიების დასაწყისში, მოწმეებზე ზეწოლის განხორციელების დამაჯერებელი რისკი, რომელმაც შესაძლოა მოწმეთა ჩვენებებში ცვლილებები გამოიწვიოს, შესაძლებელია გახდეს ბრალდებულის გათავისუფლებაზე უარის თქმის საფუძველი.

შეჯამების სახით, აღსანიშნავია, რომ რიგ განჩინებებში მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებაში ჩარევის საფრთხე, ახალი დანაშაულის და მიმალვის საფრთხეებთან ერთად, მხოლოდ დანაშაულის სიმძიმითაა პრეზუმირებული ან მოკლებულია რელევანტურ მსჯელობას. იმის გათვალისწინებით, რომ კანონთან კონფლიქტში არასრულწლოვანიდან მომდინარე ეს სამომავლო რისკი განსხვავდება ზემოხსენებული ორი საფრთხისგან, მნიშვნელოვანია სასამართლოების მიერ სათანადო ყურადღება გამახვილდეს ისეთ არსებით გარემოებებზე, როგორცაა ბრალდებულის ურთიერთობა მოწმეებთან, კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, მისი დასრულების ან მოგვარების საკითხი და სხვა.

### 3. გირაო

#### საერთაშორისო სტანდარტები

გირაოს, როგორც აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთ მთავარ სახეს მრავალი ქვეყნის კანონმდებლობა იცნობს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ, „პეკინის წესების“ სახელით ცნობილი გაეროს მინიმალური წესებსა და სხვა საერთაშორისოსამართლებრივ სტანდარტებზე დაყრდნობით, მნიშვნელოვანია, რომ იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობა ითვალისწინებს აღკვეთის ღონისძიების სახედ გირაოს არსებობას, ის ასევე, უნდა შეიცავდეს მუხლს, რომელიც დაუშვებს ამ მოთხოვნისათვის გვერდის ავლას. კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანი ან მისი მშობლები ხელმოკლეები არიან და ვერ გადაიხდიან გირაოს – შესაძლებელი უნდა იყოს აღნიშნული გადასახადის პროცენტული შემცირება არასრულწლოვანის ან მისი მშობლის შემოსავლის პროპორციულად. გარდა ამისა, კანონმდებლობამ მოსამართლეს უნდა მიანიჭოს დისკრეციული უფლებამოსილება გირაოს მოთხოვნაზე უარის თქმასთან დაკავშირებით იმ შემთხვევებში, როცა არასრულწლოვანს არ ჰყავს მშობლები ან ისინი ვერ იპოვეს. თუ კანონმდებლობა არ შეიცავს აღნიშნული სახის დებულებებს, გირაოს მოთხოვნა წარმოადგენს გაჭირვებული ბავშვების და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვების პოტენციური დისკრიმინაციის საფუძველს.<sup>110</sup>

გაეროს „პეკინის წესები“ ასევე მოითხოვს, რომ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ეჭვი, რომ სასამართლოს მოლოდინში ბავშვმა შეიძლება კვლავ ჩაიდინოს სამართალდარღვევა, სასამართლოებს უნდა მიენიჭოთ კანონიერი უფლებამოსილება, გირაოს ან წინასწარი პატიმრობის შეფარდების ნაცვლად, ბავშვს დააკისრონ გარკვეული პირობების შესრულება. კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს, რომ სასამართლოს შეეძლოს აუკრძალოს ბავშვს გარკვეულ ადგილებში წასვლა, კონკრეტულ ხალხთან ურთიერთობა, მოსთხოვოს სკოლაში სიარული, გარკვეულ საათებში სახლში ყოფნა. თუკი არსებობს ბავშვთან დაკავშირებით სერიოზული შეშფოთების საფუძველი, სასამართლომ შეიძლება განიხილოს ისეთი ალტერნატიული ზომების გამოყენების შესაძლებლობა, როგორიცაა მუდმივი ზედამხედველობის დაწესება, ინტენსიური მზრუნველობა ოჯახში თუ საგანმანათლებლო ან საცხოვრებელ დაწესებულებაში მოთავსება.<sup>111</sup>

ევროპის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-5 (3) მუხლი უზრუნველყოფს გირაოს საფუძველზე გათავისუფლების უფლებას და

<sup>110</sup> ქეროლინ ჰამილტონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, 2011.

<sup>111</sup> პეკინის წესები, მე-10 წესი.



უპირატესობას ანიჭებს მის გამოყენებას სასამართლო პროცესის მიმდინარეობის დროს.

გამომდინარე იქიდან, რომ უშუალოდ არასრულწლოვნებთან მიმართებით გირაოს კუთხით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში არცთუ ისე დიდი პრაქტიკაა, საჭიროა, მხედველობაში მივიღოთ ზემოთ ხსენებული პრეცედენტული მნიშვნელობის საქმე *ვემჰოფი გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის წინააღმდეგ*.<sup>112</sup> სადაც სასამართლომ პრინციპების დონეზე დაადგინა, რომ გირაოს ოდენობა გამოანგარიშებული უნდა იყოს ბრალდებულის პიროვნული თვისებების, მისი ფინანსური მდგომარეობისა და იმ პირებთან ურთიერთობის გათვალისწინებით, რომლებიც კისრულობენ შესაბამისი უზრუნველყოფის ღონისძიების განხორციელებას. ბრალდებულმა ხელმისაწვდომი უნდა გახადოს ინფორმაცია მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რომლის შემდგომაც ქვეყნის შიდა კომპეტენტური ორგანოები ვალდებული არიან, ყურადღებით შეისწავლონ ინფორმაცია გირაოს შესაბამისი ოდენობის განსაზღვრის მიზნით. გირაოს სახით იმაზე მეტი ოდენობის თანხის განსაზღვრა, ვიდრე ეს აუცილებელია უზრუნველყოფის მიზნის მისაღწევად – რაც გულისხმობს „მიმალვის სურვილის გაქარწყლების მიზნით დაშინების საკმარის საშუალებას“ – აუცილებლად გამოიწვევს პირის გირაოთი სარგებლობის უფლების დარღვევას. გარანტიის სახით პასპორტის ჩამორთმევა შესაძლებელია იმავე პრინციპის საფუძველზე, რაც მოქმედებს ფინანსურ გარანტიებთან დაკავშირებით და მიმართული უნდა იყოს ბრალდებულის სასამართლო განხილვაზე გამოცხადების უზრუნველყოფისაკენ.

## ეროვნული კანონმდებლობა

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 63-ე მუხლი ითვალისწინებს გირაოს, როგორც აღკვეთის ღონისძიების სახეს. ამკ-ს თანახმად, გირაოს თანხის ოდენობა განისაზღვრება არასრულწლოვანი ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის და მისი ქონებრივი შესაძლებლობის გათვალისწინებით. გირაოს თანხა შეიძლება ნებისმიერი ოდენობით განისაზღვროს.

გირაოს, როგორც აღკვეთი ღონისძიების სახის შესახებ კანონმდებელი სხვა ჩანაწერს არ აკეთებს. შესაბამისად, მისი გამოყენების წესი დადგენილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლით.

<sup>112</sup> ვემჰოფი გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის წინააღმდეგ (*Wemhoff v. The Federal Republic of Germany*), №2122/64, 27 ივნისი 1968.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად, გირაოს შეფარდების დროს მოსამართლე ვალდებულია გაითვალისწინოს არასრულწლოვანი ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და მისი ქონებრივი შესაძლებლობა. გირაოს თანხა უნდა იყოს მშობლის შემოსავლის პროპორციული.<sup>113</sup> აღსანიშნავია, რომ ამკ-ის 63-ე მუხლი არ შეიცავს გირაოს მოთხოვნის შესრულების გვერდის ავლას. სსსკ-ის მე-200 მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, თუ პირი ვერ უზრუნველყოფს გირაოს თანხას, პროკურორი სასამართლოს მიმართავს უფრო მკაცრი აღკვეთი ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობით, ამ შემთხვევაში პატიმრობის გამოყენებით.

კანონმდებლის მიერ არ არის დაკონკრეტებული გირაოს თანხის ოდენობა. მიუხედავად იმისა, რომ სსსკ-ის მე-200 მუხლი მიუთითებს, რომ გირაოს თანხა არ შეიძლება იყოს 1000 ლარზე ნაკლები, მიზანშეწონილია, მოცემული საკვანძო საკითხი გაიწეროს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსშიც და დაზუსტდეს გირაოს თანხის ის მაქსიმალური და მინიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებშიც მოსამართლე გამოიყენებს მას.

საყურადღებოა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრინციპიდან გამომდინარე, არ შეიძლება სრულწლოვანი და არასრულწლოვანი ბრალდებულებისათვის გირაოს ერთი და იგივე პირობების დაწესება. შესაბამისად, საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი წევრების დაცვის კუთხით მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფის მიზნით, პროგრესულ ნაბიჯად შეფასდებოდა საკანონმდებლო დონეზე გირაოს შეფარდების დიფერენცირება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით.

კვლევის ფარგლებში განხილული საქმეებიდან იკვეთება, რომ 2017-2018 წლებში არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების თვალსაზრისით, 224 საქმიდან უმრავლესობა გირაოს ეხებოდა კერძოდ, მთლიანობაში 275 ბრალდებულიდან, გირაო 114 არასრულწლოვნის მიმართ იქნა დაფიქსირებული, რაც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საერთო მაჩვენებლის თითქმის ნახევარს წარმოადგენს. შედეგად, ის დღემდე ყველაზე ხშირად გამოყენებულ აღკვეთის ღონისძიებად ითვლება.

---

<sup>113</sup> ქეროლინ ჰამილტონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, 2011, გვ. 77.

### 3.1. გირაოს გამოყენება ეროვნულ პრაქტიკაში

მოცემული კვლევის ფარგლებში, არასრულწლოვნებთან მიმართებით აღკვეთის ღონისძიებად გირაოს გამოყენების შესახებ განხილვების ანალიზის კუთხით, სავსებით შესაძლებელია, ითქვას, რომ გამოვლინდა გარკვეულწილად, არაერთგვაროვანი პრაქტიკა.

არასრულწლოვან ბრალდებულთან დაკავშირებული კონკრეტული გარემოებების შეფასების კუთხით, მნიშვნელოვანია ბათუმის საქალაქო სასამართლოს განხილვა<sup>114</sup> აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების შესახებ. აქ სასამართლო აღკვეთის ყველაზე ოპტიმალური ღონისძიების შერჩევის პროცესში პირის ისეთ ინდივიდუალურ მახასიათებლებს იღებს მხედველობაში, როგორცაა ნასამართლეობა, საცხოვრებელი ადგილისა და შესაბამისად, მასზე ზედამხედველი პირის არსებობა:

*„ი. ჩ.-ს ბრალი ედება მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენაში, რომელიც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას. ამასთან, სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის არამართლზომიერ ქმედებას, რაც გამოიხატა ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობაში, რბევაში, სხვისი ნივთის დაზიანებასა და განადგურებაში და იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლებისადმი წინააღმდეგობასა და მათზე თავდასხმაში. მართალია, ბრალდებულ ი. ჩ.-ს მიერ დასაბუთებული ვარაუდით ჩადენილი ქმედება მძიმე კატეგორიის დანაშაულია, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მქონე ბრალდებული, რომელიც არასრულწლოვანია და წარსულში არ არის ნასამართლევი. ამდენად, საქმის გარემოებების გათვალისწინებით ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს მითითებული ოდენობით გამოყენება გამართლებულია, რაც სრულად უზრუნველყოფს მის სათანადო ქცევას და აღკვეთის ღონისძიების მიზნების შესრულებას.“*

იმის გათვალისწინებით, რომ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევასას მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, მოცემული განხილვის გარდა, მრავალ სხვა განხილვაშიც, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ის უპირველეს ყოვლისა, რელევანტურია მიმალვის საფრთხის შეფასების კუთხით და ამიტომ მისი ზოგადად, კონკრეტულ ასპექტთან მიმართების გარეშე გამოყენება შესაძლოა შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობის არასრულწლოვნებისთვის დისკრიმინაციის წყარო გახდეს. ამდენად, ფუნდამენტურია, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ეს

<sup>114</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს განხილვა №10ა-64.17 №010802217001846933.

ინდივიდუალური მახასიათებელი კონკრეტულ საკითხს მიემართებოდეს და არ წარმოადგენდეს აღკვეთის ღონისძიების შერჩეული სახის გამოყენების განყენებულ საფუძველს.

როგორც უკვე აღინიშნა, ზემოთ მოცემულ განჩინებაში განხილული ინდივიდუალური მახასიათებლები არაერთ საქმეშია გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებად გირაოს გამოყენების მიზანშეწონილობის გასამყარებლად, მაშინაც კი, როდესაც სახეზე გვაქვს არასრულწლოვანი ბრალდებულის მხრიდან მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა. აღნიშნულის საილუსტრაციოდ განსაკუთრებით რელევანტურია ბათუმის საქალაქო სასამართლოს შემდეგი განჩინება,<sup>115</sup> რომლის მიხედვითაც:

*„სასამართლო აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას, მართალია, ითვალისწინებს ბრალდებით გათვალისწინებული ქმედების სიმძიმეს – ბრალი ედება მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენაში, რაც სასჯელის სახით რვა წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, თუმცა ბრალდების სიმძიმე საფუძველად ვერ დაედება ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების ყველაზე მკაცრი სახის გამოყენებას. სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებით გათვალისწინებული ქმედების ხასიათს და ბრალდებულის პიროვნებას, რომელიც 18 წლის ახალგაზრდაა, წარსულში არ არის ნასამართლევი, გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.“*

მოცემული განჩინება ასევე, მნიშვნელოვანია ორ ბრალდებულთან მიმართებით, განსხვავებულ გარემოებათა შედარებისა და კონტრასტის კუთხით და შედეგად, განსხვავებული აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ მოცემული ასპექტი განსაკუთრებით რელევანტურია, რადგან ეროვნული პრაქტიკის შესწავლის შედეგად პრობლემატურ საკითხად გამოიკვეთა ისეთი კოლექტიური ტიპის განჩინებები (განჩინებები, სადაც საქმე ეხება ერთზე მეტ არასრულწლოვან ბრალდებულს), რომლებიც ინდივიდუალიზაციის შედარებით დაბალი ხარისხით ხასიათდებოდა.

*„სასამართლო აღნიშნავს, რომ ბრალდების მხარის შუამდგომლობა ჭ.-ის მიმართ გირაოს, ხოლო კ.-ის მიმართ პატიმრობის გამოყენების თაობაზე, დაფუძნებულია აბსოლუტურად იდენტურ მოცემულობაზე, იდენტურ არგუმენტებზე და ამ ორი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევის ნაწილში მხოლოდ საბოლოო მოთხოვნაა განსხვავებული. საგულისხმოა, რომ ბრალდებული ჭ.-ის შემთხვევაში, რომლის მიმართაც ბრალდების მხარე სავსებით სამართლიანად და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის დებულებების შესაბამისად, გირაოს გამოყენებას ითხოვს, უფრო მძიმეა სურათი*

<sup>115</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინება №10/ა-282/18.

კანონთან კონფლიქტში ყოფნის თვალსაზრისით. სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი ინფორმაციიდან გამომდინარე, მის მიმართ თბილისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის ორ განყოფილებაში მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის არაერთი ფაქტის გამო. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 14 ივლისის და 29 ივლისის განჩინებებით მის მიმართ გამოყენებულია აღკვეთის ღონისძიების სახით მშობლის მეთვალყურეობაში გადაცემა, თუმცა, მიუხედავად აღკვეთის ღონისძიების ზემოქმედების ქვეშ ყოფნისა, ჭ.-მ დასაბუთებული ვარაუდით, კვლავ ჩაიდინა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქმის მასალების მიხედვით, დაკავებისას ჭ. მეტი აგრესიული გამოიჩინა პოლიციის თანამშრომლების მიმართ (მიაყენა სხეულის დაზიანება). რაც შეეხება კ.-ს, ის არ არის ნასამართლავი, მის მიმართ არც რაიმე სახის აღკვეთის ღონისძიებაა გამოყენებული, წარდგენილი ბრალდება კი, ანალოგიურია ჭ.-ის მიმართ წარდგენილი ბრალდებისა. ერთადერთი განმასხვავებელი გარემოება, რომელზეც როგორც ჩანს, ძირითადი აქცენტი გადაიტანა ბრალდების მხარემ და ყურადღების მიღმა დატოვა სხვა, აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას გასათვალისწინებელი გარემოებები, არის ის ფაქტი, რომ გ.კ. რამდენიმე თვით უფროსია ჭ.-ზე და შესაბამისად, უკვე სრულწლოვანია.“

აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების კუთხით, ასევე საყურადღებოა შემდეგი განჩინება,<sup>116</sup> სადაც სასამართლო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეგულაციურ პრაქტიკაზე დაყრდნობით ავითარებს მსჯელობას.

სასამართლოს მითითებით,

„ასევე, ამ მიმართებით აღსანიშნავია ევროსასამართლოს პრაქტიკაც, რომლის მიხედვითაც, დანაშაულის ხელახლა ჩადენასთან დაკავშირებით პირის წარსულ ცხოვრებაზე მითითება საკმარისი არ არის გათავისუფლებაზე უარის თქმის გასამართლებლად (Muller v. France, განაცხადი 21802/93).“

„ამასთან, სასამართლო კვლავ მიუთითებს ადამიანის ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებზე. კერძოდ, ევროპული სასამართლო აღვებს, რომ გარკვეული საფრთხეების არსებობა, რომელსაც შეუძლია ხელი შეუშალოს სამართალწარმოების ჯეროვნად წარმართვას (თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც საფრთხე საკმარისად არის დადგენილი) არ ნიშნავს აუცილებლად იმას, რომ ბრალდებული უნდა იქნას დაპატიმრებული. ხელისუფლების ორგანოებმა უნდა განიხილონ ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიების

<sup>116</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება №10ა/2827

*გამოყენების შესაძლებლობა... (KHODORKOVSKIY v. RUSSIA, განაცხადი № 5829/04, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 2011 წლის 31 მაისი).“*

სასამართლო მოცემულ საქმეში მიიჩნევს, რომ გირაოს დაკარგვის შიში, ბრალდებულის ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თავისთავად იქნება მისთვის შემაკავებელი და სრულად უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნებს.

*„ბრალდებულს ბრალად ედება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენა. ბრალდებული წარსულში ნასამართლევა ანალოგიური, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული განზრახი დანაშაულების ჩადენისთვის. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის პიროვნებას, ბრალად წარდგენილი ქმედების ხასიათსა და სპეციფიკას, ბრალდებულს ბრალი ედება საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ ნაკლებად მძიმე კატეგორიის განზრახი დანაშაულის ჩადენაში, გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ჰყავს ოჯახი, იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართალწარმოების ქვეყანასთან. სასამართლო ასევე, მიიჩნევს, რომ საქმის მასალებიდან გამომდინარე, არ იკვეთება ბრალდებულის მიმალვის საფრთხე, რომ მის მიმართ გამოყენებულ იქნას ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიება.“*

კვლევის ფარგლებში იმ განჩინებათა განხილვის შედეგად, სადაც აღკვეთის ღონისძიებად გირაოა გამოყენებული, გამოვლინდა ეროვნული სასამართლოების მიერ დანერგილი მკაფიოდ დიფერენცირებული და არაერთგვაროვანი პრაქტიკა, რაც თვითნებობის პრევენციისა და არასრულწლოვნის მიერ სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის კუთხით, საყურადღებო საკითხს წარმოადგენს. აღნიშნული პრაქტიკა გამოიხატება გირაოსთვის განსაზღვრული თანხის ოდენობებს შორის არსებული არაპროპორციულად დიდი სხვაობით, რაც ერთი მხრივ, შესაძლოა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მკაფიო ინდივიდუალიზაციით აიხსნას, თუმცა სათანადო არგუმენტაციის არარსებობის პირობებში, ეს შესაძლოა კონკრეტული მახასიათებლებით გამორჩეული არასრულწლოვნების დისკრიმინაციის წყარო გახდეს. ამიტომ, მნიშვნელოვანია სასამართლოების მხრიდან ჯეროვნად მოხდეს ყველა იმ გარემოებათა მიმოხილვა, რაც აღკვეთის ღონისძიების სახედ გირაოს გამოყენებას შესაძლოა დაედოს საფუძვლად.

## 3.2. პატიმრობა, როგორც გირაოს უზრუნველყოფის საშუალება

### საერთაშორისო პრაქტიკა

მოცემული კვლევის ფარგლებში გამოვლენილ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და საგულისხმო პრობლემას წარმოადგენს პატიმრობის, როგორც გირაოს უზრუნველყოფის საშუალების გამოყენება არასრულწლოვანთა წინააღმდეგ საქმეებში. ამ კუთხით განსაკუთრებით აქტუალურია ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიმოხილვა იმ საქმეებთან მიმართებით, სადაც მიუხედავად გირაოს შეფარდებისა, ბრალდებულები კვლავ პატიმრობაში რჩებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლში გარანტირებული ფუნდამენტური უფლების სათანადოდ დაცვა გულისხმობს ეროვნული სასამართლოს ვალდებულებას, ისეთივე გულმოდგინებით მოეკიდოს გირაოს სათანადოდ განსაზღვრას, როგორც პატიმრობის საკითხის გადაწყვეტას. როგორც ზემოთ აღინიშნა, გირაოსთან დაკავშირებულ საქმეებზე პრეცედენტული მნიშვნელობისაა საქმეები, სადაც მომჩივნებს სრულწლოვანი პირები წარმოადგენენ. მიუხედავად ამისა, საგულისხმოა, რომ მოცემული სტანდარტები ანალოგიურად ვრცელდება განსაკუთრებით, საზოგადოების ისეთ მოწვევლად წევრებზე, როგორსაც წარმოადგენენ არასრულწლოვანები. ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქმეში, *ტოშევი ბულგარეთის წინააღმდეგ*,<sup>117</sup> ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შიდასახელმწიფოებრივმა სასამართლომ არ გამოიკვლია ბრალდებულის ფინანსური და ქონებრივი მდგომარეობა და არ შეისწავლა გირაოს ქონებით უზრუნველყოფის საკითხი. ბრალდებულს არ ჰქონდა სასამართლოს მიერ განსაზღვრული გირაოს გადახდის შესაძლებლობა. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ გირაოს გადაუხდელობის გამო ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნა, რომელსაც არაძალადობრივ დანაშაულში ედებოდა ბრალი, კონვენციის მე-5 მუხლის მიზნებს არ შეესაბამებოდა.

საქმეში *ივანჩუკი პოლონეთის წინააღმდეგ*,<sup>118</sup> სასამართლოს მიერ გირაოს საფუძველზე პირის გათავისუფლების გადაწყვეტილების გამოტანიდან ოთხ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, მომჩივანი მაინც რჩებოდა პატიმრობაში. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაირღვა მე-5 მუხლის მესამე პარაგრაფი, ვინაიდან სახელმწიფოს მიერ დასახელებული პროცედურული ფორმალბები ვერ ჩაითვლებოდა საკმარის საფუძველად

<sup>117</sup> Toshev v. Bulgaria, №56308/00, 10 ნოემბერი, 2006.

<sup>118</sup> Iwanczuk v. Poland, №25196/94, 15 თებერვალი 2002.



იმისთვის, რომ პირს ოთხი თვე გაეტარებინა პატიმრობაში მას შემდეგ, რაც უფლებამოსილმა სასამართლომ პატიმრობა აუცილებლად არ ჩათვალა.

## ეროვნული პრაქტიკა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს გირაოს გამოყენების უზრუნველსაყოფად პატიმრობის შეფარდების პროცედურას, რასაც „საპატიმრო გირაოსაც“ უწოდებენ. აღნიშნული არ წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების რაიმე დამოუკიდებელ სახეს. იგი გირაოსა და პატიმრობის ერთდროულად გამოყენების გზით ხორციელდება და გარკვეულ პირობებზეა დამოკიდებული, ურომლისოდაც მისი გამოყენება იმთავითვე კანონთან შეუსაბამოა.

რაც შეეხება აღნიშნული მექანიზმის არასრულწლოვნებთან მიმართ გამოყენების საფუძვლებს, აღსანიშნავია, რომ ამგვარი შესაძლებლობა ახლადმიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გაწერილი არ არის, თუმცა, არასრულწლოვნისთვის გირაოსთან დაკავშირებული კონკრეტული ღონისძიების გამოყენების თვალსაზრისით, სასამართლოებს შეუძლიათ დაეყრდნონ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლს, რომლის მე-6 ნაწილიც განსაზღვრავს გირაოს გამოყენების უზრუნველყოფას პატიმრობით. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში შესაბამისი ჩანაწერის პირობებში, ბოლო 2 წლის განმავლობაში, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ არსებულ განჩინებებში გირაოს პატიმრობით უზრუნველყოფის შემთხვევებს მაინც ვხვდებით. აღნიშნულ ზომას საერთო სასამართლოები იშვიათად მიმართავენ. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ არასრულწლოვნების მიმართ არსებული 224 საქმიდან, აღნიშნული შემაკავებელი ღონისძიება გამოყენებულია მხოლოდ 6 საქმეში.

ზემოთ ხსენებული განსაკუთრებული გარემოებების საილუსტრაციოდ მნიშვნელოვანია ახალციხის რაიონული სასამართლოს განჩინება,<sup>119</sup> რომელიც გირაოს პატიმრობით უზრუნველყოფის აუცილებლობას არასრულწლოვანი ბრალდებულის ქმედებების თანმიმდევრული ანალიზით ასაბუთებს. სასამართლოს განმარტებით,

*„კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვან ღ. ქ.-ს ბრალი ედება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული განზრახი დანაშაულის ჩადენაში. ბრალდებულის მიმართ გამოყენებული იყო სისხლისსამართლებრივი*

<sup>119</sup> ახალციხის რაიონული სასამართლოს განჩინება №10/დ-245-18.



პასუხისმგებლობის ალტერნატიული ღონისძიება განრიგებისა და მედიაციის ხელშეკრულების გაფორმებით, რამაც ვერ უზრუნველყო ლ. ქ-ს ქცევის გამოსწორება. ბრალდებულს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა პირობით გამოსაცდელი ვადის განსაზღვრით, ორ სხვადასხვა საქმეზე, რომელთა განხილვაც მიმდინარეობს ახალციხის რაიონულ სასამართლოში. აღკვეთის ღონისძიებად შერჩეული აქვს გირაო, რომელიც არ იქნა უზრუნველყოფილი. მიუხედავად ბრალად შერაცხულ ქმედებათა სიმრავლის და წარსულშიც, არაერთი ანალოგიური ხასიათის ქმედების შესაძლო ჩადენისა, სასამართლოს მიაჩნია, რომ პროკურორის მიერ საკმარისად არ არის დასაბუთებული სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობა.“

ამ თვალსაზრისით ასევე, საგულისხმოა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინება<sup>120</sup> საქმეზე, სადაც ბრალდებულისთვის ზემოთ განხილული ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონილობა მოსამართლემ ძირითადად, მძიმე დანაშაულში ბრალეულობითა და პირობით გამოსაცდელ ვადაში ჩადენილი ახალი დანაშაულის ჩადენით გაამყარა –

„განსახილველ შემთხვევაში ვ. კ-ს მიმართ ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებები მიეკუთვნება მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, რომლისთვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ოთხიდან შვიდ წლამდე ვადით, რაც წარმოშობს მართლმსაჯულებისაგან მისი მიმალვის საფრთხეს. ამასთან, აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევას, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ვ. კ. იმყოფება პირობით გამოსაცდელ ვადაში, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს გირაო და მიუხედავად კანონით გათვალისწინებული ყველა მსუბუქი ღონისძიებების გამოყენებისა, კვლავ განაგრძო ახალი დანაშაულის ჩადენა. მითითებული გარემოებები წარმოშობს მისი მიმალვისა და მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეებს, რომლის გასანეიტრალებლად მიზანშეუწონილია მის მიმართ შეირჩეს ისეთი შემაკავებელი ღონისძიება, რაც უზრუნველყოფს მის სათანადო ქცევას.“

თუმცა, მეორე მხრივ, სახეზე გვაქვს ისეთი განჩინებები, სადაც აღნიშნული ზომის გამოყენების საპირწონედ განჩინება არათუ მოკლებულია სათანადო და მყარ არგუმენტაციას, არამედ ჯეროვნად არაა შეფასებული არასრულწლოვანთა ჯანმრთელობის განსაკუთრებული მდგომარეობა და მასთან დაკავშირებული რისკები. მაგალითად, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ<sup>121</sup> გირაოს პატიმრობით

<sup>120</sup> ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინება №10/ა-175.

<sup>121</sup> ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინება №10/დ-95.

უზრუნველყოფის გადაწყვეტილება მიიღო მიუხედავად აღნიშნული გარემოებებისა:

*„ბრალდებულები პირველად არიან სამართალში მიცემული, აღიარებენ შერაცხულ ბრალდებას და არიან 18 წლის ახალგაზრდები. თ. ღ. მუშაობს ბარმენად, ხოლო ო. თ. დაავადებულია ტუბერკულოზით. ორივე მათგანი ხასიათდება დადებითად. დაზარალებულს მათ მიმართ პრეტენზია არ აქვს.“*

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, აუცილებელია აღინიშნოს, რომ მართალია, განსაკუთრებული გარემოებების არსებობის პირობებში იკვეთება შეკავების ეფექტური ღონისძიების გატარების საჭიროება, თუმცა უკანასკნელი პრეცედენტისა და ზოგადად, ამ მკაცრი ზომის მახასიათებლების გათვალისწინებით, გარკვეულწილად, ალოგიკურია არასრულწლოვნისთვის ყველაზე ოპტიმალური აღკვეთის ღონისძიებად შედარებით უფრო მსუბუქი ფორმის – გირაოს შერჩევა, ხოლო მის უზრუნველსაყოფად ყველაზე მკაცრი, უკიდურესი ზომის – პატიმრობის გამოყენება. მოცემული ღონისძიების ლეგიტიმურობას ეჭვქვეშ ყველაზე მეტად ის გარემოება აყენებს, რომ ლოგიკურად, არ იკვეთება როგორ შეიძლება ამგვარი ზომა ემსახურებოდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს, რომელთა დაცვაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს. ამ პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით, კონსტრუქციულ და ძალზე ეფექტურ მსჯელობას ავითარებს ბათუმის საქალაქო სასამართლო ერთ-ერთ განჩინებაში:<sup>122</sup>

*„არასრულწლოვან ბრალდებულთან დაკავშირებით, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 63-ე მუხლით გათვალისწინებულია არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება. თუმცა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით არ არის განსაზღვრული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილში მითითებული პატიმრობის უზრუნველყოფით გირაოს გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული დაკავებულია. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-4 მუხლმა ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობა. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულია, რომ არასრულწლოვნის მართლმსაჯულების პროცესში გამოიყენება ამ კოდექსით გათვალისწინებული ნორმები, ხოლო რაც შეეხება სხვა საპროცესო ნორმების გამოყენებას, ამავე მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილების მოთხოვნებიდან*

<sup>122</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინება №10/ა-19/18

*გამომდინარე, შესაძლებელია გამოყენებული იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება ამ კოდექსს, ითვალისწინებს არასრულწლოვნის მიმართ შეღავათს და ემსახურება მის საუკეთესო ინტერესებს.*

აღნიშნულ არგუმენტაციაზე დაყრდნობით, სასამართლომ სავსებით საფუძვლიანად მიიჩნია, რომ „არასრულწლოვანი ბრალდებულის, ვ. დ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული გირაოს უზრუნველსაყოფად პატიმრობის გამოყენება არ გამომდინარეობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მოთხოვნებიდან და ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს, რის გამოც მის მიმართ გამოყენებული საპროცესო იძულების ღონისძიება დაკავების სახით უნდა გაუქმდეს.“

შესაბამისად, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ არასრულწლოვანთა დასაცავად საჭიროა, არსებობდეს ჩვეულებრივზე უფრო მაღალი სტანდარტი და აღნიშნული ღონისძიება არ არის მოწესრიგებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით, შედეგად, არასრულწლოვნის მიმართ პატიმრობის გამოყენება გირაოს უზრუნველყოფის მიზნით, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, თუ ის ერთმნიშვნელოვნად ემსახურება მის საუკეთესო ინტერესებს. აღნიშნული წინაპირობის არარსებობის პირობებში, დადებით პრაქტიკად ვერ შეფასდება არასრულწლოვნის წინააღმდეგ განგრძობადი პატიმრობის გამოყენება მას შემდეგ, რაც სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ყველაზე უკიდურესი საშუალებების – პატიმრობის გამოყენება საჭირო აღარ არის და სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოსაყენებელ ყველაზე ოპტიმალურ ღონისძიებას ნაკლებად მკაცრი ზომა – გირაო წარმოადგენს.

#### **4. აღკვეთის ღონისძიების სხვა სახეები**

როგორც ზემოთ აღინიშნა, აუცილებელია სახელმწიფოს კანონმდებლობაში იყოს თავისუფლების აღკვეთის თავიდან აცილების გზით, ისეთი ალტერნატიული ზომების გამოყენების შესაძლებლობა, რაც უზრუნველყოფს არასრულწლოვნის მუდმივ ზედამხედველობას, აქტიური აღმზრდელობითი სამუშაოების ჩატარებას ოჯახში თუ აღმზრდელობით/საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან საცხოვრებელში მოთავსებას.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის №10 ზოგადი კომენტარის მიხედვით,

„კანონმა უნდა უზრუნველყოს სასამართლო/მოსამართლე ან სხვა კომპეტენტური, დაუმოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანო იმ ალტერნატივების ფართო

ჩამონათვალით, რომელიც უნდა ჩაენაცვლოს ზრუნვის ინსტიტუციურ ფორმას, რათა თავისუფლების აღკვეთა გამოყენებული იქნას როგორც მხოლოდ უკიდურესი ზომა და რაც შეიძლება მოკლე პერიოდის განმავლობაში. ალტერნატიული ზომების არასრული ჩამონათვალი მოცემულია კონვენციის 40 (4) მუხლში.“

აღნიშნული მუხლის თანახმად,

„აუცილებელია ისეთი სხვადასხვაგვარი ღონისძიებები, როგორცაა **მოვლა, მეურვეობისა და მეთვალყურეობის დებულება, საკონსულტაციო მომსახურება, გამოსაცდელი ვადის დანიშვნა, აღზრდა, სწავლებისა და პროფესიული მომზადების პროგრამები** და მოვლის ისეთი ფორმები, რომლებიც დაწესებულებებში მოვლა შეიძლება ჩაანაცვლოს. ამ ღონისძიებათა მიზანია ბავშვისადმი იმგვარი მოპყრობის უზრუნველყოფა, როგორც შეესაბამება ბავშვის კეთილდღეობის ინტერესებს, აგრეთვე მის მდგომარეობას და დანაშაულის ხასიათს.“

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის №10 ზოგადი კომენტარი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ თავისუფლების აღკვეთისა და ინსტიტუციური ზრუნვის ალტერნატივები მონაწილე სახელმწიფოებმა არსებული გამოცდილებაზე დაყრდნობით, საკუთარი ქვეყნების კულტურასა და ტრადიციებზე დაყრდნობით უნდა შეიმუშაონ და დანერგონ.

საქართველოში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-60 მუხლის მიხედვით, ალტერნატიულ აღკვეთის ღონისძიების სახეებს წარმოადგენენ: მეთვალყურეობაში გადაცემა, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ და პირადი თავდებობა.

#### 4.1. მეთვალყურეობაში გადაცემა

მეთვალყურეობაში გადაცემა წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების სპეციალურ სახეს, რომლის გამოყენების სფეროც შეზღუდულია სუბიექტების მიხედვით, კერძოდ, არასრულწლოვანთა წრით. ის გულისხმობს მშობლის, სხვა ახლო ნათესავის, მეურვის, მზრუნველის ან სპეციალური საბავშვო დაწესებულების ადმინისტრაციის მეთვალყურეობაში არასრულწლოვან ბრალდებულთა გადაცემას, იმ მიზნით, რომ მათ უზრუნველყონ მათი გამოცხადება გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში და ასევე, მათი სათანადო ქცევა.

მეთვალყურეობაში გადაცემა შეიძლება მხოლოდ არასრულწლოვნისა და იმ პირის თანხმობით, რომელსაც ის მეთვალყურეობაში გადაეცემა. ამ პირს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს უარი თქვას არასრულწლოვნის

მეთვალყურეობაზე, თუ მიიჩნევს, რომ ვერ უზრუნველყოფს მის სათანადო ქცევას.

პირს, რომელიც არასრულწლოვანს მეთვალყურეობს, ხელწერილის ჩამორთმევისას უნდა გააცნონ არასრულწლოვნისათვის წაყენებული ბრალდებისთვის მოსალოდნელი სასჯელის სახე, ზომა და პასუხისმგებლობა, რომელიც მას დაეკისრება, თუ არასრულწლოვანი, რომელსაც ის მეთვალყურეობს, არ შეასრულებს სათანადო ქცევის ვალდებულებას. არასრულწლოვნის მეთვალყურეობის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, სასამართლოს უფლება აქვს მხარის შუამდგომლობით. პირი, რომელიც არასრულწლოვანს მეთვალყურეობდა, დააჯარიმოს 100-დან 500 ლარამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვალდებულების შეუსრულებლობას ობიექტური მიზეზი ჰქონდა.

კვლევის ფარგლებში განხილული საქმეებიდან იკვეთება, რომ 2017-2018 წლებში დაფიქსირდა არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემის 59 შემთხვევა, რაც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საერთო მაჩვენებლის 20%-ზე მეტს წარმოადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ 2013-2014 წლებში მოცემული მაჩვენებელი დაახლოებით 0.4% იყო, აღნიშნული სტატისტიკა ამ სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საგრძნობ ზრდაზე მეტყველებს.

რაც შეეხება აღკვეთის ღონისძიების სახით მეთვალყურეობაში გადაცემის გამოყენებას, ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბათუმის საქალაქო სასამართლოს შემდეგი განჩინება,<sup>123</sup> სადაც დეტალურადაა შეფასებული პირის ინდივიდუალური მახასიათებლები და გამოკვეთილია ბავშვის საუკეთესო ინტერესები:

*„კონკრეტული სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის ასაკს (არის 14 წლის არასრულწლოვანი), განვითარების დონეს და განათლებას (არის მე-8 კლასის მოსწავლე), ცხოვრების, აღზრდის და განვითარების პირობებს (არასრულწლოვანის განცხადებით ხშირად აცდენს სკოლას), ოჯახის ეკონომიკურ მდგომარეობას (არასრულწლოვანის ოჯახს სოციალურად უჭირს), ასევე იმ გარემოებას, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები და თვლის, რომ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით უნდა შეეფარდოს მეთვალყურეობაში გადაცემა.“*

<sup>123</sup> ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინება, №10/დ735/17.

მოცემულ საკითხთან მიმართებით ასევე, რელევანტურია რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინება,<sup>124</sup> სადაც სასამართლომ აღკვეთის ღონისძიებად მეთვალყურეობაში გადაცემა გამოიყენა. მოცემულ საქმეში ბრალდებულს ბრალი ედებოდა ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევაში, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. ბრალდების მხარემ შუამდგომლობაში მიუთითა, რომ ბრალდებულს აქვს კავშირი საზღვარგარეთ, სადაც ჰყავს ნათესავები და იქ ხშირად მიემგზავრება, გამომდინარე აქედან, არის ბრალდებულის მიმალვის და სასამართლოს წინაშე არგამოცხადების რეალური საფრთხე. წინამდებარე საქმის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ის ფაქტი მიუთითებს, რომ სამართლებრივი შეფასების ნაწილში სათანადო მსჯელობაა წარმოდგენილი პოტენციურად როგორც მიმალვის, ასევე ახალი დანაშაულის ჩადენის აბსტრაქტულ ხასიათთან მიმართებით და აღნიშნულის გასამყარებლად მოტანილია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს რელევანტური პრაქტიკა.

სასამართლოს შეფასების მიხედვით,

*„შეუძლებელია აღნიშნული საფრთხის აბსტრაქტულად არსებობა, თუკი მის რეალურობას კონკრეტული გარემოებები არ განაპირობებს. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ბრალდებულის მიმალვის საფრთხის შეფასებისას მხედველობაში იქნას მიღებული როგორც პიროვნების ხასიათის თავისებურებები, ისე საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი გარემოება და მოსალოდნელი სასჯელის ხასიათი. ბრალდებულის მიმართ მიმალვის საფრთხესთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ გასათვალისწინებელია ბრალად წარდგენილი ქმედებების ხასიათი, დანაშაულის კატეგორია და გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის შემთხვევაში, მოსალოდნელი სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით. თუმცა, მხოლოდ მოსალოდნელი სასჯელის შიში არ არის საკმარისი და აუცილებელია მიეთითოს რეალური – გამოძიებისათვის თავის არიდების საფრთხის დამადასტურებელი ინფორმაცია.*

საქმეში Boicenco v. Moldova (11/07/2006, §143),<sup>32</sup> ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული საფუძველი არ შეიძლება იყოს „ზოგადი და აბსტრაქტული.“ ბრალდების სიმძიმე და მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის ან შეთქმულების ჰიპოთეტური საშიშროება ასევე, არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებს.“

<sup>124</sup> რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინება №10ვ-01-18 .

აღკვეთის ღონისძიების მოცემულ სახესთან მიმართებით ასევე, საყურადღებოა ახალციხის რაიონული სასამართლოს განჩინება<sup>125</sup> აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ.

აღკვეთის ღონისძიებად აღნიშნული ფორმის გამოყენებას სასამართლო ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორების გამოყენებით ამყარებს, როგორცაა პირის ინდივიდუალური მახასიათებლები, მშობლისა და შვილის ურთიერთობა და სხვა არსებითი გარემოებები. სამართლებრივი შეფასების ნაწილში, სასამართლოს მიერ მოტანილია რელევანტური კანონმდებლობა და კონსტრუქციულადაა განვითარებული მსჯელობა იმის თაობაზე, რატომ იქნება სავსებით მართებული აღკვეთის ღონისძიების მიზნების მისაღწევად მშობლის მეთვალყურეობაში გადაცემა და არა გირაო, როგორც ეს პროკურორის შეამდგომლობის შესაბამისად იყო მოთხოვნილი:

*„ბრალდებულის პიროვნებისა და მშობელთან მისი დამოკიდებულების გათვალისწინებით, აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევისთვის ბრალდებულის მიმართ მშობლის მეთვალყურეობაში გადაცემის გამოყენება საფუძვლიანად მიაჩნია. ამ შემთხვევაში, ეს ღონისძიება პროპორციულია. ამასთან, აუცილებელია და არსებობს ორივე მხარის თანხმობა. მშობელი აცხადებს თანხმობას და კისრულობს ვალდებულებას, რომ მისი მეთვალყურეობის პირობებში, მასთან არასრულწლოვანი ბრალდებულის ურთიერთობის, მის მიმართ დამოკიდებულებისა და მშობლის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის გათვალისწინებით, საფრთხე სრულად იქნება განეიტრალებული. ამ შემთხვევაში, მეთვალყურეობაში გადაცემა იქნება შემაკავებელი, ქმედითი და ეფექტური ღონისძიება.“*

## 4.2. შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ

რაც შეეხება შეთანხმებას გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, ის აღკვეთის ღონისძიებას წარმოადგენს, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 62-ე მუხლის შესაბამისად, მხოლოდ ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში გამოიყენება. შეთანხმება შეიძლება ითვალისწინებდეს მაგალითად, ბრალდებულის ვალდებულებას, დანიშნულ დროს ან გამოძახებისთანავე გამოცხადდეს სასამართლოში, არ დატოვოს სათანადო ნებართვის გარეშე გარკვეული ადგილი და ა. შ.

<sup>125</sup> ახალციხის რაიონული სასამართლოს განჩინება, №10გ-01-17

აღსანიშნავია, რომ მკაცრი კრიმინალური პოლიტიკის არსებობის პირობებში, სისხლის სამართლის კერძო ნაწილში ცოტაა ისეთი მუხლები, რომელთა დარღვევისთვისაც კანონმდებელი ითვალისწინებს ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას. გარდა ამისა, ნაკლებად მძიმე დანაშაულებთან მიმართებით იყენებენ სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ მექანიზმს, კერძოდ, განრიდებასა და მედიაციას. შესაბამისად, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება აღკვეთის ღონისძიების მოცემული სახის გამოყენების ეფექტიანობის საკითხი. ამის ნათელი დადასტურებაა ის სტატისტიკური მონაცემები, რომელიც მოცემული კვლევიდან გამოიკვეთა. გამოთხოვილ საქმეთა სტატისტიკაზე დაყრდნობით, აღკვეთის ღონისძიების აღნიშნული სახე მათი სრული ოდენობის მხოლოდ 0.5% საქმეებში იქნა გამოყენებული. ასევე, ამ კუთხით გამოვლინდა საინტერესო ტენდენცია, რომლის შესაბამისადაც, აღკვეთის ღონისძიების მოცემული ფორმა პროპორციული თვალსაზრისით, დიდი ქალაქების სასამართლოებთან შედარებით, რაიონულ და მაგისტრატ სასამართლოებში ბევრად უფრო მაღალი სიხშირითაა გამოყენებული – მაგალითად, თუ ქუთაისსა და თბილისში ჯამში, 114 შემთხვევიდან აღკვეთის აღნიშნული ღონისძიება გამოიყენეს 2 პირთან მიმართებით, ისეთ სასამართლოებში, როგორცაა გორი, გურჯაანი და ზესტაფონი – შეთანხმებას გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ ადგილი აქვს საქმეთა დაახლოებით, 15% შემთხვევებში, ბოლნისისა და საჩხერის სასამართლოებში კი, 4 აღკვეთის ღონისძიებიდან 3-ს სწორედ აღნიშნული წარმოადგენს.

აღკვეთის ღონისძიების სახით ბრალდებულისთვის სათანადო ქცევისა და გაუსვლელობის განსაზღვრა კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლებით გათვალისწინებული სტანდარტებით, ილუსტრირებულია ბოლნისის რაიონული სასამართლოს განჩინებაში.<sup>126</sup>

სასამართლო არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას, მხედველობაში იღებს ისეთ ინდივიდუალურ მახასიათებლებს, როგორიცაა: „ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.“

სასამართლო ყველაზე რელევანტური აღკვეთის ღონისძიების არჩევისას, ყურადღებას ამახვილებს საქმის არსებით, კონკრეტულ გარემოებებზე. სასამართლოს განმარტებით,

<sup>126</sup> ბოლნისის რაიონული სასამართლოს განჩინება № 10/დ-31.



„შუამდგომლობაში აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ მითითებულია ბრალდებულის მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე, თუმცა აღნიშნულს სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან გამოძიების დაწყებიდან დღემდე, ბრალდებული ცხადდებოდა საგამოძიებო ორგანოში, მან ასევე, ნებაყოფლობით მიიღო საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილეობა.

რაც შეეხება ბრალდებულის მხრიდან მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხეს, სასამართლოს მიაჩნია, რომ საფრთხე რეალურია, რადგან ისინი არიან კ. ს.-ის ახლობლები და ნათესავები. თუმცა, აღნიშნული საფრთხე ბრალდებულ კ. ს.-ის მხრიდან გამოძიებასთან თანამშრომლობის პირობებში არ არის იმ ხარისხის, რაც საფუძვლად დაედებოდა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენებას.

კ. ს. არის არასრულწლოვანი, არ მუშაობს, რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებს შემწევობას. მას არ გააჩნია უძრავი ქონება, მეუღლესთან და ერთი წლის შვილთან ერთად ცხოვრობს ნაქირავებ ბინაში. მისი მეუღლე მუშაობს თუმცა, დროებით სამუშაოებზე და აქვს დაბალი ხელფასი. შესაბამისად, ამ პირობებში ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება გაუთანაბრდება პატიმრობის გამოყენებას, რადგან ცალსახაა, რომ ბრალდებული გირაოს თანხის გადახდას ვერ უზრუნველყოფს.

სასამართლოს შეფასებით, მოცემულ საქმეზე ბრალდებულ კ. ს. მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ გამოყენება ჩადენილი ქმედების ხასიათის, დანაშაულის სიმძიმის, მისი ქონებრივი შესაძლებლობებისა და სხვა ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, არის ბრალდებულის ნორმალური ქცევის გარანტი და მისი შემდგომი საქციელის სწორად განსაზღვრისათვის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლით განსაზღვრული მიზნებისა და საფუძვლების ადეკვატური.“

აღკვეთის ღონისძიებად სათანადო ქცევისა და გაუსვლელობის შესახებ შეთანხმების გამოყენების კუთხით, აგრეთვე, სათანადო მსჯელობაა წარმოდგენილი ბოლნისის რაიონული სასამართლოს კიდევ ერთ განჩინებაში.<sup>127</sup> კერძოდ, სათანადოდ მსჯელობს ბრალდებულის მიერ დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების შესახებ და სწორედ ამაზე დაყრდნობით ირჩევს აღკვეთის ღონისძიებებიდან ყველაზე უფრო რელევანტურს:

<sup>127</sup> ბოლნისის რაიონული სასამართლოს განჩინება №10/ე-5-17

*„აღსანიშნავია, რომ მოცემულ შემთხვევაში, მომეტებულად არ იკვეთება არც ერთი საფრთხე, მაგრამ ამასთან გასათვალისწინებელია, რომ მართალია, ბრალდებული აღიარებს და ინანიებს ბრალად წარდგენილ ქმედებას, მაგრამ სასამართლო ყურადღებას ამხვილებს იმ გარემოებაზე, რომ დაზარალებულთან კონფლიქტი არ არის ამოწურული, რაც ქმნის დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს ბრალდებულის მხრიდან დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების შესახებ იმ სტანდარტით, რომ მის მიმართ გამოყენებული იქნას აღკვეთის ღონისძიება.“*

ის მხედველობაში იღებს ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს: *„სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ბრალდებულს ბრალად ედება ისეთი დანაშაულის ჩადენა, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ან თავისუფლების აღკვეთას ვადით, ორ წლამდე.“*

ასევე, საქმესთან მიმართებით, ბრალდებულის ისეთ ინდივიდუალურ მახასიათებლებს, რომელთაც აღკვეთის ღონისძიების არჩევის თვალსაზრისით შესაძლოა არსებითი მნიშვნელობა იქონიონ – *„ბრალდებულს აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, არ არის ნასამართლელი, თავს სრულად ცნობს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში.“*

შეჯამების სახით, უნდა ითქვას, რომ საქალაქო სასამართლოების მიერ აღკვეთის ღონისძიების მოცემული სახის გამოყენების თვალშისაცემი სიმწირე გარკვეულწილად, მისი ეფექტიანობის დაბალ ხარისხზე მიუთითებს, რაც დადებით ფაქტად ვერ შეფასდება. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების კუთხით კი, მნიშვნელოვანია, არამარტო არსებობდეს ისეთი აღკვეთის შედარებით მსუბუქი ღონისძიებები როგორცაა მაგალითად, შეთანხმება სათანადო ქცევისა და გაუსვლელობის შესახებ, არამედ ფუნდამენტურია, რომ აღნიშნული ღონისძიებები გამოირჩეოდნენ სათანადო პრევენციული ხასიათით, რომ მათი გამოყენება არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისით ეფექტურ საშუალებად მიიჩნეოდეს. შესაბამისად, რეკომენდებულია მოცემული პრევენციული ზომის ჩამოყალიბება საკანონმდებლო დონეზე იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იქნას მისი ეფექტიანობის ხარისხის ამაღლება და ეროვნულ პრაქტიკაში დამკვიდრება.

### 4.3. პირადი თავდებობა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-60 მუხლი აღკვეთის ღონისძიების სახეებთან ერთად მოიხსენიებს პირად თავდებობას. თუმცა, კანონმდებელი აღარ აკეთებს განმარტებას, თუ რას გულისხმობს აღკვეთის ღონისძიების ეს კონკრეტული სახე. პირადი თავდებობის ინსტიტუტს იცნობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის 203-ე მუხლის თანახმად, პირადი თავდებობისას, სანდო პირები კისრულობენ წერილობით ვალდებულებას, რომ ისინი უზრუნველყოფენ ბრალდებულის სათანადო ქცევას და გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში გამოცხადებას.

პირადი თავდებობის არჩევა დასაშვებია მხოლოდ თავდების შუამავლობით ან თანხმობით, აგრეთვე ბრალდებულის თანხმობით. თუ თავდებმა ვერ უზრუნველყო ბრალდებულის სათანადო ქცევა, სასამართლო შეუფარდებს მას ჯარიმას 100-500 ლარამდე ოდენობით. აღკვეთის ღონისძიების პირადი თავდებობის ეს კონკრეტული სახე ახლოს არის მოზარდის მეთვალყურეობაში გადაცემის ინსტიტუტთან. განსხვავება არის ის, რომ თუ მოზარდის მეთვალყურეობაში გადაცემა შეიძლება მშობლის, სხვა ახლო ნათესავის, მეურვის, მზრუნველის ან სპეციალური საბავშვო დაწესებულების ადმინისტრაციისათვის, პირადი თავდებობის შემთხვევაში მოზარდის ქცევაზე პასუხისმგებელია სანდო [ნებისმიერი] პირი.

პირადი თავდებობა აღკვეთის ღონისძიების ყველაზე ნაკლებად გამოყენებულ სახეს წარმოადგენს – 2017-2018 წლებში არასრულწლოვან ბრალდებულებთან დაკავშირებული 275 შემთხვევიდან, პირადი თავდებობა მხოლოდ 2 პირის მიმართ იქნა გამოყენებული.

აღკვეთის მოცემული ღონისძიების სათანადო დასაბუთების თვალსაჩინო მაგალითია თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება,<sup>128</sup> სადაც საქმე ეხებოდა სპეციფიკური მახასიათებლების მქონე არასრულწლოვან ბრალდებულს.

დაცვის მხარის განცხადებით, არასრულწლოვანი ბრალდებულის დანაშაულებრივი ქმედება მისმა ოჯახურმა მდგომარეობამ გამოიწვია. ოჯახი აფხაზეთიდან დევნილია, საცხოვრებელი არ გააჩნია, მამა უკანონო პატიმრობაში იმყოფება აფხაზეთში, რადგან იბრძოდა აფხაზეთის ომში, ბავშვის განათლებაზე უნდა იზრუნოს სახელმწიფომ, რომელიც არ აკონტროლებს მისი განათლების დონეს და დღეის მდგომარეობით, ბავშვი წერა-კითხვის უცოდინარია. ამავდროულად, ბრალდების მხარეს არ აქვს მტკიცებულებები

---

<sup>128</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება №10ა/4601.

ბრალდებულის მცირეწლოვნობის დროს ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით.

სასამართლო თვლის, რომ „ბრალდებულის პიროვნების გათვალისწინებით, კერძოდ, იგი არის არასრულწლოვანი, ცხოვრობს დედასთან და 7 დედამამიშვილთან ერთად, დაკავებისას არ გაუწევია წინააღმდეგობა, აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე, სასამართლო მიიჩნევს ბრალდებულ ლ. ლ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული უნდა იქნას პირადი თავდებობა, რაც მოცემულ შემთხვევაში სრულად უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევას. პირადი თავდები – აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი თეიმურაზ მყავია, სასამართლოს მიაჩნია თავდებობისათვის სანდო პირად, იგი წლებია იცნობს ბრალდებულის ოჯახს, ეხმარება სხვადასხვა პრობლემების გადაწყვეტაში, იცის ლ. ლ.-ს განვითარებისა და განათლების შესახებ არსებული მდგომარეობა, პირობას დებს გააკონტროლოს მისი ყოველდღიური ქცევა, არ გამორიცხავს, რომ არასრულწლოვანი აცხოვროს საკუთარ სახლშიც.“

მოცემული განჩინება აგრეთვე, გამოირჩევა მოცემულ საკითხთან მიმართებით რელევანტურია ევროპული და საერთაშორისო კონვენციათა სათანადო მითითებითა და შესაბამისი კონსტრუქციული მსჯელობით:

სასამართლო უთითებს, რომ არსებობს აღკვეთი ღონისძიების გამოყენების საფუძველები, თუმცა „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული ზომა ჩადენილი ქმედების თანაზომიერი უნდა იყოს და მის პიროვნებას, ასაკს, საგანმანათლებლო, სოციალურ და სხვა საჭიროებებს უნდა შეესაბამებოდეს.“

„აღნიშნავს, რომ მიზნის მიღწევის ყველაზე უფრო მსუბუქი საშუალების გამოყენების ვალდებულება გათვალისწინებულია არამხოლოდ საქართველოს კანონით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით, არამედ არაერთი, ისეთი სახის საერთაშორისო ხელშეკრულებით, როგორცაა ბავშვთა უფლებათა კონვენცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ (პეკინის წესები) და ა. შ. აღსანიშნავია, რომ ყოველი ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტი ბავშვთან მიმართებაში, პატიმრობის გამოყენების საკითხს საგამონაკლისო და უკიდურეს ხასიათს ანიჭებს. ამდენად, თავისუფლების უფლების შეზღუდვის გამოყენება ბავშვთან მიმართებაში, ყოველი ფაქტობრივი გარემოების ზედმიწევნით ზუსტ/ამომწურავ განხილვასა და მის დასაბუთებას მოითხოვს.“

## 5. კვლევის შედეგად გამოვლენილი ტენდენციები

აღსანიშნავია, რომ ზემოთ განხილული საკვანძო მნიშვნელობის მქონე საკითხების გარდა, არასრულწლოვანთა წინააღმდეგ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინებათა კვლევის ფარგლებში გამოვლინდა რამდენიმე შესამჩნევი ტენდენცია, რომელიც სათანადო ყურადღებას იმსახურებს:

მოცემული ტენდენციებიდან აღსანიშნავია განჩინებათა საკმაოდ მოცულობითი ნაწილის კოლექტიური ბუნება, რომელიც განსაკუთრებით პრობლემური შეიძლება აღმოჩნდეს განსასჯელ ბრალდებულთა ინდივიდუალიზაციის დაბალი ხარისხის პირობებში.

ასევე, საგულისხმოა განჩინებათა სტერეოტიპული დასაბუთების პრობლემატიკა, რომელიც გამორჩეულად, ტერიტორიული ნიშნით – კერძოდ, ერთი სასამართლოს განჩინებებში იკვეთება.

კიდევ ერთ საყურადღებო საკითხს წარმოადგენს აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი სახის კერძოდ, სათანადო ქცევასა და გაუსვლელობის შესახებ შეთანხმების გამოყენების განსაკუთრებით მწირი პრაქტიკა, რაც სხვადასხვა გარემოებებთან ერთად, პოტენციურად, ასევე ტერიტორიული ფაქტორითაც შეიძლება იყოს განპირობებული.

### 5.1. განჩინებათა კოლექტიური ბუნების პრობლემატიკა

კოლექტიური ტიპის განჩინებებთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ისინი სასამართლოს მხრიდან განსაკუთრებული გულმოდგინებით უნდა იქნას ჩამოყალიბებული, ვინაიდან თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული განჩინებები ხასიათდებოდნენ ბრალდებულთა ინდივიდუალიზაციის მაღალი ხარისხით, რათა სახეზე გვექონდეს დასაბუთებული გადაწყვეტილება. მოცემული გარემოება კი, როგორც ეს საზგასმით არაერთხელ აღინიშნა კვლევის ფარგლებში, წარმოადგენს არასრულწლოვნის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებულ – სამართლიანი სასამართლოს უფლებით უზრუნველყოფის მთავარ გარანტს. კოლექტიურ ბრძანებებთან დაკავშირებით, ევროპული სასამართლოს პოზიცია ცალსახად უარყოფითია. გადაწყვეტილებაში საქმეზე *პოპოვი და ვორობიევი რუსეთის წინააღმდეგ*,<sup>129</sup> დაადგინა, რომ ე. წ. კოლექტიური ბრძანებების პრაქტიკა, რომელიც გულისხმობს პატიმრობის შესახებ კოლექტიური ბრძანებების გაცემას თითოეული პატიმრის

<sup>129</sup> პოპოვი და ვორობიევი რუსეთის წინააღმდეგ (Popov and Vorobyev v. Russia), №1606/02, §83, 23 აპრილი, 2009.

ინდივიდუალური გარემოებების განხილვის გარეშე, წინააღმდეგობაში მოდის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტთან.

რაც შეეხება კვლევის ფარგლებში განხილულ განჩინებებს, მართალია, უმეტეს მათგანში თითოეული ბრალდებულის პიროვნულ მახასიათებლებსა და ქმედების შემადგენლობასთან მიმართებით შესაბამისი მსჯელობა განცალკევებითაა განვითარებული, თუმცა, მაინც ვხვდებით განჩინებებს, სადაც არგუმენტირებული განჩინების ეს წინაპირობა შესაბამისი ხარისხით დაცული არ არის, მაგალითად, ერთ-ერთ განჩინების<sup>130</sup> ტექსტში ვკითხულობთ:

*„სასამართლო მიიჩნევს, რომ ბრალდებულების მხრიდან დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით არსებობს შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებისა და მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელის შეშლის რისკები. აღნიშნულის დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს კი ის გარემოება ქმნის, რომ ბრალად შერაცხული ქმედება არის საზოგადოებრივად საშიში ძალადობრივი ხასიათის და იგი განხორციელებულია ქონებრივი მატერიალური სარგებლის მისაღებად.“*

საგულისხმოა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება ბრალდებულ არასრულწლოვანთა დანაშაულის უშუალო შემადგენლობისა თუ მათი ინდივიდუალური მახასიათებლების სათანადო ანალიზი, რაც განჩინების ხარისხზე მთლიანობაში, ლეგიტიმურ კითხვებს ბადებს. ამ კუთხით, ცალსახად სანიმუშოა თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება,<sup>131</sup> სადაც მოსამართლე სამი არასრულწლოვანი ბრალდებულის მიერ განხორციელებული ქმედებების ილუსტრირებით მსჯელობს მიმალვისა და ახალი დანაშაულის საფრთხეზე და შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების ყველაზე ოპტიმალური სახის გამოყენებაზე. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, აღნიშნულს თითოეულთან განცალკევებით, ინდივიდუალურ და ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებით ახორციელებს. სასამართლო ერთ-ერთი ბრალდებულის შესახებ საკუთარ მოსაზრებას შემდეგნაირად ავითარებს:

*„სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობს ბრალდებულის მხრიდან დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების ან/და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე, რის დასაბუთებულ ვარაუდსაც ქმნის ის გარემოება, რომ კ. კ. ნასამართლევის საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ძალადობრივი ხასიათის დანაშაულების ჩადენისათვის, დღეის მდგომარეობით იმყოფებოდა პირობითი მსჯავრის ქვეშ და მიუხედავად აღნიშნულისა, იგი კვლავ იმხილება ასევე, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესაძლო ჩადენაში და*

<sup>130</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება №10ა/4272

<sup>131</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინება №10/602.

*პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობის გაწევაში. ამასთან, არსებობს მისი მხრიდან მიმალვისა და მტკიცებულებათა მოპოვების ხელის შეშლის საფრთხე, რადგან დანაშაულის ჩადენის შემდგომ, იგი თანმხლებ პირებთან ერთად გაიქცა.“*

დანარჩენი ორი ბრალდებულის თაობაზე კი, სასამართლოს შეფასებით:

*„ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დანაშაულის ჩადენის შემდეგ, ბრალდებული ო. კ. თანმხლებ პირებთან ერთად გაიქცა, ხოლო პოლიციის თანამშრომლების მიერ განხორციელებული დევნისას შეეცადა მათგან თავის დაღწევას, კერძოდ, ფიზიკური ძალის გამოყენებით წინააღმდეგობა გაუწია მათ, იქნებდა დანას და ცდილობდა თანამშრომლებისთვის დაზიანების მიყენებას. ყოველივე ზემოაღნიშნული იმაზე მეტყველებს, რომ იგი მოსალოდნელი სასჯელის შიშით შესაძლოა მიემალოს სასამართლოს. რაც შეეხება ბრალდებულ კ. ზ.-ს, დანაშაულის ჩადენის შემდეგ დატოვა შემთხვევის ადგილი, რის შემდეგაც პოლიციის თანამშრომლების მიერ იქნა დაკავებული. აღნიშნული გარემოებები ერთობლიობაში ადასტურებენ ვარაუდს, რომ ბრალდებულები შესაძლოა მიიმალონ.“*

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ არასრულწლოვნების მიმართ კოლექტიური განჩინებების საკმაოდ დიდი რაოდენობის გათვალისწინებით, მათი მკაფიო ინდივიდუალიზაციის აუცილებლობა ერთმნიშვნელოვნად იკვეთება, რაც ეროვნულ პრაქტიკაში ამ მიმართულებით გულმოდგინედ და ეფექტიანად მუშაობის საჭიროებაზე მიუთითებს.

## **5.2. ტერიტორიული ტენდენციები**

ტერიტორიული ნიშნით გამოხატულ ტენდენციებს შორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია აღკვეთის ღონისძიების შესახებ განჩინებების სამოტივაციო ნაწილის შაბლონური ხასიათი, რაც ძირითადად, ერთი სასამართლოს განჩინებებში იკვეთება. მოცემული ტენდენციის ილუსტრირებისთვის რელევანტურია ახალციხის რაიონული სასამართლოს ორი სხვადასხვა განჩინების<sup>132</sup> დასაბუთება, რომელიც საქმეებში არსებული სხვადასხვა ფაქტობრივი გარემოებებისა და ინდივიდების მიუხედავად, ერთი სტერეოტიპული ტექსტის ქვეშაა მოქცეული:

*„სასამართლოს მიაჩნია, რომ პროკურორის მიერ დასაბუთებულია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა, რადგან იმისათვის, რომ ბრალდებულმა არ გაანადგუროს საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია და უზრუნველყოფილი იყოს განაჩენის აღსრულება, მისთვის უნდა შეირჩეს*

<sup>132</sup> ახალციხის რაიონული სასამართლოს განჩინებები №10/d-166-18წ. და №10/d-224-18წ.

აღკვეთის ღონისძიება. საქართველოს სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევის დროს მხედველობაში უნდა მიიღოს ბრალდებულის პიროვნება, მისი საქმიანობა, ასაკი, ჯანმრთელობა და ოჯახურ-ქონებრივი მდგომარეობა და ამ გარემოებების გათვალისწინებით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევასთან დაკავშირებით. აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის შერჩევის საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლო მხედველობაში იღებს ბრალდებულის პიროვნებას, დანაშაულის სიმძიმესა და ხასიათს – ლ. ს.-ს/ზ. ბ.-სა და გ. ბ.-ს<sup>133</sup> ბრალი ედება მძიმე კატეგორიის დანაშაულის შესაძლო ჩადენაში. სასამართლოს მიაჩნია, რომ პროკურორის მიერ დასაბუთებულია სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონელობა, იმ მოტივით, რომ უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების შერჩევის შემთხვევაში, ბრალდებულმა შესაძლოა თავი აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას და ვერ იქნეს უზრუნველყოფილი განაჩენის აღსრულება. ამდენად, სასამართლოს მიაჩნია, რომ ბრალდებულის მიმართ სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ამ ეტაპზე მიზანშეუწონელი არ არის.“

საგულისხმოა, რომ ამგვარი შაბლონური დასაბუთება ვერ აკმაყოფილებს ინდივიდუალიზაციის ტესტს და იმის გათვალისწინებით, რომ არასრულწლოვნების სახით, საქმე ეხება საზოგადოების ყველაზე მოწყვლად ჯგუფს, რომელიც უფლებათა დაცვის მაღალ სტანდარტს საჭიროებს, განჩინების სამოტივაციო ნაწილის ამგვარი ფორმულირება ლეგიტიმურ კითხვებს ბადებს სამართლიანი სასამართლოს უფლების უმთავრესი ასპექტის – გადაწყვეტილების დასაბუთებულობის ხარისხთან მიმართებით.

აქვე, აღსანიშნავია, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების გასამყარებლად, არამართო რაიმე კონკრეტული ტერიტორიული ნიშნით, არამედ მთლიანად პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ ხშირადაა შაბლონურად გამოყენებული შემდეგი ჩანაწერი:

*„ვინაიდან ბრალდებულის მიერ ჩადენილია განზრახი კატეგორიის დანაშაული, მოსალოდნელი პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით, არსებობს ვარაუდი, რომ ბრალდებული მიიმალება და არ გამოცხადდება სასამართლოში.“*

აღნიშნული კი, ცალსახად ვერ შეფასდება დადებით პრაქტიკად ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებულ უფლებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით.

---

<sup>133</sup> აღსანიშნავია, რომ ორივე განჩინების მოცემულ ამონარიდში ერთდერთ გასწვავებას ბრალდებული არასრულწლოვნების სახელები წარმოადგენს.



კვლევის ფარგლებში, კიდევ ერთ საყურადღებო საკითხს წარმოადგენს არასრულწლოვნებთან მიმართ აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი სახის – სათანადო ქცევისა და გაუსვლელობის შესახებ შეთანხმების გამოყენების განსაკუთრებით მწირი პრაქტიკა. როგორც ზემოთ აღინიშნა, აღნიშნული ღონისძიება განხიზვება მხოლოდ 0.5% საქმეებში იქნა გამოყენებული.

სტატისტიკაზე დაყრდნობით გამოვლენილი საინტერესო ტენდენციის შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების მოცემული ფორმა პროპორციული თვალსაზრისით, დიდი ქალაქების სასამართლოებთან შედარებით, რაიონულ და მაგისტრატ სასამართლოებში ბევრად უფრო მაღალი სიხშირით იყო გამოყენებული. მაგალითად, თუ ქუთაისსა და თბილისში, საბოლოოდ, 143 შემთხვევიდან აღკვეთის აღნიშნული ღონისძიება გამოიყენეს 2 პირთან მიმართებით, ისეთ სასამართლოებში, როგორცაა გორი, გურჯაანი და ზესტაფონი – შეთანხმებას გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ მთლიანობაში, ადგილი აქვს საქმეთა დაახლოებით, 15% შემთხვევებში.

აღნიშნული ტენდენციის გამომწვევ მიზეზებზე გადაჭრით მსჯელობა რთულია, თუმცა, ერთი მხრივ შესაძლოა დიდი, საქალაქო სასამართლოების მხრიდან აღკვეთის ამ ღონისძიების გამოყენების განსაკუთრებით მწირი პრაქტიკა იმით იყოს განპირობებული, რომ მისი მსუბუქი მბოჭავი ბუნების გათვალისწინებით, დიდ ქალაქებში, სადაც მიმალვის ბევრად უფრო დიდი შესაძლებლობაა არასრულწლოვნისთვის, ეს პრევენციული ზომა ეფექტურ მექანიზმად არ აღიქმება. მოცემული პრობლემა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, ვინაიდან შეთანხმება სათანადო ქცევისა და გაუსვლელობის შესახებ აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთ ყველაზე მსუბუქ სახეს წარმოადგენს და არასრულწლოვანთა ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია აღკვეთის შედარებით მსუბუქი ღონისძიებები ისეთი პრევენციული ხასიათით გამოირჩეოდნენ, რომ მათი გამოყენება არა უბრალო ფორმალობად, არამედ პრაქტიკული კუთხით, ეფექტიან საშუალებად მიიჩნეოდეს. შესაბამისად, საჭიროა, საკანონმდებლო დონეზე მოცემული ღონისძიება ისე ჩამოყალიბდეს ან ისეთი სხვა ალტერნატიული მექანიზმით ჩანაცვლდეს, რომელიც ეფექტიანობის ანალოგიური ხარისხით იქნება გამოყენებული ეროვნულ პრაქტიკაში, მთელი ქვეყნის მასშტაბით, როგორც ეს ხორციელდება სხვადასხვა სასამართლოების მაგალითად, ბოლნისისა და საჩხერის რაიონული სასამართლოების მიერ.

## 6. ეროვნული სასამართლოების მიერ საერთაშორისო სტანდარტების მითითებისა და გამოყენების პრაქტიკა


საქართველოს მასშტაბით, საკვლევი მასალის ფარგლებში, შესწავლილი იქნა 27 სასამართლოს 224 განჩინება არასრულწლოვნების მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ, რის შედეგადაც შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოები დასაბუთების ნაწილში საკმაოდ ხშირად მიმართავენ საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებას. ხსენებული სტანდარტებიდან აღსანიშნავია რამდენიმე მათგანი, რომლებიც რელევანტურ სამართლებრივ დოკუმენტებს წარმოადგენენ არასრულწლოვანთა უფლებებისა და საუკეთესო ინტერესების დაცვის თვალსაზრისით. ესენია:

- გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ – ე.წ. „პეკინის წესები“;
- გაეროს წესები თავისუფლებადაღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად – ე.წ. „ჰავანის წესები“;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა;
- გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია;
- გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10 მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ.

აღნიშნულ საერთაშორისო სტანდარტებთან ერთად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ფუნდამენტური მნიშვნელობისაა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რელევანტური პრეცედენტული სამართალი და აგრეთვე, ევროსაბჭოს მინისტრთა რეკომენდაცია № R(80)11 წინასასამართლო ეტაპზე თავისუფლების აღკვეთის შესახებ, რომლებიც საკმაოდ ინტენსიურადაა გამოყენებული საქართველოს სასამართლოების მიერ.


სასამართლოების მიერ საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების თვალსაზრისით, კვლევის ფარგლებში განხილული განჩინებების ანალიზის შედეგად გამოვლინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება. არასრულწლოვნების მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინებებში მოსამართლეები ყველაზე ხშირად იყენებენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული მნიშვნელობის გადაწყვეტილებებს, როგორცაა მაგალითად, სტოგმიულერი ავსტრიის წინააღმდეგ, ილიჯკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ და სხვ. რაც შეეხება უშუალოდ არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებს, ყველაზე ხშირად გამოყენებულ სტანდარტებს წარმოადგენს

ბავშვის უფლებებათა კონვენცია და ე. წ. „პეკინის წესები,“ რომლებიც შესაბამისად, 61 და 58 საქმეში იქნა გამოყენებული. მათთან ერთად ასევე, საგულისხმოა გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10 მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ, რომელიც მითითებული იყო 31 განჩინებაში. საერთო სასამართლოები შედარებით იშვიათად იყენებენ ისეთ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებს, როგორცაა ევროსაბჭოს მინისტრთა რეკომენდაცია № R(80) 11 და ე. წ. „ჰავანის წესები,“ თუმცა აღსანიშნავია, რომ მათზე მითითებას მაინც ვხვდებით 14 განჩინებაში.



როგორც ზემოთ აღინიშნა, კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა 27 სასამართლოს (დასავლეთი – 16, აღმოსავლეთი – 11) 224 განჩინება არასრულწლოვნების მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ, სადაც საერთაშორისო სტანდარტები გამოყენებული იქნა დასავლეთ საქართველოს 11 სასამართლოს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს – 6 სასამართლოს მიერ.

აღნიშნულ თემატიკაზე და პერიოდში, სულ განხილული იქნა დასავლეთ საქართველოში – 100, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – 124 განჩინება. მოცემული განჩინებებიდან, დასავლეთ საქართველოს სასამართლოების მიერ დასაბუთების ნაწილში საერთაშორისო სტანდარტები გამოყენებული იქნა 31 საქმეში. რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, ხსენებული სტანდარტების მითითება გვხვდება სასამართლოების 74 განჩინებაში, რაც ამ ნიშნით გამორჩეულ განჩინებათა საერთო ოდენობის 70%-ზე მეტს შეადგენს. ტერიტორიული თვალსაზრისით, ამგვარი სხვაობა გარკვეულწილად იმით შეიძლება აიხსნას, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ, რომელმაც აღნიშნულ თემატიკაზე ყველაზე მეტი – 70 განჩინება განიხილა, ეს მნიშვნელოვანი საერთაშორისოსამართლებრივი დოკუმენტები გამოიყენა 48 საქმეში.



საერთაშორისო სტანდარტების მითითების კუთხით, მნიშვნელოვანია განვიხილოთ თითოეული საქალაქო, რაიონული თუ მაგისტრატი სასამართლოს მიერ აღნიშნულ სტანდარტთა გამოყენების პრაქტიკა. უპირველეს ყოვლისა, ამ კუთხით საინტერესოა საქალაქო სასამართლოების მდგომარეობა სტატისტიკური და ანალიტიკური თვალსაზრისით:

- თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ, აღნიშნულ თემატიკაზე და პერიოდში განხილული იქნა 70 საქმე, სადაც სასამართლოს მიერ 48 განჩინებაშია გამოყენებული საერთაშორისო სტანდარტები. სასამართლო ხშირად უთითებს ისეთ რელევანტურ სამართლებრივ დოკუმენტებს, როგორცაა გაეროს „პეკინის წესები“ და ბავშვის უფლებათა კონვენცია. ასევე, რიგ განჩინებებში დეტალურად განიხილავს საქმის კონკრეტულ გარემოებებს და მათ სათანადოდ უსაბამებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რელევანტურ პრეცედენტულ სამართალს.
- ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ აღნიშნულ თემატიკაზე, 2017-2018 წლებში, განხილული იქნა 23 საქმე, საიდანაც სასამართლოს მიერ 8 საქმეშია გამოყენებული საერთაშორისო სტანდარტები. აღსანიშნავია, რომ სასამართლო ძირითადად, აკეთებს მითითებებს და ვრცლად არ მსჯელობს ამასთან დაკავშირებით. თუმცა, შედარებით ვრცელ განმარტებებს ვხვდებით განჩინებაში №10/ა-75.
- რუსთავის საქალაქო სასამართლო მიერ, აღნიშნულ თემატიკაზე და პერიოდში განხილული იქნა 17 საქმე, საიდანაც სასამართლოს 15 განჩინებაში აქვს გამოყენებული საერთაშორისო სტანდარტები. აქედან, მხოლოდ ორ განჩინებაშია ვრცლად განმარტებული ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, კერძოდ, საქმეები №10დ/106-17,012170317003 და №10დ-242-17. სასამართლო ორივე საქმეზე შედარებით ვრცლად განმარტავს საქმეს *ივანჩუკი პოლონეთის წინააღმდეგ (Iwanczuk v. Poland)*.
- ფოთის საქალაქო სასამართლოს მიერ, აღნიშნულ თემატიკაზე და პერიოდში განხილული იქნა 10 საქმე, საიდანაც სასამართლო 1 მათგანში უთითებს საერთაშორისო სტანდარტებზე, კერძოდ განჩინებაში №10ა/88-2018. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ განჩინებაში არასრულწლოვნის მიმალვის საფრთხის თვალსაზრისით საკმაოდ ვრცელი განმარტებები გვხვდება – სასამართლო მსჯელობს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კოდექსის მე-5 მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე:

„საპროცესო კანონმდებლობის მითითებული თეზისები სრულ თანხვედრაშია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნებთან, რომლის მიხედვითაც, პირის დაკავება (დაპატიმრება) შესაძლებელია, თუკი არსებობს საკმაო საფუძველი ვარაუდისთვის, რომ აუცილებელია აღიკვეთოს პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენა ან დაპატიმრება საჭიროა მისი გაქცევის (მიმალვის) თავიდან აცილებისთვის.“

არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენების საკითხთა განხილვისას, სასამართლო ასევე, ყურადღებას ამახვილებს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციასზე. ასევე, ციტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რელევანტური პრაქტიკა:


„საქმეზე A.B. უნგრეთის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ ბრალად შერაცხული დანაშაულის საფუძველზე, ახალი დანაშაულის ჩადენისა და მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის რისკებზე მსჯელობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის აბსტრაქტულ ხასიათს ატარებს და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით მოთხოვნილი დასაბუთებული პატიმრობის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.“

„დანაშაულის ხელახლა ჩადენის მოტივით დაპატიმრების შესაძლებლობის საკითხზე მსჯელობისას, საქმეზე Muller v. France (2180/93, 17.03.1997), ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ დანაშაულის ხელახლა ჩადენასთან დაკავშირებით პირის წარსულ ცხოვრებაზე მითითება საკმარისი არ არის გათავისუფლებაზე უარის თქმის საფუძველად.“

- ბათუმის საქალაქოს მიერ, აღნიშნულ თემატიკაზე და პერიოდში განხილული იქნა 22 საქმე, აქედან 2 განხილვაში სასამართლო იყენებს საერთაშორისო სტანდარტებს, მიმართავს როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას და ასევე, გაეროს კონვენციას ბავშვის უფლებების შესახებ.

ძირითადად, ხდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შემდეგი საქმეების გამოყენება: ილიჯკოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (Ilijkov v. Bulgaria); სტოგმიულერი ავსტრიის წინააღმდეგ (Stögmüller v.

Austria); ნიუმასიტერი ავსტრიის წინააღმდეგ (Neumeister v. Austria), ივანჩუკი პოლონეთის წინააღმდეგ (Iwanczuk v. Poland); იაგცი და სარგინი თურქეთის წინააღმდეგ (Yagci and Sargin v. Turkey). უნდა აღინიშნოს, რომ ყველა საქმეში ამ უკანასკნელის სახელი, სადაც იგი გამოყენებულია, ტექნიკური უზუსტობით არის მითითებული.



რაც შეეხება რაიონულ და მაგისტრატ სასამართლოებს, აღსანიშნავია, რომ საკმაოდ დადებითად უნდა შეფასდეს მათ მიერ საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების სიხშირე და ამავედროულად, ხარისხი, რაზეც მეტყველებს შემდეგი მონაცემები:

- გორის რაიონული სასამართლოს მიერ, აღნიშნულ თემატიკაზე და პერიოდში განხილული იქნა 8 საქმე, საიდანაც სასამართლოს 6 განჩინებაში აქვს გამოყენებული საერთაშორისო სტანდარტები. აღსანიშნავია, რომ სასამართლო განაგრძობს მსჯელობას, რაც მეტად

თვალსაჩინოს ხდის მის შესაბამისობას არსებულ გარემოებებთან. კერძოდ, განჩინებებში №10/ა-1/17, №10/დ-429-17, №10/დ-225-17, №10-42-17, №10დ/-188-17, №10დ/-209-18 სასამართლო განაგრძობს მსჯელობას შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტის გამოყენებისას, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის გამოყენებისას კი, ახდენს მის ციტირებას და მხოლოდ მისი ზედაპირული მოხსენიებით არ შემოიფარგლება. მაგ.: განჩინებებში № 10/ა-1/17 და №10/დ-42-17 სასამართლოს მოწმეებზე ზეწოლის რისკთან დაკავშირებით იშველიებს ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს საქმიდან *ლეტელიე საფრანგეთის წინააღმდეგ (Letellier v. France)*, სადაც სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ:

*„გამოძიების დასაწყისში, მოწმეებზე ზეწოლის განხორციელების დამაჯერებელი რისკი, რომელმაც შესაძლოა მოწმეთა ჩვენებებში ცვლილებები გამოიწვიოს, შესაძლებელია ვახდეს ბრალდებულის გათავისუფლებაზე უარის თქმის საფუძველი. თუმცა, დროის გასვლასთან ერთად, მოწმეთა არაერთი დაკითხვის შემდეგ, მოწმეებზე ზემოქმედების რისკი შესაძლოა შემცირდეს და შემდგომში საერთოდ გაქრეს.“*

ბავშვის საუკეთესო ინტერესის პრინციპის განსაზღვრისას, სასამართლო განჩინებაში №10/დ-209-18 იშველიებს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 3 (1) მუხლს:

*„აღნიშნულის უზრუნველსაყოფად მართლმსაჯულების სისტემამ უნდა იხელმძღვანელოს „არასრულწლოვნის საუკეთესო/ჭეშმარიტი ინტერესის პრინციპით,“ რომელიც გათვალისწინებულია „ბავშვის უფლებათა კონვენციის“ 3(1) მუხლით და რომელიც მოითხოვს, რომ მართლმსაჯულების განხორციელების ყველა ეტაპზე, სადაც არასრულწლოვანი მონაწილეობს, უპირველესად გათვალისწინებული იყოს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესები, რომელიც გულისხმობს საკითხის განხილვას არსებითი სამართლებრივი ნორმების მიღმა.“*

- ზუგდიდის რაიონული სასამართლო მიერ, აღნიშნულ თემატიკაზე და პერიოდში, განხილული იქნა 9 საქმე, საიდანაც სასამართლოს 5 განჩინებაში აქვს გამოყენებული საერთაშორისო სტანდარტები, თუმცა აქედან მხოლოდ ერთ განჩინებაში განაგრძობს და მსჯელობს. კერძოდ, განჩინებაში №10მ/241-18 სასამართლო მსჯელობს გაეროს ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის პრინციპების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესების არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ (პეკინის წესები) და



ასევე, ბავშვის უფლებათა კომიტეტის №10 ზოგადი კომენტარის განმარტებების აღნიშნულ საქმეთა გარემოებებთან შესაბამისობაზე.

- ბორჯომის მაგისტრატი მოსამართლეების მიერ, აღნიშნულ თემატიკაზე და პერიოდში, სულ განხილული იქნა 6 საქმე, სადაც დასაბუთების ნაწილში სასამართლო მხოლოდ ერთ (1) განჩინებაში იყენებს საერთაშორისო სტანდარტებს. კერძოდ, საქმეში №2318022519964-10ა/-072-18წ. სასამართლომ მიმართა როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას ასევე, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად გამოყენებისა და მითითებისა, უკეთესი იქნებოდა სასამართლოს ვრცლად განმარტა საქმის გარემოებებთან მათი შესაბამისობა, რაც უფრო ნათელს გახდიდა მათი გამოყენების აუცილებლობას.
- ზესტაფონის რაიონული სასამართლო მიერ, აღნიშნულ თემატიკაზე და პერიოდში, განხილული იქნა 11 საქმე, საიდანაც სასამართლოს 4 განჩინებაში აქვს გამოყენებული საერთაშორისო სტანდარტები, საიდანაც 2 განჩინებაში აკეთებს მათ განმარტებას, კერძოდ, განჩინებები №10/დ-59-2017 და №10/დ-87-2018.
- მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ აღნიშნულ თემატიკაზე და პერიოდში, განხილულ იქნა 2 საქმე. სასამართლო ორივე განჩინებაში დასაბუთების კუთხით იყენებს საერთაშორისო სტანდარტებს. გამოყენებულია როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ასევე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტანდარტული მინიმალური წესების არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ (პეკინის წესები) და საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ დადგენილ სტანდარტები, მაგ.: განჩინებაში №10-დ/185-18 სასამართლო იყენებს ევროპული სასამართლოს საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან რელევანტურ პრაქტიკას და აღნიშნულ საქმესთან შესაბამისი ციტირებები მოჰყავს, კერძოდ, გამოყენებულია 3 ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილება:
  - *კოლევი ბულგარეთის წინააღმდეგ (Kolevi v. Bulgaria)*, სადაც ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „თუ არსებობს ბრალდებულის პირადი კავშირები მოწმეებთან, სახეზეა მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის რეალური საშიშროება.“
  - საქმე *მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ*, სადაც ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „თუ ბრალდებულს პირადი კავშირები აქვს

*მოწმებთან, შესაძლებელია მათი მოსყიდვა და ან სხვა ხერხით ზემოქმედება.“*

- საქმე კონტრადა იტალიის წინააღმდეგ (Contrada v. Italy), სადაც სასამართლომ განაცხადა, რომ „მოწმებთან პირადი კავშირები მითითებს იმ გარემოებაზე, რომ დიდი ალბათობით მოხდება მათზე ზემოქმედება და მტკიცებულების განადგურება.“

ხოლო №10დ/82-2018 განჩინებაში სასამართლო განმარტავს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს „პეკინის წესების“ მიხედვით. სასამართლო განავრცობს მსჯელობას და ასაბუთებს მის შემდგომ გადაწყვეტილებას, თუმცა „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტთან დაკავშირებით სასამართლო ზოგადად ახსენებს მას და უკეთესი იქნებოდა კონკრეტული დებულებების მოტანა და მათი განმარტება.

- ოზურგეთის რაიონული სასამართლო მიერ, აღნიშნულ თემატიკაზე და პერიოდში, განხილული იქნა 3 საქმე, საიდანაც სასამართლო 1 განჩინებაში იყენებს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებას, რომელიც ზოგადი ხასიათისაა.
- სამტრედიის რაიონული სასამართლო მიერ, აღნიშნულ თემატიკაზე და პერიოდში, განხილული იქნა 4 საქმე. ოთხივე საქმეში სასამართლო აკეთებს მითითებებს საერთაშორისო სტანდარტებზე, თუმცა აღნიშნული მითითებას არ სცდება, უმჯობესი იქნებოდა მეტი თვალსაჩინოებისთვის მათი განმარტება და მოცემულ ფაქტობრივ გარემოებებთან შესაბამისობის წარმოჩენა.
- ვანის რაიონული სასამართლო მიერ, აღნიშნულ თემატიკაზე და პერიოდში, განხილული იქნა მხოლოდ 1 საქმე. სასამართლო ამ განჩინებაში ბავშვთა უფლებების შესახებ კონვენციის ბავშვის და მისი საუკეთესო ინტერესის განმარტებას იშველიებს, თუმცა აღსანიშნავია, რომ იგი ზოგადი ხასიათისაა და უმჯობესი იქნებოდა საერთაშორისო სტანდარტების საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით უფრო კონკრეტული გამოყენება.
- საჩხერის რაიონული სასამართლოსა და ჭიათურის მაგისტრატი სასამართლოს მიერ აღნიშნულ თემატიკაზე და პერიოდში, განხილული

იქნა 4 საქმე. საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების მხრივ აღსანიშნავია განჩინებები №10/ა-10-17 და №10დ-22, სადაც სასამართლო შედარებით უხვად იყენებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოს რელევანტურ პრაქტიკას და არ შემოიფარგლება მხოლოდ მითითებებით, არამედ ახდენს მათ რელევანტურ ციტირებას. ასევე, გამოყენებულია ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციისა და ზოგადად, „პეკინის წესების“ მიდგომები.

- გარდაბნის მაგისტრატი სასამართლოს მიერ, აღნიშნულ თემატიკაზე და პერიოდში, განხილული იქნა 1 საქმე. აღნიშნულ განჩინებაში სასამართლოს გამოყენებული აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც მართალია, რელევანტურია არსებული საქმის გარემოებებთან თუმცა, ზოგადი ხასიათისაა.
- სენაკის რაიონული სასამართლოს მიერ აღნიშნულ თემატიკაზე და პერიოდში, განხილული იქნა 1 საქმე. აღნიშნულ განჩინებაში სასამართლო უთითებს საერთაშორისო სტანდარტებზე.
- სიღნაღის რაიონული სასამართლოს მიერ აღნიშნულ თემატიკაზე და პერიოდში, განხილული იქნა 3 საქმე. სასამართლო მხოლოდ 1 განჩინებაში უთითებს ისეთ საერთაშორისო სტანდარტებზე, როგორცაა პეკინის წესები და ევროსაბჭოს მინისტრთა რეკომენდაცია.
- თელავის რაიონული სასამართლოს მიერ აღნიშნულ თემატიკაზე და პერიოდში განხილული იქნა 4 საქმე. სასამართლო მხოლოდ 2 განჩინებაში უთითებს ისეთ საერთაშორისო სტანდარტებზე, როგორცაა მართლმსაჯულების სიტემაში ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10 და პეკინის წესები. აღნიშნულ დოკუმენტებს სასამართლო ეფექტიანად იყენებს არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესის განსამარტად და სათანადოდ უსაბამებს საქმის კონკრეტულ გარემოებებს. განჩინებებში ასევე, ილუსტრირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და მითითებულია ევროსაბჭოს მინისტრთა რეკომენდაცია №R(80)11.

## დასკვნა

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ზოგადად, სასამართლოები აქტიურად იყენებენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლების დადგენილ სტანდარტებს და არასრულწლოვანი პირების მიმართ აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების შესახებ განჩინებებში სამართლებრივი არგუმენტაციის დასაბუთებისას, მიუთითებენ საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებზე.

საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა გამოყენების ასპექტში, ეროვნული სასამართლო გადაწყვეტილებათა შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს სასამართლოები ცდილობენ აქტიურად გამოიყენონ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის სფეროში მოქმედი ნორმები. მიუხედავად ხარვეზებისა, დადებით მომენტად მიგვაჩნია, ეროვნული სასამართლოების მიერ საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მცდელობა, განსაკუთრებით ისეთ საკითხში, როგორცაა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ წარმოდგენილი ანალიზი არის პირველი კვლევა, რომელიც განხორციელდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედების შემდეგ (2016 წლის 1 იანვრიდან) და მიზნად ისახავდა არასრულწლოვანთა უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტების ეროვნულ სასამართლო გადაწყვეტილებებში ასახვის თავისებურებების შესწავლას.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ 2017-2018 წლებში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 61-64-ე მუხლების საფუძველზე, არასრულწლოვანი პირების მიმართ გამოტანილი იყო 224 განჩინება (275 ბრალდებულის მიმართ) აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ. განჩინებათა რაოდენობით ერთმნიშვნელოვნად პირველ ადგილზე იყო თბილისის საქალაქო სასამართლო, რომელმაც განიხილა 70 საქმე. შემდეგ, საქმეთა განხილვის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა ქუთაისის (23 საქმე) და ბათუმის (22 საქმე) საქალაქო სასამართლოებში. რაც შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს, აქ აღსანიშნავია რუსთავის (17 საქმე) საქალაქო და გურჯაანის (12 საქმე) რაიონული სასამართლოები, რომლებიც დედაქალაქის შემდეგ, განჩინებათა ყველაზე დიდი ოდენობით გამოირჩეოდნენ.

რაც შეეხება აღკვეთის ღონისძიების სახეებს, არასრულწლოვნების მიმართ ყველაზე უფრო ხშირად გამოყენებულ ღონისძიებას წარმოადგენდა გირაო,

რომელიც სულ 114 ბრალდებულს შეეფარდა. ამ კუთხით, მეორე ადგილზე იყო პატიმრობა, რომელიც გამოყენებული იყო 75 პირის მიმართ. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, პირველი ინსტანციის საერთო სასამართლოებს მიერ აღკვეთის ღონისძიების ყველაზე ოპტიმალურ სახედ საკმაოდ ხშირად იქნა მიჩნეული მეთვალყურეობაში გადაცემა, რომელიც გამოყენებულია 59 არასრულწლოვნის მიმართ. რაც შეეხება აღკვეთის ღონისძიების სხვა ფორმებს, სასამართლოებმა ყველაზე იშვიათად გამოიყენეს ორ მათგანი – შეთანხმება სათანადო ქცევასა და გაუსვლელობის შესახებ (16 პირის მიმართ) და პირადი თავდებობა (2 პირის მიმართ).

სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზისას გამოვლინდა, რომ არასრულწლოვანთა საქმეების განხილვისას, სასამართლოები საკმაოდ ხშირად იყენებენ ისეთ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს, როგორცაა ბავშვის უფლებათა კონვენცია და გაეროს „პეკინის წესები,“ რიგ განჩინებებში ასევე, მითითებულია ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებიც. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ მათგანში ნაკლებადაა გამოკვეთილი მათი შესაბამისობა უშუალოდ საქმის გარემოებებთან. უმჯობესი იქნება სასამართლოების მხრიდან აღნიშნულთან მიმართებით მოხდეს უფრო ვრცელი განმარტებების გაკეთება, რაც უფრო ნათელს გახდის ზემოთ ხსენებულ აქტთა გამოყენების აუცილებლობას. მიუხედავად ამისა, გვინდა აქვე აღვნიშნოთ, რომ მოცემულ განჩინებებში საერთაშორისო სტანდარტთა გამოყენების ხარისხი დადებით პრაქტიკად უნდა შეფასდეს 2016 წელს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების მიერ ჩატარებულ კვლევასთან<sup>134</sup> შედარებით, სადაც ერთ-ერთ მთავარ პრობლემად საერთაშორისო აქტების მუხლების ბლანეტური დეკლარირება იქნა მიჩნეული.

რაც შეეხება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენებას, აღსანიშნავია, რომ შესწავლილი განჩინებებიდან, უმრავლეს მათგანში პირველი ინსტანციის სასამართლოები სწორად ახდენენ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებათა ციტირებას, რითიც ამყარებენ გაკეთებულ დასკვნებს. მეტწილად, აღნიშნული დოკუმენტები რელევანტურადაა მითითებული და საკმაოდ ბევრ განჩინებაში ვხვდებით დასაბუთებულ არგუმენტაციას ბრალდებული არასრულწლოვნისთვის აღკვეთის ყველაზე ოპტიმალური ღონისძიების გამოყენების თვალსაზრისით, რაც უზრუნველყოფს არასრულწლოვნის მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6

---

<sup>134</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს კვლევა „საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა გამოყენების პრაქტიკა სასამართლოების მიერ არასრულწლოვანთა საქმეების განხილვისას (2016 წლის 01.30.06 სასამართლო გადაწყვეტილებათა ანალიზი)“

მუხლით გარანტირებულ, საქმის სამართლიანად განხილვის უფლებით ეფექტიან სარგებლობას. თუმცა, კვლევის შედეგად ასევე, გამოიკვეთა განხილვათა მნიშვნელოვანი ნაწილის სტერეოტიპული დასაბუთება, რაც გამორჩეულად ტერიტორიული ნიშნით – კერძოდ, ერთი სასამართლოს განხილვებში ვლინდებოდა. სასამართლოების წინაშე არსებულ კიდევ ერთ გამოწვევას წარმოადგენს კოლექტიური ტიპის განხილვები, სადაც ერთზე მეტ არასრულწლოვან ბრალდებულთან გვაქვს საქმე. ასეთ შემთხვევებში სასამართლოები ძირითადად, სათანადოდ ახდენენ თითოეულის მიმართ დიფერენცირებული მსჯელობის განვითარებას, თუმცა, იკვეთება ისეთი განხილვებიც, რომლებიც ამგვარ არგუმენტაციას მოკლებულია. ამდენად, მნიშვნელოვანია, დაცული იყოს არასრულწლოვანი პირის ინდივიდუალიზაციის მაღალი ხარისხი, ვინაიდან ეს ასპექტი სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ეროვნული სასამართლოები უმეტესწილად, მსჯელობენ მოცემული დანაწესით გათვალისწინებულ ისეთ ფუნდამენტურ ფაქტორებზე, როგორცაა მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენისა და მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელებაში ჩარევის საფრთხე. თუმცა, ამ მიმართულებით განხილვათა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემური საკითხი, რაც არასრულწლოვნის მიერ მძიმე დანაშაულის შემთხვევებს უკავშირდება. ამგვარი მოცემულობის არსებობის პირობებში, მძიმე დანაშაულის ჩადენა სასამართლოების მიერ საკმაოდ ხშირადაა შეფასებული ზემოთ ხსენებული ყველა საფრთხის არსებობის საფუძველად. გარდა ამისა, აღნიშნულ გარემოებას სასამართლოები არცთუ ისე იშვიათად, განყენებულად, დამატებითი მსჯელობის გარეშე იყენებენ არასრულწლოვნისთვის აღკვეთის ღონისძიების მკაცრი ღონისძიების შეფარდების დასაბუთების მიზნით, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, დადებით პრაქტიკად ვერ შეფასდება. შეჯამების კუთხით, აღსანიშნავია, რომ ეროვნული სასამართლოები მეტწილად, ეფექტიანად იყენებენ სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს მე-5 მუხლთან დაკავშირებულ საქმეებზე და სათანადოდ არგებენ მათ კონკრეტული საქმის გარემოებებსა და არასრულწლოვანთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს.

ეს ყოველივე იმაზე მეტყველებს, რომ გარკვეულწილად, გაუმჯობესდა ევროპული კონვენციის და სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების პრაქტიკა. აღნიშნულის მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ მოსამართლეებისთვის ჩატარებული ტრენინგები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლებთან მიმართებით, ასევე მოცემულ საკითხებზე ქართულ ენაზე

არსებული ხელმისაწვდომი ლიტერატურა და დამატებითი მასალები. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით სათანადო განვითარებისთვის ხელშემწყობი პირობა იქნება ისიც, რომ ამოქმედდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა ელექტრონული ბაზის – HUDOC-ის ქართული ვერსია.

კვლევის შედეგად გამოვლენილ კიდევ ერთ საყურადღებო საკითხს წარმოადგენს არასრულწლოვან ბრალდებულთა მიმართ პატიმრობით უზრუნველყოფილი გირაოს გამოყენება, რაც ლეგიტიმურ კითხვებს სვამს მისი, როგორც ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. განჩინებათა ანალიზის შედეგად გამოვლენილი ტენდენციის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა მათგანში ფიგურირებს ბავშვის უფლებათა კონვენციის მიერ დამკვიდრებული ტერმინი „ბავშვის საუკეთესო ინტერესი“, რომელიც გაზიარებულია საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით, მიზანშეწონილი იქნებოდა ამ ტერმინის გამოყენებისას განმარტებულიყო, თუ როგორ იქნა გამოყენებული ეს ტერმინი კონკრეტულ საქმესთან მიმართებაში, რაში გამოვლინდა ბავშვის საუკეთესო ინტერესი.

შეჯამების სახით, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოები არასრულწლოვანი პირების მიმართ აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების შესახებ განჩინებებში აქტიურად იყენებენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლების დადგენილ სტანდარტებს და აგრეთვე, არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ სხვა საერთაშორისო დოკუმენტებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა სასამართლოების მიერ ევროპული სტანდარტების შესაბამისი, სანიმუშო განჩინებები და ამავდროულად, ის საქმეები, სადაც ილუსტრირებულია ეროვნული სასამართლოების მიერ წარმოდგენილი არასრული ან საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამო დასაბუთება. მიუხედავად კვლევის შედეგად გამოვლენილი ხარვეზებისა, დადებით მომენტად მიგვაჩნია, ეროვნული სასამართლოების მიერ საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მცდელობა, განსაკუთრებით ისეთ საკითხში, როგორიცაა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება.

ამდენად, მიგვაჩნია, რომ მოცემული კვლევა საინტერესო იქნება, როგორც მოსამართლეებისა და სასამართლო ხელისუფლებაში დასაქმებული პირებისთვის, ასევე აკადემიური წრეების წარმომადგენლების, სტუდენტებისა და ყველა იმ პირისთვის, ვინც ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხითაა დაინტერესებული.

## რეკომენდაციები

კვლევის დასასრულს, შესაძლებელია, რამდენიმე ზოგადი სახელმძღვანელო რეკომენდაციის ჩამოყალიბება, რომელიც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების კუთხით, ხელს შეუწყობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეფექტიან განხორციელებას, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და სხვა მნიშვნელოვან საერთაშორისო აქტებში მოცემული სტანდარტების ეროვნულ პრაქტიკაში დამკვიდრებას.

- მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვანის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინების სამოტივაციო ნაწილი არ ხასიათდებოდეს სტერეოტიპული დასაბუთებით და ნათლად გამოიკვეთოს საქმის სპეციფიკურ გარემოებათა სისტემური ანალიზი.
- არასრულწლოვანი პირის მიმართ აღკვეთის ყველაზე ოპტიმალური ღონისძიების გამოყენების დასაბუთების მიზნით, საჭიროა, განჩინებაში სათანადოდ იყოს შეფასებული ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლები, ქონებრივი შესაძლებლობა, ოჯახური მდგომარეობა და სხვა მნიშვნელოვანი, კონკრეტული გარემოებები. საგულისხმოა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება არ იქნას მიღებული მხოლოდ ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის საფუძველზე, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილ სტანდარტთან შეუსაბამო პრაქტიკას წარმოადგენს.
- ეროვნულ პრაქტიკაში არსებული კოლექტიური ტიპის<sup>135</sup> განჩინებათა რაოდენობის გათვალისწინებით, ფუნდამენტურია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ განჩინებებში ბრალდებული არასრულწლოვანის მიმართ მაქსიმალურად დაცული იყოს ინდივიდუალიზაციის მაღალი ხარისხი.
- რეკომენდებულია, განჩინებებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მითითებას არ ჰქონდეს შაბლონური ხასიათი და არასრულწლოვნის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების კუთხით, კონკრეტული გადაწყვეტილების მისადაგება გამყარებული იყოს არგუმენტირებული მსჯელობით.

არასრულწლოვანთა, როგორც საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად პირთა დაცვის მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად საკანონმდებლო თვალსაზრისით, კვლევის ფარგლებში შემოთავაზებულია რამდენიმე

<sup>135</sup> განჩინებები, სადაც საქმე ეხება ერთზე მეტ არასრულწლოვან ბრალდებულს.



საკანონმდებლო წინადადება, რაც ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფუნდამენტური პრინციპის – ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის ქმედითი გარანტიების ჩამოყალიბებას ეროვნულ საკონმდებლო დონეზე.

- როგორც კვლევაში აღინიშნა, მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში აღნიშნული შესაძლებლობა არაა განსაზღვრული, სსსკ-ის 200(6) მუხლის შესაბამისად, არასრულწლოვნის მიმართ რამდენიმე შემთხვევაში გამოყენებულია პატიმრობით უზრუნველყოფილი გირაო. მოცემული პრევენციული ზომა რიგ შემთხვევებში, ეფექტიან საშუალებად მიიჩნევა, თუმცა ამავდროულად, ხშირად გაუმართლებლად მკაცრ ღონისძიებად შეიძლება იქნას აღიქმული.

ამდენად, არასრულწლოვანთა დასაცავად მიზანშეწონილია უფრო მაღალი სტანდარტის დაწესება. შესაბამისად, პრაქტიკული თვალსაზრისით, უმჯობესი იქნება მოცემული საკითხი დარეგულირდეს საკანონმდებლო დონეზე. კერძოდ, მიგვაჩნია, რომ ამ მიმართულებით გადადგმულ დადებით ნაბიჯად შეფასდება თუ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით კონკრეტულად გაიწერება ის წინაპირობები, რომლებიც შესაძლებელს გახდის პატიმრობით უზრუნველყოფილი გირაოს გამოყენებას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების სრული დაცვით. აღნიშნული უზრუნველყოფის როგორც საზოგადოების ერთ-ერთი მოწყველადი ჯგუფის უფლებათა ეფექტურ დაცვას, ასევე ამ კუთხით პოზიტიური სასამართლო პრაქტიკის დანერგვას.

- გირაოსთვის განსაზღვრული თანხის ოდენობის თვალსაზრისით, კვლევის შედეგად გამოვლინდა ეროვნული სასამართლოების მიერ დანერგილი მკაფიოდ დიფერენცირებული და არაერთგვაროვანი პრაქტიკა, რაც თვითნებობის პრევენციისა და არასრულწლოვნის მიერ საქმის სამართლიანად განხილვის უფლებით სარგებლობის კუთხით, საყურადღებო საკითხს წარმოადგენს.

ამდენად, გირაოსთვის განსაზღვრული თანხის ოდენობებს შორის არსებული არაპროპორციულად დიდი დიაპაზონის გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იქნება, თუ საკანონმდებლო დონეზე არასრულწლოვანთა მიმართ ამ მიმართულებით მოხდება დღეისთვის არსებული შეუზღუდავი დისკრეციის გარკვეული ლიმიტირება.

უნდა აღინიშნოს, რომ პოტენციურად, გირაოს თანხის ოდენობაზე მხოლოდ მაქსიმალური ზღვრის დაწესებამაც შესაძლოა, ბევრად უფრო ეფექტიანად უზრუნველყოს არასრულწლოვანთა ინტერესებისა და უფლებების დაცვა.

- კვლევის ფარგლებში გამოკვეთილი ტენდენციის შესაბამისად, „დიდი ქალაქების სასამართლოები,“ როგორცაა თბილისი, ბათუმი და სხვები ხასიათდებიან აღკვეთის ერთ-ერთი ღონისძიების – სათანადო ქცევასა და გაუსვლელობაზე შეთანხმების გამოყენების განსაკუთრებით მწირი პრაქტიკით.

აღსანიშნავია, რომ მოცემული პრევენციული ზომა აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთ ყველაზე მსუბუქ სახეს წარმოადგენს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების კუთხით კი, მნიშვნელოვანია აღკვეთის შედარებით მსუბუქი ღონისძიებები ისეთი პრევენციული ხასიათით გამოირჩეოდნენ, რომ მათი გამოყენება არა მხოლოდ ფორმალბად, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისით, ეფექტიან საშუალებად მიიჩნეოდეს.

შესაბამისად, საჭიროა, საკანონმდებლო დონეზე მოცემული ღონისძიება იმგვარად ჩამოყალიბდეს ან გამყარდეს დამატებითი შემაკავებელი ღონისძიებებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მისი ეფექტიანობის ხარისხის ამაღლებას და ეროვნულ პრაქტიკაში დამკვიდრებას.

სამომავლოდ, ეროვნულ დონეზე სასამართლო სისტემაში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება:

- ინტენსიურად ჩატარდეს ტრენინგები მოსამართლეთათვის საერთაშორისო სამართლის საკითხებზე;
- მომზადდეს ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სპეციალური ლიტერატურა ქართულ ენაზე;
- სისტემატურად ჩატარდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საქმეთა შესწავლა და განზოგადება. თავის მხრივ, ეს ხელს შეუწყობს გადაწყვეტილებათა ხარისხის გაუმჯობესებას და დაეხმარება იმ მოსამართლეებს, რომლებიც იხილავენ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნების საქმეებს.